

619 /
1988/2

ISSN 0130-1624

საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი



№116

საქართველო

თვე 1
№ 1 1988



ხელშეკრულების
ხელმოწერის
ცერემონია



მ. ს. გორბაჩოვისა
და
რ. რეიგანის
საუბარი



მ. ს. გორბაჩოვის
შეხვედრა
ამერიკის
შეერთებული
შტატების
კონგრესის
ლიბერტიან

დიდნიშნავი პოლიტიკური მოვლენა

გაშინებენ. ფანჯარების ხმებმა თეთრ სახლში ყველას აუწყა, რომ დაიწყო ორი კლასის ბირთვული იარაღის — საშუალო და მცირე სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულების ხელმოწერის საზეიმო ცერემონია.

...8 დეკემბერი. 18 საათი და 18 წუთი ადგილობრივი დროით. სამხრეთ-დასავლეთის კიშკრიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ავტომანქანა, რომელსაც სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ალმები ამშვენებენ, უახლოვდება დიპლომატიურ სადარბაზოს.

მ. ს. გორბაჩოვი და პრეზიდენტი რ. რეიგანი, რომელიც მას თეთრი სახლის შესასვლელთან შეხვდა, ადიან წითელ სასტუმრო ოთახში და მიემართებიან აღმოსავლეთ დარბაზში.

რ. რეიგანი მიდის მიკროფონთან.

ეს ცერემონია და ხელშეკრულება, რომელსაც დღეს ხელს ვაწერთ, იმის შესანიშნავი მაგალითია, როგორ ჯილდოვდება მოთმინება. თქვა მან. წინა ხელშეკრულებებისაგან განსხვავებით ამ ხელშეკრულებამ უბრალოდ როდი დააკანონა არსებული მდგომარეობა ან შეიარაღების ახალი ზრდა. მასში ისტორიაში პირველად „შეიარაღების შემცირების“ ფორმულირება შეცვალა „შეიარაღებისადმი კონტროლის“ ფორმულირებაში.

შეგვიძლია, დავადასტუროთ, რომ ზნეობის ცნებებში ჩვენს ქვეყნებს შორის არის სერიოზული და ფუძემდებელი განსხვავება. მაგრამ დღეს, ყოველ შემთხვევაში, ამ საარსებოდ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით ვხედავთ, რის მიღწევა შეიძლება, როცა ერთი მიმართულებით ვიწვევთ ქაპანს.

ამ ხელშეკრულების მნიშვნელობა, თქვა შემდეგ პრეზიდენტმა, სცილდება წმინდა ციფრობრივი ცნებების ფარგლებს. ჩვენ ვიცნობთ რუსულ ბრძნულ ძველ ანდაზას, და, დარწმუნებული ვარ, თქვენც იცით, ბატონო გენერალური მდივანო, თუმცა ჩემი გამოთქმით ძნელი იქნება მისი გაგება; ამ ანდაზაში ნათქვამია: „ენდე, მაგრამ შეამოწმე“.

მ. ს. გორბაჩოვი:

ამას ყოველ შეხვედრაზე ვიმეორებთ. (სიცილი, ტაში).

რ. რეიგანი:

მე იგი მომწონს.

შეგვიძლია, მხოლოდ იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ისტორიული ხელშეკრულება იქნება არა თვითმზანი, არამედ დასაბამს მისცემს სამუშაო ურთიერთობას და საშუალებას მოგვცემს, ხელი მოვკიდოთ სხვა პრობლემებს, აქტუალურ პრობლემებს, რომლებიც ჩვენ წინაშეა დასახული: ბირთვული სტრატეგიული შეტევითი შეიარაღება, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ბალანსი, დამანგრეველი და ტრაგიკული რეგიონალური კონფლიქტები, რომლებიც სდება ჩვენი პლანეტის ესოდენ ბევრ რეგიონში, და ადამიანის უფლებებისა და ბუნებრივი უფლებების დაცვა, რომლებიც ღმერთმა ყველა ადამიანს მიანიჭა.

შეკრებილებს მიმართა მ. ს. გორბაჩოვი.

იმას, თქვა მან, რასაც ახლა გავაკეთებთ—ხელს მოვაწერთ პირველ შეთანხმებას ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის შესახებ, საყოველთაო-საეკოლოგიური მნიშვნელობა აქვს, როგორც მსოფლიო-პოლიტიკის თვალსაზრისით, ისე ჰუმანიზმის თვალსაზრისითაც.

ყველას, მაგრამ უწინარეს ყოვლისა, ჩვენს ორ დიდ სახელმწიფოს, ხელშეკრულება, რომლის ტექსტი ამ მაგიდაზე დევს, უსახავს დიდ შანსს, საშუალებას აძლევს ბოლოს და ბოლოს გავიდეს გზაზე, რომელიც გვაშორებს კატასტროფას, ყველას რომ ემუქრება. ვალდებული ვართ, ეს შანსი სრულად გამოვიყენოთ უბიროვო მსოფლიოსაკენ ერთობლივ მოძრაობაში, რომელიც ჩვენს შეილებსა და შეილიშვილებს და მათ შეილიშვილებსა და ამ შეილიშვილების შეილებს ჰპირდება სრულფასოვან ბედნიერ ცხოვრებას, როცა არ ექნებათ შიში და უაზროდ არ მოხმარდება რესურსები განადგურების საშუალებებს.

დაე 1987 წლის 8 დეკემბერი გახდეს თარიღი, რომელსაც შეიტანენ ისტორიის სახელმძღვანელოებში, თარიღი, რომელიც მონიშნავს წყალგამყოფს, ბირთვული საფრთხის ზრდის ერას კაცობრიობის ცხოვრების დემილიტარიზაციის ერისაგან რომ მიჩნავს.

რ. რეიგანისა და მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლებს ტაშით შეხვდნენ.

ორი ქვეყნის ხელმძღვანელები მიემართებიან მაგიდისაკენ, რომლის გვერდით აღმართულია საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების სახელმწიფო დროშები. ისინი ხელს აწერენ ხელშეკრულებას საშუალო და მცირე სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ — დოკუმენტს, რომელიც არის კეთილი ნების შემხვედრ ღონისძიებებზე გამარჯვებული ახალი პოლიტიკური აზროვნების აქტი. იგი თანაბრად სჭირდება როგორც სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, ისე მთელ პლანეტაზე საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღებასაც.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 1 (613), იანვარი, 1988

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალური-სამხატვრო ჟურნალი

ნომერი შიკა:

დიდნიშნავი დროშა პოლიტიკური მოვლენა.

ოთარ ჰინძლამე. რა ვაკეთოთ?! არნოლდ გეგებოკრი. მზის საგალო-ბელი.

ვახტანგ ჯაყელი. ქართული ჩაის ღირსებისათვის.

რემ დავიდოვი. ვერეჩაბინი იწყებოდა თბილისში.

წაუკითხეთ კატარეზს. ვალენტინ რასკუტინი. არ შემოიძლი-ს...

ნათელა გიორგობიანი. სიყვარული... სიყვარული...

ეთერ ლონდარიძე. მსოფლიო უსმენს მას.

გურამ მაისურაძე, იაკობ ახუაშვილი. ადგილის დედა გვიკახის.

ართურ კონან დოილი. ველოსიპედი-სტი ქალი.

ილია რურუა. კვლი მომღერლები... ბენიკ სირანიანი. მინიატურები.

ბაბატი გიორგი. საიდუმლო. სად, როდის, როგორ... თინათინ ხმალია. მოსწრებული სიტყვა.

საპარტვილოს კვ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1988 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ჰინძლამე

სარედაქციო კომიტეტი:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბარბაქაძე, ვასილ გვახაძე, ნათელა გიორგობიანი, ოთარ დემეტრაშვილი, სარგო დურმიშიძე, ვახტანგ ახვანიანი, ჯემალ მახარიშვილი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღაძე, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე

დროშა 1

108781

ხალი წლის ეშის განცდას მუდამ თანა სდევს გან-
ვლილის ავ-კარგის განსჯა, გარკვევა, შეფასება.
ასეთია ბუნება კაცისა, რომელიც მომავალს
ჭკრეტს, წინ მიდის, მაგრამ გამოვლილ გზაზე მაინც
გახედავს ხოლმე თავის ნაკვალევს.

გახედავს და დააკვირდება კიდევ. საჭიროა ეს.

მიტომაც არის საჭირო, რომ წარსულის გამოცდილებამ გა-
სავლელი გზით სიარული ვაკვირდებოდეს, მოსალოდნელი სიძნე-
ლებებისა და დაბრკოლებების დაძლევაში დაგვეხმაროს, წინსვ-
ლის მიზნებისა და ამოცანების გამოკვეთა შეგვაძლებინოს, რათა
ახალი და მომდევნო წლები კიდევ უფრო ბედნიერი იყოს თითო-
ეული ჩვენგანისა და ერთად ყველასათვის.

1988 წელი.

იგი მესამეა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუ-
ციური შინაარსის მატარებელი გარდაქმნის გზის დასაწყისიდან,
რომელიმაც სტარტი 1985 წლის გაზაფხულზე აიღო და მერვე
ათწლეულში გადადგომის მათწყებელიცაა დიდი ოქტომბრის სო-
ციალისტური რევოლუციის გამარჯვებიდან.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლის-
თავის იუბილე გასული წლის ღირსსახსოვარი მოვლენა იყო.

- იუბილე სიამაყის მომენტია.
- იუბილე ხსოვნის მომენტია.
- იუბილე განსჯის მომენტია.
- იუბილე მომავლის ჭკრეტაც არის.

სოციალისტური მშენებლობის საერთო ფერხულში ჩაბმულ-
მა საბჭოთა საქართველომ საბჭოეთის დიდ სამომხი გაერთიანე-
ბულ სხვა ერებთან ერთად თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა
მიწვეულ წარმატებებში, მაგრამ ვერც იმას ასცდა, რამაც გარ-
დაქმნის საჭიროების გზაზე დაგვაყენა, რამეთუ:

— გარდაქმნა — ეს არა მარტო წინა პერიოდის უძრაობისა
და კონსერვატიზმის თავიდან მოშორება, დაშვებული შეცდომე-
ბის გამოსწორებაა, არამედ საზოგადოების ორგანიზაციის იმ ნიშ-
ნებისა და მუშაობის იმ მეთოდების დაძლევაა, რომლებიც ის-
ტორიულად შეზღუდული, ყავლგასული იყო.

მრავალეროვან სახელმწიფოში გაერთიანებული ხალხის ხვე-
დრია ეს.

და მიუხედავად ამისა, მაინც უნდა ვეცადოთ, ავცდეთ და
თავიდან ავიცილოთ ყოველივე ის, რის აცდენაც შეგვიძლია და
რასაც აუნაზღაურებელი დანაკარგები მოსდევს.

რა ვაკეთოთ?

პრაქტიკული საქმეებით განვამტკიცოთ გარდაქმნა.

მოხსენება „ოქტომბერი და გარდაქმნა: რევოლუცია გრძე-
ლდება“:

— ჩვენს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემას რომ გარდა-
ვქმნით, ვალდებული ვართ, შევქმნათ, ჯერ ერთი, სახელმწიფო
და საზოგადოებრივ საქმეთა გადაწყვეტაში ყველა შპრომელის
რეალური ჩაბმის საიმედო და მოქნილი მექანიზმი. მეორეც, პრა-
ქტიკულად ვასწავლოთ ადამიანებს, ცხოვრობდნენ ვალდებულ-
ლი დემოკრატიის პირობებში, აფართოვდნენ და ამტკიცებდნენ
ადამიანის უფლებებს, ზრდიდნენ მასების თანამედროვე პოლი-
ტიკურ კულტურას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა ვასწავლი-
დეთ და ვსწავლობდეთ დემოკრატიას.

— დემოკრატიის კულტურა ვერ შემოიფარგლება პოლიტი-
კური სფეროთი. იგი უნდა მსჭვალავდეს ადამიანთა ურთიერთო-
ბის ყველა სფეროს. ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმით, რომ სოცია-
ლიზმი არის ადამიანთა მსჯელობის, ურთიერთობის, საქმიანობის
მზარდი მრავალფეროვნების საზოგადოება. ყოველ ადამიანს
აქვს თავისი სოციალური გამოცდილება, თავისი ცოდნის, განა-
თლების დონე, თავისებური აღქმა იმისა, რაც ხდება. ამის შედე-
გია აზრების, მრწამსის, შეთვისებათა უზარმაზარი დიპაზონი,
რომლებიც, ბუნებრივია, ყურადღებით უნდა გავითვალისწინოთ,
შევაჭეროთ.

— ჩვენ საზოგადოებრივი აზრის მრავალფეროვნების, სული-
ერი ცხოვრების სიმდიდრის მომხრენი ვართ. არ უნდა გვეშინო-
დეს, გულახდილად დავაყენოთ და ვადავჭრაოთ საზოგადოებრივი
განვითარების ძნელი პრობლემები, ვავაკრიტიკოთ და ვიკამა-
თოთ. სწორედ ასეთ პირობებში იბადება ჭეშმარიტება. ყალობ-
დება სწორი გადაწყვეტები.

— არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ
მრავალეროვან სახელმწიფოში, სადაც ყველა სოციალურ-ეკო-
ნომიკური, კულტურული თუ სამართლებრივი საკითხი პირდაპირ
და უშუალოდ უკავშირდება ყოველთვის ეროვნულ საკითხსაც.
ვიმოქმედოთ ლენინურად: მაქსიმალურად განვავითაროთ ყოვე-
ლი ერის, ყოველი საბჭოთა ხალხის პოტენციალი.

გასულ წელს, უკვე 150 წლის ასაკში, ილიამ კვლავ ამოგვძახა:

— „რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?“

ესე იგი, უჩემოდ რა აკეთეთ? რას შვრებოდითო?

ქართულ პერიოდულ პრესაში წამოჭრილმა ამ საკითხმა დიდი
რეზონანსი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ეს ბუნებრივი-
ცაა, მაგრამ პირველსავე რეაქციამ ცხადყო, რომ კვლავ იმძლავ-
რა ჩვენთვის ჩვეულმა ამბიციურობამ, რასაც შედეგად ნაწილში
მთელის დაუნაზაობა მოჰყვა. „პრესტიჟის დაცემის“ მოჩვენებით-
მა შიშმა თვლები გავვიფაროთ და მოგვეჩვენა, რომ ჩრდილიც
მიგვიყენებია, გამოგვჩენია კიდევ, რალაც კი საერთოდ სინამდ-
ვილეს არ შეეფერება და სხვა მისთანანი. პირველი შთაბეჭდილე-
ბით გამოწვეული ემოციები კაცს ზოგჯერ ცუდ სამსახურს უწევს.
მერე კი, როცა გამოფხიზლდები, დადინჯებულები და დაფიქრე-
ბულები ყოველივეს მთლიანობაში აღვიქვამთ და წარსულიდან
აწმყოში გადმოვიხედავთ, ჩვენ წინაშე უმალ ახალი კითხვა
წამოიჭრება: კი მაგრამ „რას ვაკეთებთ?! რას ვშვრებთ?!“

მართლაცდა, რა დაგვემართა, რას ვაკეთებთ, რას ვშვრებთ?!

ვერ ვაკეთებთ ჯერჯერობით ყველაფერს ისე, რის ვაკეთებაც
უკვე დროა ვისწავლოთ და რასაც უნდა ვაკეთებდეთ. ვაკეთებ-
დეთ დინჯად, მოფიქრებულად და მიზანსწრაფულად.

ეს მართოდენ ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას როდი შე-
ენება. არამედ მთელი ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხო-
ვრების საგანია. ფართო ეროვნული მასშტაბისა და მეტად მტკი-
ვნეული საგანი. ისეთი, რომელიც მთელი ჩვენი სულიერი ძალები
დაძაბვას და მოქმედებაში მოყვანას მოითხოვს.

ნებისმიერ მოქმედებას წინ გონივრული განსჯა უნდა უსწრე-
ბდეს. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების დროს ამ გადაწყ-
ვეტილების სოციალურ შედეგზე უნდა ვიფიქროთ. გონების ძა-
ლით უნდა განვჭკრიტოთ მოსალოდნელი შედეგები და მაშინ
შეცდომასაც, ზოგჯერ გამოუსწორებელსაც, კი ავიციდნენ.

მუშაობის ტექნოკრატიულმა, „ადმინისტრაციულ-ზეგავლე-
ნითმა“ სტილმა და მართვის ერთპიროვნულმა, უკიდურესობამდე
მიყვანილმა ცენტრალიზაციამ შექმნა ისეთი ვითარება, როცა
თანხმობის მიცემის, გადაწყვეტილების მიღების, განკარგულების
გაცემისა და ა. შ. პირობებში, გაუთვალისწინებელი აღმოჩნდა
მოსალოდნელი სოციალური ხასიათის შედეგი, ხოლო უგულე-
ბელყოფილი — მისი ზნეობრივი ასპექტი.

ასე მოხდა მაშინაც, როცა „ცხოვრების პირობების გაუმჯო-
ბესების“ მიზნით მთიელი მოსახლეობა ბარში გადმოვასახლეთ
ისე, რომ არც კი ვიკითხეთ, მართლა უმჯობესი იქნებოდა ეს
მათთვის, მართლა უნდოდათ აყრა და მართლაც გვჭირდებოდა
თუ არა ქართველებს იმის ხილვა, როცა „ისინი ჩამოვიდნენ მთე-
ბიდან“.

არა. ეს არავის არ უნდოდა და არც არავის სჭირდებოდა.

ვილაცას აეკვიტა ეს უკუღმართი აზრი, ვილაცამ განიზრახა
მისი სისრულეში მოყვანა და ამ ვილაცას ვერავინ გაუბედა შე-
დავება.

აი რა მოხდა ერთ-ერთ ასეთ მაღალმთიან სოფელში:

— ჩამოვიდნენ თბილისიდან დასახლება-გადასახლების სამ-
მართველოსა და მილიციის მუშაკები. ჯერ რამდენიმე ოჯახი გა-
დასახლეს. ისინი, ვინც ადვილად დაიყოლიეს. მაგრამ არ გასუ-
ლა დიდი ხანი და გადასახლებულები უკანვე დაბრუნდნენ. ხელი-
სუფალნი ამან გააჯავრა და ჯერ სინათლე გამორთეს, ხოლო შემ-
დეგ კი წისქვილებს წყალი ვადაუგდეს. როცა ამანაც არ გაჭრა,
მაშინ სახლების სახურავებზე მილიციელები ავიდნენ და კრამიტი
გადმოყარეს.

ძალა აღმართს ხნავდა.

ამ „ძალამ“ დაანგრია და ვაპარტახა საქართველოს მთიანეთი.
აყარა და გადასახლა მთის გამრჯე, მუყაითი, შეძლებული და მთას
შეზრდილი ქართველი გლეხი კაცი. ის, ვინც მესაქონლეობას მის-
დევდა, თავსაც კარვად ირჩენდა და ქალაქსაც ამარაგებდა ხორ-
ციით, კარაქით, ერბოთი, ყველით...

მერე ატყდა ერთი აურზაური: „მთას დაუბრუნდა მთიელი“.

დაუბრუნდა კი?

ვის დავაბრალოთ ჩვენი საკუთარი ნამოქმედარი?

ვინ ავოს პასუხი?

რა ვქნათ და რა ვაკეთოთ, რომ ჩვენს საკარმიდამოში მსგავსი
რამ აღარ გამეორდეს.

მეორდება.

ჯერაც არ ვაგვენლებია გასული წლის ზამთარში თავსდატე-
ხილი სტიქიური უბედურებით გამოწვეული დიდი ტკივილი. ეს
ტკივილიც ჩვენსავე წინდაუხედაობამ მოგვაყენა. სხვა მაღალ-
მთიანი სოფლების გარდა, სტიქიამ მთლიანად გაანადგურა ლენ-
ტხის რაიონის ახალი დასახლება ლეჩორთა და სოფელი ჟამუსი.

რა პაკაითოთ ?!



არადა, სვანური „ჟა“ ზევეს ნიშნავს, ხოლო „მუს“ კი თოვლს. ესე იგი „თოვლის ზევეი“. ასევეა ზევეის ქვეშ მოყოლილი სოფელი ნაჩოლანცი, რომელსაც ნამეწყარალი ჰქვია. ჩვენს დალოცვილ მამა-პაპას სახელებიც კი ისეთები შეურჩევია, რომლებიც გვაფრთხილებენ: — ერიდეთ ამ ადგილებში ცხოვრებასო.

ვის და როდის მოუვიდა თავში ამ ადგილებში ხალხის დასახლება?

ეს არამარტო საკითხავია, არამედ პასუხის გასაცემიც და მოსათხოვიც.

ადრე თუ გვიან ყველამ ყველაფერზე უნდა აგოს პასუხი და აუცილებელიცაა ხალხმა იცოდეს ეს. ამის გარეშე ვერც დღეს, ვერც მომავალში ვერ ავიცილებთ თავიდან უპასუხისმგებლობისა და განუკითხაობის შედეგად გამოწვეულ მსხვერპლს, დიდ სულიერ და მატერიალურ დანაკარგებს.

რატომ არც ერთი სვანური კოშკი არ დაინგრა და არც კი დაზიანებულა? და არც ერთი საეკლესიო ნაგებობა?

ნუთუ არავის არაფერს ეუბნება სვანური კოშკის ბუნებასთან შერწყმული არქიტექტურა?

და არც მათ გვერდით ან მათ შორის აგებული სტანდარტული საცხოვრებელი სახლები და სხვა შენობები?

ერთგვარი სტილი ვისიმე კერძო მომიზეზებით კი არ იქმნებოდა და ყალიბდებოდა. გონიერი ქართველების ნახელავია ყოველივე, რაც ღირებული შემოგვრჩა და რასაც გათვალისწინება სჭირდება.

დიდი რამ არის ერის ისტორიული გამოცდილება. სიბრძნეა ამის არცოდნა და უგულვებელყოფა.

მიზეზსა და შედეგს შორის ხილული, ხოლო ზოგჯერ უხილავი კავშირიც არსებობს და იგი უნდა დავინახოთ. ვისაც ეს არ შეუძლია, მას ბედი კაცისა, მიწისა, წყლისა, საერთოდ, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმისა, არ შეიძლება ვანდოთ. და არც არაფერი უნდა მოვიმოქმედოთ ისეთი, რასაც წინ საჯარო განხილვა, გულახდილი მსჯელობა, განსჯა, ურთიერთსაწინააღმდეგო აზრთა შეჯერება და ქვემარტების დადგენისაკენ სწრაფვა არ უძლევის.

ასეთ ვითარებაში უთუოდ შევძლებდით თბილისის შემოგარენისათვისაც მოგვევლო და ჩვენი დედაქალაქის ყოვლად გაუმართლებელი ზრდა-გაფართოებისათვისაც დაგვეღწია თავი.

უთუოდ აღრინდელ, შემდეგდროინდელ და ა. შ. ხელმძღვანელებს. მაგრამ, ავრეთვე ყველას, თითოეულ ჩვენგანს, გულახდილობის, საჯაროობის, აზრის თავისუფალი გაზიარებისა და წინადადებების გაბედული დასმის, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისა და მისთვის ანგარიშისგაწევის პირობებში ეს ალბათ შესაძლებელი იქნებოდა.

ეს მაშინ დღეს? ახლაც ბევრი რამ, რაც წარმოებას, დაწესებულებას, ორგანიზაციას, სოფელს, ქალაქს და ა. შ. ენება, ზოგჯერ „დახურული“ კარების მიღმა წყდება.

საკითხის განხილვა ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს და საჯაროობის მოჩვენებითობას კვლავ ამ საქმეში გაწაფული პირები თაოსნობენ.

გარდაქმნის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, ადამიანის ფაქტორის გაძლიერების ბედი ფაბრიკასა და ქარხანაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში წყდება. აქედან იწყება, ვითარდება და ფართოვდება ყოველივე, რაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების განახლებასთან არის დაკავშირებული.

ახლახან ძალაში შევიდა სსრ კავშირის კანონი „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“. იგი განსაზღვრავს საწარმოს (გაერთიანების) სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკურ და სამართლებრივ საფუძვლებს, განამტკიცებს წარმოების საშუალებათა სახელმწიფო (საერთო-სახალხო) საკუთრებას მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, კავშირ-გაბმულობაში, მეცნიერებასა და სამეცნიერო მომსახურებაში, ვაჭრობაში, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, მომსახურების სფეროსა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, აფართოებს ამ საკუთრების გამოყენებაში, საწარმოთა (გაერთიანებულთა) მართვაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა გადაწყვეტაში მშრომელთა კოლექტივების მონაწილეობის შესაძლებლობას.

ახალ ვითარებასა და პირობებში სამეურნეო საქმიანობა განსხვავებულ პრინციპებს ემყარება და ამ პრინციპებით ხელმძღვანელობს. საქმე ის არის, რომ სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში, სამეურნეო საქმიანობა სოციალისტური თვითმმართველობის მეშვეობით ხორციელდება. ეს იმას ნიშნავს, რომ შრომითი კოლექტივი დამოუკიდებლად წყვეტს საწარმოს და სოციალური განვითარების ყველა საკითხს. საწარმოს მუშაობის მიღწევები და დანაკარგები უშუალოდ ახდენს გავლენას კოლექტივის სამეურნეო-ანგარიშებრივი შემოსავლის ღონეზე, თითოეული მუშაკის კეთილდღეობაზე. თვითდაფინანსება შრომითი კოლექტივის დამოუკიდებლობას გულისხმობს და მოითხოვს კიდევ. ამის გარეშე არ არსებობს თვითდაფინანსება. მისი საფუძველია თვითდაგვემვა. თვითმომარაგება, თვითმმართველობის დემოკრატიული საწყისების გაფართოება.

ახალი ვითარება ხელმძღვანელის ახალ ტიპს თხოულობს. ისეთს, რომელიც არსებითად განსხვავდება თავისი წინამორბედისაგან. ეს წინამორბედი შესაძლოა თვითონ შენ იყო. მაგრამ ახლა უკვე ისეთი აღარა. როგორც იყავი. ამიერიდან კარგავს თავის მნიშვნელობას მართვისა და ხელმძღვანელობის ძველი, დრომოქმული მეთოდებისათვის დამახასიათებელი ისეთი ნიშნები, რომლებიც არცთუ შორეულ წარსულში, ავად თუ კარგად, მაინც უზრუნველყოფდნენ საწარმოს. დაწესებულების ორგანიზაციის საქმიანობის წარმატებას, იმ დროს. უპირატესად ფასდებოდა ხელმძღვანელის საშემსრულებლო ნიჭი და უნარი, ინსტრუქციებისადმი ერთგულება და „ზემოდან მითითებებისადმი“ მორჩილება. ახლა მოქმედი პირია საჭირო. მას ახლა დამოუკიდებელი აზროვნება და დამოუკიდებელი მოქმედება მოეთხოვება. და არამარტო შემსრულებლობა, თუ, რა თქმა უნდა, შემსრულებლობის ძველზე გაგებას დისციპლინისათვის თანამედროვე მოთხოვნებთან არ გავაიგივებთ. გვემების შემკირებისა და მათი კორექტირებისათვის ზრუნვა დღეს უაზრობად იქცა. საწარმოს მართვის თანამედროვე მოთხოვნები ადამიანს უფრო ჰქვია, საზრდის, გაბედულად დამოუკიდებელსა და ეკონომიკურადაც, პოლიტიკურადაც უფრო განათლებულს ხდის. ეს ობიექტური რეალობაა.

რა ვაქეთოთ? გარდაქმნას საკადრო უზრუნველყოფა სჭირდება.

დიდმის მასივი. ვანა ამ საცხოვრებელი მასივის შექმნას ის არ აჯობებდა, რომ გლენი გლენად დარჩენილიყო. ხოლო დიდმის უკვე დამუშავებული, ბარაქიანი მიწა ისევ სასოფლო-სამეურნეო კულტურების, მესაქონლეობისა და დედაქალაქის სურსათით მომარაგებისათვის გამოიყენებინა?

ერთი-ორი მძლავრი მრავალდარგოვანი კოლმეურნეობა თბილისის ახლოს — დიდმის მეურნეობა.

მასივის ნაცვლად — მეურნეობა.

საკოლმეურნეო მამულის ადმინისტრაციული ცენტრი: კოლმეურნეობის გამგეობის შენობა, კლუბი, კინოთეატრი, ფოსტატელეგრაფი, სატელეფონო კვანძი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, სამრეწველო საქონლის მაღაზია... და სოფელი: თანამედროვე კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები საკარმიდამო ნაკვეთებითა და დამხმარე სათავსოებით, სკოლები და სკოლამდელი დაწესებულებები, საავადმყოფო, პოლიკლინიკა და პროფილაქტორიუმი... საკოლმეურნეო მიწდვრები, ბალ-ვენახები, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმები.

მასივის ნაცვლად — ასეთი სოფელი.

იმ დიდძალი სახსრებისა და სამშენებლო მასალის ხარჯზე, რაც დიდმის მასივის მშენებლობას მოხმარდა.


სოფლის ბატონ-პატრონი მეურნეა — გლენი: მაგრამ ასეთ სოფელში მასწავლებელიც საჭიროა, ექიმიც, ინჟინერიც, აგრონომიც, ეკონომისტიც, ტელეფონისტიც, ტელევიზორის შემკეთებელიც და სამაცივრო მეურნეობის სპეციალისტიც, ნებისმიერი სხვა პროფესიის ადამიანი.

ვის წამოვა ასეთი სოფლიდან მასივში საცხოვრებლად? მეტრო, სხვა სატრანსპორტო საშუალებები.

ეჰ!

ოცნება და სინამდვილე.

ვის უნდა ეფიქრა და ეზრუნა ამისათვის?



ეს ლოზუნგი არ არის.

პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელობას დღეს მხოლოდ ის შეძლებს, ვისაც შესწევს უნარი, დასძლიოს მუშაობის მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ და ფორმალურ-ბიუროკრატიულ სტილს. ასეთი სტილი არ მოითხოვს არც მართვის ეკონომიკური მეთოდების ცოდნას, არც ადამიანის მოსმენისა და გაცემის უნარს, არც მიღებული გადაწყვეტილებებისა და საკუთარი მოქმედების, სხვის ნააზრევთან შეჯერებას და საერთოდ პოლიტიკური კულტურის რამდენადმე მაღალ დონეს.

ამისდა მიუხედავად, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების რეზერვებს ჩვენ ხშირად კვლავინდებურად ძველ სათავსოებში ვეძებთ და გვაფიქვდება, რომ დემოკრატიულ და ამა-სთანავე ეკონომიკურ მეთოდებს შეუძლია, მძლავრად დააჩქაროს გარდაქმნის პროცესი. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მომწიფებული პრობლემების გადაჭრა უმთავრესად არასტანდარტულ, ახლებურ მიდგომას ითხოვს და გარდაქმნის საკადრო უზრუნველყოფა ახალი ტიპის ხელმძღვანელის პრაქტიკულად, არა სიტყვით, არამედ საქმით, აღზრდას შეუძლია.

არადა არ მოხერხდა ქალაქების ნაკადის რამდენადმე მაინც შემცირება. ბევრ შემთხვევაში საყვედურობენ, რომ კვლავინდებურად გრძელდებოთ გაუთავებელი შემოწმებების დაგმობილი პრაქტიკა. ადგილებზე კვლავინდებურად ბევრი „ვიზიტორია“, რომელიც თავის მოვალეობას ღირებულებების გადაცემით, ნაკლავანებების აღრიცხვით შემოფარგლავს და არა დახმარებით საქმის უკეთესი ორგანიზაციის მიზნით. ამიტომაც იჩენს ხოლმე თავს წინააღმდეგობა შრომითი კოლექტივების მხარდ აქტიურობასა და ახალ პირობებში მუშაობის ძველ სტილს შორის, რაც აფერხებს გარდაქმნის პროცესს.

და, მაინც „რა „ვაკეთოთ“?

მ. ს. გორბაჩოვი:

— ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა მართვა ბრძანებებით, აკრძალვებით, მოწოდებებით ამოიწურებოდა. ახლა უკვე ყველასათვის ცხადია, რომ ასეთი მეთოდებით მუშაობა აღარ შეიძლება. ისინი უბრალოდ აღარ არის ეფექტიანი. შევქმნათ ისეთი მოტივებისა და სტიმულირების მძლავრი სისტემა, რომლებიც ყველა მუშაკს აიძულებს, სრულად წარმოაჩინონ თავიანთი შესაძლებლობები, იშრომონ ნაყოფიერად, რაც შეიძლება ეფექტიანად გამოიყენონ საწარმოო რესურსები — ასეთია დროის მოთხოვნა.

გარდაქმნას ზუსტი ორგანიზაცია ესაჭიროება და პარტიულ-პოლიტიკური უზრუნველყოფა.

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. 16 სექტემბერი. 1987 წელი.

ტრიბუნაზეა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ე. ი. ჩაზოვი. იგი მომხსენებელია. მისი დინჯი, დამაჯერებელი. კეთილად განწყობილი მსჯელობა ბევრ საფიქრალს აღძრავს და ამისათვის სულაც არ არის აუცილებელი ექიმი იყო.

— ქართული მედიცინის მეცნიერების დამსახურებანი საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ წამყვანი ქართული სამედიცინო სკოლების ტრადიციები თანდათან ქრება, ისევე, როგორც ქრება ქირურგთა, მეან-გინეკოლოგთა და სხვათა სკოლებიც.

აი ასე.

ქრება!

და განა მართო ჩვენთან ან მართოდენ სამედიცინო სკოლები?

სსრ კავშირის სახალხო არტისტი ევგენი ლეონოვი:

— თანამედროვე რეჟისორები, უმეტესწილად, პედაგოგები არ არიან. ყოველ შემთხვევაში მე ასე მგონია. დღეს რეჟისორი დაინტერესებულია სცენოგრაფიით, საინტერესო მიზანსცენებით. ასეთ რეჟისორებშიც არიან იდიდი და საინტერესო ოსტატები, მაგრამ რეჟისორული სკოლა, სამწუხაროდ აღარ არის.

აღარც რეჟისორული სკოლა!

და აღარც ოსტატის შეგირდი!

კი მაგრამ, ვის ტოვებ შენს შემდეგ?

ვინ აგრძელებს, სრულყოფს და ვის აპყავს თვისებრივად ახალ საფეხურზე შენი დაწყებული საქმე და კიდევ უფრო ზრდის მის ავტორიტეტს, მოაქვს მისი კიდევ უფრო ფართო აღიარება?

რატომ ხდება, რომ ერთმანეთს ხელს ვუშლით, წინაღობებს ვუქმნით, სახელს ვუტეხთ, რაღაცებს ვუგონებთ, ცილს ვწამებთ და საერთო საქმეს კი ვაფუჭებთ?

ფიზიკური კულტურა და სპორტი ამავე დროს ერის საერთო კულტურის მაჩვენებელიცაა და მისი ეროვნული სიჯანსაღის გამომხატველიც.

გასულ წელს ქართულმა ფეხბურთმა საქაოზე მეტად გვანერვიულა და სულიერი ტრავმაც მოგვაყენა.

თითქოს არ უნდა გვემართებოდეს ასეთი რამ, მაგრამ მიზეზ-შედეგობრიობის ფესვებს თუ ჩაეყვებით, დამაფიქრებელიც ბევრი ამოყოფს თავს.

საერთო საქმისათვის ზრუნვა და ეროვნული ინტერესების დაცვისათვის მზადყოფნა ჰქვია ამას.

არა მე და არა შენის ძახილი, რასაც, როგორც წესი, საერთო საქმის ინტერესები მსხვერპლად ეწირება, კარგს არაფერს მოგვიტანს.

საქართველოს პირველობაში მონაწილე საფეხბურთო გუნდების არაერთი უღისციპლინობის ფაქტის მოწმე ვაგმზადრავართ. ქართველი მსაჯების არაობიექტურობაც და მათ მიერ დაშვებული დანაშაულებრივი შეცდომებიც გვახსოვს, მაგრამ არც ხსნა, არც შევლა არსაიდან ჩანს. ფეხბურთელები ხშირად აცდენენ ვარჯიშს, არღვევენ საყოფაცხოვრებო და სათამაშო დისციპლინას. საერთო თავაშვებულება და თამაშის შედეგი კი პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან.

საკითხავია, რატომ აღგავმფთოებს ხოლმე სხვა ქალაქიდან ჩამოსული მსაჯის მიერ დანიშნული „საექვო“ პენალტი და კიდევ უფრო მეტ გულისწყრომას არ იწვევს ჩვენივე მსაჯის ჩვენსავე გუნდების შეხვედრების დროს გამოვლენილი არაობიექტურობა? რესპუბლიკური საფეხბურთო შეჯიბრებების მთავარი დანიშნულება ხომ ის არის, რომ ხელი შეუწყოს თამაშის კლასის ამაღლებას და გამოავლინოს ნიჭიერი, პერსპექტიული ფეხბურთელები, რაც უძმაღლესი და პირველი ლიგის ფეხბურთის გუნდებში თაობათა უწყვეტი ცვლის მტკივნეული პრობლემის გადაჭრას გააადვილებს.

თუ ქართული სპორტის, კერძოდ, ფეხბურთის განვითარების საერთო ინტერესებიდან გამოვალთ, განა სულ ერთი არ უნდა იყოს, ვინ გაიმარჯვებს, ტყიბულის თუ, მაგალითად, სოხუმის ან სხვა რომელიმე ქალაქის და რაიონის გუნდი?

მართალია, ყველაფერი მშობლიური სოფლიდან, რაიონიდან, ქალაქიდან იწყება და ადგილობრივი ხელმძღვანელების, პრესის მუშაკების, გულშემატკივრების დაინტერესებაც ბუნებრივია, მაგრამ ამით ხომ არ მთავრდება ყველაფერი? საერთო ეროვნული ინტერესები, რესპუბლიკის სახელი და ღირსებაც ხომ ამ ქალაქებისა და სოფლების მკვიდრთა ერთობლივ მონდობებას ითხოვს.

სანამ ამ უბრალო ჭეშმარიტებას ყველანი მტკიცედ არ შევითვისებთ, ჩვენი ეროვნული საქმე წინ ვერ წავა.

ისიც მართალია, რომ ბევრი უარყოფითი მოვლენა მაქსიმალური სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციის გამო შექმნილ საერთო ვითარებასთან აღმოჩნდა დაკავშირებული და „მოიმედოობის“ სულისკვეთებაშიც ამიტომ უფრო გაიღვა ასე ფართოდ ფეხი, მაგრამ საკუთარ თავს ჩვენვე უნდა მივხედოთ და სხვისი „მოიმედოობის“ სენსაც ჩვენ თვითონვე მოვიერიოთ.

სკკ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმი:

— ჩვენში ძლიერ განვითარდა სხვისი მოიმედოობა სასურსათო საკითხთა გადაწყვეტაში. ბევრი რეგიონის ხელმძღვანელები იოლად უდგებიან ამ საქმეს. საკვები არ ჰყოფნით? გზავნიან დეპეშებს ცენტრალურ კომიტეტსა და მთავრობაში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების რესურსები დააკლდათ? — ისევე დეპეშით მიმართავენ ცენტრს.

— ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს ადგილობრივი ინიციატივის საფუძველზე არა მართო სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გაზრდისათვის, არამედ კვების მრეწველობის განვითარებისათვისაც. რატომ არის, რომ ვთქვათ, უზბეკეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთში, ნეღლეულის უმიდირესი რესურსების მიუხედავად, 25-დან 50 პროცენტამდე საკონდიტრო ნაწარმი სხვა რესპუბლიკებიდან შეაქვთ? მხოლოდ 30 პროცენტით არის უზრუნველყოფილი ადგილობრივი ნაწარმის გზით ყაზახეთის მოსახლეობის მომარაგება ხილბოსტნეულის კონსერვებით, დანარჩენი კი შემოტანილია. რას ჰგავს ეს?


არაფერს არ ჰგავს ეს.

— უამრავმა ფაქტებმა დაგვარწმუნა კიდევ უფრო მნიშვნელოვანში — ადამიანის განთავისუფლებული ინიციატივა, მეტისმეტად ორგანიზებულობაზე, გადაჭარბებულ ცენტრალიზაციაზე უარის თქმა საშუალებას მოგვცემს, იმავე რესურსებით უზრუნველყოთ წინ ვაჭრა სასურსათო რესურსების ზრდის გზაზე.

ჩვენც ხომ ასეთ სხვის მოიმედეთა შორის ვართ: პურიო, ხორციო, კარაქიო, ყველიო, შაქარიო, კონსერვებიო, კბილის პასტა და ტუალეტის ქაღალდიო... ვინ მოთვლის, კიდევ რა. ასანთიც კი კალუგის ოლქის ბალაბანოვოს ექსპერიმენტული ფაბრიკიდან შემოგვაქვს.

რას ჰგავს ეს?

სამრეწველო დანიშნულებით მელვინეობის განვითარებაში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით, იქნებ ნაწილობრივ ვენახის, აგრეთვე სხვა მიწების ხარჯზე საძოვრები ვავიჩინოთ. კა-



ხელმა გლეხმა ვენახი რომ აჩეხა და საზამთროს მოეკიდა — ფულის შონამ სძლია მას, როცა ყველაფერი საყიდელი გაუხდა. იქნებ ნაკლები და იშვიათი ქართული ჯიშის ყურძენსა და ღვინოზეც ვიფიქროთ, უცხოელი მკიდველიც რომ ეყოლოს და მოვეშვათ იმ მიწებს, სადაც განუწყვეტლივ სეტყავს და ჩვენს გონიერ, დამოუკიდებლად მოაზროვნე წინაპრებს იქ ვენახი არ ჰქონიათ. ან იქნებ დასახლება-გადასახლების საქმესაც იმდაგვარად მივუღდეთ, რომ ახალი საცხოვრებელი ადგილების ათვისების ნაცვლად ის ტერიტორიები და საცხოვრებელი სახლები გამოვიყენოთ საკარმიდამო ნაკვეთებით, რომლებიც კარგა ხანია მიტოვებული და დაცარიელებულია. ზოგან მთელი სოფლებიც კი. ისიც შესაძლებელია, რომ სადაც მართლაც ცოტა თავისუფალი მიწა, გამოეყოთ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების კუთვნილი მიწები და დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილებები პირადი დამხმარე მეურნეობების განვითარებისათვის. ფერმული მეურნეობა, რის საშუალებასაც ოჯახური იჯარა ჰქმნის, კაცს მიწაზე ამაგრებს. ახლა კი ჩვენი სოფლის მცხოვრები სასურსათო მალაზიის ისეთივე მომხმარებელი გახდა, როგორც ქალაქელი. ცხადია, თუ მარჩნალი ძროხა არა გყავს, კარაქიცა და ყველიც საყიდელი გექნება. მაგრამ ძროხამ რომ გაჯამოს, შენც ხომ უნდა აჯამო მას. ხომ გვეუბნებიან, მბრძანებლობას მოეშვით და ისწავლეთო სახალხო მეურნეობის ეკონომიკური მეთოდებით მართვა, შეეჩვიეთ სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში ცხოვრებასო — ვიღოთ ყურად ეს ნათქვამი, ვისწავლოთ და შევიჩვიოთ თქმულის კეთებას.

თვითდაფინანსების ცნება იმ ფრიად მნიშვნელოვან საკითხსაც უკავშირდება, რომელსაც ფულის მიმოქცევა და ბანკის საღაროებში ფულის ნიშნების შეტანა ჰქვია. ამის გარეშე შეუძლებელია მუშა-მოსამსახურეთათვის ხელფასების დროულად გაცემა. ესეც გაძნელდა. აქაც სხვის მოიხედობამ გვძლია. სხვა მიზეზებთან ერთად, რომელთა შორის კვლავ საგრძნობია ვაჭრობისა და ფასიანი მომსახურების სფეროში ამონაგების გარკვეული ნაწილის მითვისების ოდენობა, აგრეთვე მრეწველობის მიერ გამოშვებული ნაწარმის მდარეხარისხოვნება, ასეთი მდგომარეობა იმანაც განაპირობა, რომ ვერა და ვერ დაიძრა ადგილიდან საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების კოოპერატივების შექმნის საქმე.

სახალხო ღუპატატა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა მეორე რესპუბლიკური კრება:

— ტიანურდება კოოპერატივების რეგისტრაციისა და მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტა, რაც ხშირად ყოველგვარი მითქმა-მოთქმის საგანი ხდება.

მითქმა-მოთქმას საფუძველი აქვს. ის საფუძველი, რომ თანამდებობის პირები, რომლებსაც მინდობილი აქვთ კოოპერატივების შექმნისათვის მუშაობის ხელმძღვანელობა და ინდივიდუალური შრომის განვითარებისათვის ხელის შეწყობა — გამოძმალველობას ეწევიან, ქრთამს იღებენ და ამდაგვარად ამუხრუჭებენ გარდაქმნის პროცესს. მარტოოდენ ფაქტების ჩამოთვლა საქმეს არ შევლის. ამა თუ იმ ფაქტის, მოვლენის გამოძვევებ მიზეზებს უნდა ჩავწვდეთ და როცა მათ აღმოვფხვრით, შედეგსაც მაშინ მივიღებთ.

— უნდა ვიმოქმედოთ უფრო გაბედულად, ყოყმანის დრო აღარ რჩება, თორემ იმ სიახლეებს, რომლებიც ხორციელდება და კვლავაც განხორციელდება საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის გასარმაველად, სახელი გაუტყდა.

ბევრ რასზე საჭიროსა და სასარგებლოს გაუტყდა უკვე სახელი სწორედ მოჩვენებითი დემოკრატიზაციის პირობებში.

ისეთიც მომხდარა, როცა მომჭირნეობისაკენ თითქოსდა სავსებით გამართლებული სწრაფვა ზოგჯერ ძალზე ძვირი დაგვიჯდა. ასე მოხდა, მაგალითად, როცა „ფინანსური მოსაზრებებით“ მთიანი სოფლების მცირეკომპლექტური სკოლები დავხურეთ, რამაც აგრეთვე შეუწყო ხელი მოსახლეობის მასობრივ მიგრაციას. ასე მოხდა მაშინაც, როცა გამომუშავებული ელექტროენერჯის სიძვირისა და ავტომატიზაციის დაბალი დონის გამო, ხელი ავიღეთ მცირე ელექტროსადგურების ქსელის განვითარებაზე. აქაოდა, ისინი მძლავრ ელექტროსადგურებს კონკურენციას ვერ უწევდნენ. ამის მომზეზებით უკვე მოქმედი 30-ოდე ასეთი სადგურიც კი ჩამოვწერეთ.

ახლა კი თავში ხელს ვიცემთ და გავიძახით: დიდი და მოუტევებელი შეცდომა მოგვივიდა, რამაც საგრძნობი ზიანი მიაყენა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობასო.

შეცდომები, შეცდომები, შეცდომები!..

რა ვაკეთოთ?

უნდა ვეცადოთ, მგავსი შეცდომები აღარ დავუშვათ. განსა-

კუთრებით ისეთი, რომლებიც ძალზე ძვირი გვიჯდება და რომელთა მიერ გამოწვეული დანაკარგების ანაზღაურება ზოგჯერ შეუძლებელიც კი ხდება.

ხურც გრანდიოზულ მასშტაბებს გამოვეციდებით და სამყაროს გაცემა მოვიხდომებით. არ გვინდა ევროპასა თუ მსოფლიოში ყველაზე მაღალი კაშხალი, არც ყველაზე მეტი დიპლომათი სასიძო, სხვებზე მრავალსართულიანი სახლი, თბილისის პარიზთან, ნეაპოლთან და ბარსელონასთან შედარება.

ჩვენს კანში დავეტიოთ.

და კარგად დავიძახოთ ვ. ი. ლენინის კეთილი რჩევაც ქართველი კომუნისტებისადმი იმის თაობაზე, რომ არ არის აუცილებელი რუსული შაბლონების მექანიკური გადმოღება.

ეს დავგეგმავთ, უკეთ გავითვალისწინოთ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიული და სხვა სპეციფიკური თავისებურებებიც. იქნება მომავალში უპირატესობა პატარა, ტექნიკურად კარგად აღჭურვილ საწარმოებსაც მივანიჭოთ. ეს მით უფრო საგულსხმია, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში ასეთ საწარმოებს უფრო სწრაფად და მოქნილად შეუძლიათ გაითვალისწინონ ტექნოლოგიური სიახლენი, მოთხოვნის ცვლილებები. ადგილობრივი მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის ასეთი საწარმოები უკეთ დააკმაყოფილებენ საჭიროებას წვრილსერიულ და საცალო პროდუქციასზე და რაციონალურადაც გამოგვაყენებინებენ როგორც ბუნებრივ, აგრეთვე თავისუფალ შრომით რესურსებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობა:

— დაჩქარების კურსი არ იფარგლება ეკონომიკის დარგში მიღწეული გარდაქმნებით. იგი ითვალისწინებს აქტიური სოციალური პოლიტიკის განხორციელებას, სოციალისტური სამართლიანობის პრინციპის თანმიმდევრულ დამკვიდრებას. დაჩქარების სტრატეგია გულისხმობს საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფას, პოლიტიკური და იდეოლოგიური ინსტიტუტების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების განახლებას, სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავებას, ინერციის, უძრავობისა და კონსერვატიზმის — ყოველივე იმის გადაჭრით დაძლევას, რაც ხელს უშლის საზოგადოებრივ პროგრესს.

ჩვენ ხელს ისიც გვიშლის, რომ ვერ ვზრდით ყველას და ვერ ვიზრდებით დისციპლინირებულ შრომას: მოსწავლე, სტუდენტი, მუშა, გლეხი, მოსამსახურე, მეცნიერი მუშაკი და სპორტსმენი. ყოველდღიური, სისტემატური, ბეჯითი შრომის ჩვევისა და უნარის გამომუშავება გვეზრდება ყველას. საერთო წიგნიერების, ინტელექტისა და კულტურის დონის ამაღლება. კულტურა ქართულად დამუშავებას ნიშნავს და მუშაობის, შრომის გარეშე, კულტურული ვერც კაცი და ვერც საზოგადოება ვერ იქნება.

დაფიქრება გვმართებს ამის თაობაზე.

სპორტსმენის შრომა — სისტემატური, დაუზარებელი, დაუღლებელი ვარჯიშია. ამის გარეშე წარმატებას ვერ მიალწევ. ასეა ყველგან და ყველაფერში. ფიზიკური თუ გონებრივი ვარჯიში და ორივე ერთად გამოიმუშავებს ადამიანისათვის აუცილებელ შრომით ჩვევებს, შემდეგ უნარსაც, რომელიც მოთხოვნილებაში გადადის და ამდიდრებს ადამიანის ცხოვრების შინაარსს. სხეულიც ვარჯიშს მოითხოვს და გონებაც. ამის გარეშე ვერ შევძლებთ ჩვენი ყოფითი, აგრეთვე ეკონომიკური და პოლიტიკური კულტურის ამაღლებას. პატიოსანი შრომით მიღწეული საერთო კულტურის დონე უნდა ავიმაღლოთ, რათა ჩავწვდეთ საკუთარ ფესვებს და გავარჯიხოთ, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და განვსაზღვროთ ჩვენი კუთვნილი ადგილი საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების გარდაქმნის პროცესში.

რა ვაკეთოთ?

არც ისე ბევრნი ვართ და გავუფრთხილდეთ ერთმანეთს.

ისე გავაკეთოთ, რომ ერისა და ქვეყნისათვის სასარგებლო ადამიანები მსხვერპლად აღარ შეეწირონ დამბეზლებებს, მლიქვნელებს და კარიერისტებს. ბევრი შეეწირა. როგორმე იქნებ ტყუილსა და სიყალბესაც გადავეჩვიოთ და ისინიც საბოლოოდ ავლავმოთ, ვინც საკუთარ ჯიბეს ჩვენი ჯანმრთელობის ხარჯზე ივსებს. აი ახლაც, ვასული წლის დამლევის, თბილისის საკონსერვო ქარხანაში სავაჭრო ქსელიდან ორი ტონა შაქარი შეზიდეს ფალსიფიცირებული წვენი დასამზადებლად. მე თუ მკითხავთ, ვინც ამას აკეთებს და სხვა მსგავს მაქინაციებზე მიდის, ხალხის მტერი სწორედ ის არის.

მტერს მტრულად მოვექცეთ, მოყვარეს კი მოყვრულად და პირში უფძრავოთ.

კიდევ უფრო მტკიცე და ხალისიანი ნაბიჯით გვევლოს ამ დალოცვილ ახალ წელს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების გაძლიერებისა და გაჯანსაღების გზაზე.

მრავალ ახალ წელს!



ექტივით „მონადირეული“ ატობით მზის მეპატრონე ვარ. რომელი ერთი ჩამოვინთვალო: ტბათანადან კახეთის ქვეყანაში გოღერძის ზეკარიდან ტბის წყლის ბიჭვინთის ფიჭვნარიდან შავ ზღვაზე, მდინარე პეჩორადან პალიასტომის ტბაზე, ასპინძა-ახალციხის ვზატკეცილიდან — მტკვარზე, უდაბნოში, ტყეში, ყინვარზე.

ისე, როგორც იშვიათ ნადირ-ფრინველზე, მზეზე ნადირობასაც მოთმინება, გამძლეობა, ეშმაკობა, „მსხვერპლის ქვევების“ ცოდნა სჭირდება. ერთხელ, აფხაზეთში, ამტყელის ტბასთან, მზე ზუსტად მაშინ მოვაქვე თბიქტივის ტყეობაში, როცა ხის „ურჩხულმა“ ნანადირევს ის-ის იყო ხახაში გადაუძახა. დაიბეჭდა სურათი. იგი ერთობ წააგავს ჩვენი ბავშვების საყვარელი მწერლის კორნეი ჩუკოვსკის ზღაპრის „მოპარული მზის“ სიუჟეტს, ნიანგმა რომ მზე გადაყლაპა, ქვეყნიერება დააბნელა და ყველა სულიერი საგონებელში ჩააგდო...

მზის ამოსვლა სიცოცხლის გაღვიძებაა, ქვეყნიერების ღიმილია, ყველა სულდგმუ-

მზის ღიმილი

არნოლდ გეგეპორი



ფოტო ავტორისა

სრასოდეს დამავიწყდება ბავშვობისდროინდელი ერთი სისხამი დილა. ზღვაზე, პიონერთა ბანაკში ვისვენებდი. პიონერხელმძღვანელმა გავვალვინა:

— შეხედეთ, მზე როგორ ამოდისო! იმოღენა და ისეთი ლამაზი მზე მანამდე არ მენახა. უკიდევანო, მტრედისფერი წყლის ჰორიზონტზე ის იყო ამოცურდა მნათობის უზარმაზარი, კაშკაშა გავარვარებული დისკო. მოგიზგიზე ბურთივით ამოცურდა. სულ უფრო და უფრო იბერებოდა, ივსებოდა.

მაშინ ფიქრადაც არ მომივიდოდა მზეზე ნადირობა. გამოხდა უამი. ჩემი ცხოვრება, საქმიანობა ბუნებას დავუკავშირე. რამდენი აისი, მით უმეტეს, დაისი მინახავს ბუნების წიაღში. ფოტოსაქმესაც დავუფელე და მალე მზეზე თავგამოდებული „მონადირე“ გავხდი. ამჟამად ტელეობი-


ლისათვის იმედის მიმცემია. სამზეო ქვეყანაში — საქართველოში, ეს მნათობა მნათობი წელიწადის არც ერთ დროს არ მოგანატრებს ღვთიურ ღიმილს. ვისაც სრულად გაუთავისებია ჩვენი მამულის მიწა-წყალი, მთა და ბარი, ამერ-იბერი, ვინც ამაყი კავკასიონის ქედებს შორის მოქცეული ბუნების მესაიდუმლე გამხდარა, იგი ყველა ზაფხულს, მზის ბატონობის უამს, თავიდან ვანიცდის მნათობის დაბადებასთან დაკავშირებულ ბევრ ძირველ სიტყვას, ცნებას. აი. ისინიც: აისი, განთიადი, ალიონი, ცისკარი, დაფიონი, უთენია, სისხამი დილა, გარიჟრაჟი, რიბირაბო...

ქალაქს მიჯაჭვული ადამიანისათვის ბევრი ამ სიტყვათაგან მხოლოდ ერთ წარმოდგენას, უნიფიცირებულ ხატს ქმნის. ქვეშარიტი ბუნების მოყვარულისათვის კი თითოეულ ამ სიტყვაში თავმოყრილია ცოცხალ სახეთა მთელი სამყარო. ნუ გავიკვირდებით. ასეთი ადამიანები მზის ამოსვლას გრძნობენ არა მარტო მხედველობით, არამედ ყნოსვითაც (ალიონზე სულ სხვა სურნელია), სმენითაც (გარიჟრაჟზე სულ სხვა ბგერებია), ასე გასიჩქეთ, შეხებითაც.

აისი ქართული ენის ერთ-ერთი უმშვენიერესი სიტყვაა. იგი ადამიანის მხოლოდ სათანადო, პოეტური განწყობილებისას წარმოიქმნება. წარმოდგენელია კაცს ეს სიტყვა მოადგეს პირზე ბილწსიტყვაობისას, გაუგებარია მისი თუნდაც ხმაშალი წამოძახება. რატომ? ცისკარის მოახლოებისთანავე ბუნების ხმები თავდაპირველად უნახესი სიმღონით არღვევენ ღამის მყუდროებას. დაფიონზე უკუხეთს აბრეშუმით მსუბუქი, ბაცი ცისფერი ცვლის.

სისხამ დილით ზედ დედამიწასთან ანათებს საწუთროს ცისკარის ობოლი ვარსკვლავი, ჰაერი კი ისე გამჭვირვალე და კამკამაა, როგორც მთის ალპურ ყვავილებში ნაშობი მიწის რძე-ნაკადული.





არა მარტო საძვალეა. მსოფლიოს ეს საოცრებათა საოცრება წარმოადგენდა მზისაღმდომი მიძღვნილ თავისებურ მონასტრულ კოსმოსური დანიშნულების წმინდა ნეს. სწორედ აქედან უპირისპირდებოდა ფარაონთა მემამბოხე სული ტრანსცენდენტის იდეებს.

ცნობილია ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეშვიდე საუკუნით დათარიღებული ეტრუსკული ლამპარი. მასზე ამოტივტივებულია მზე, რომელსაც სხივების სახით ამშვენებს მითოლოგიური სიმბოლოები.

ინდოეთში, ამრიტსარის ბუდისტური ტაძრის ოქროთი მოვარაყებულ კერის ცენტრალური ფიგურაა ოქროს ვეებერთელა მზე.

ამ ძირძველ ცივილიზაციებამდე გაცილებით ადრე, სოლარული კულტურის თავისებურ გამობრწყინებას ვხვდებით პრეისტორიული ესპანეთისა და საფრანგეთის ტერიტორიებზე. კაცობრიობის პირველ მხატვრებს, რომლებიც გამოქვაბულთა და მღვიმეთა კედლებზე წინარეისტორიული ცხოველთა იშვიათ სურათებს ქმნიდნენ, უყურადღებოდ არც დიდი მნათობი დარჩენიათ. და ეს არ არის გასაკვირი. სინათლე ერთადერთი ძალაა, რომელიც უპირისპირდება წყვედიანს. ამიტომ, ბუნებრივია, მიწისქვეშა ბნელებისა და კლდეთა და ლოდთა აჩრდილების ტყვეობაში მყოფი ადამიანი ცდილობდა, ალგორითმულად მაინც შეეტანა სხივი თავის საცხოვრებელში.

„სადაც იქნება სინათლე, იქ იქნება ჩვენი ადვილსამყოფელი“, — საუკუნეთა მანძილზე ლულუნებენ ამ სიტყვებს სკანები განთიადის საგლობელ „რიპაში“. ამ ლულუნსა და გალობას უხსოვარი დროიდან ეხმიანება ქართველი კაცი „ლილეით“, „მზე შინათი“. „მზე დედაა ჩემი, მთვარე მამა ჩემი“ გვამცნობს ძველი კოლხური საგალობელი.

ამრიგად, მზის სიმბოლიკა სისხლბორცულად ანლობელია მზიური ქვეყნის — საქართველოს მკვიდრთათვის.



არასოდეს არ არის ბუნება ისე კდემამოსილი, უბიწო, როგორც ალიონზე.

სალამოყამს მზე თანდათანობით ეფარება დედამიწას. მწუხრი დგება. უჩვეულოდ ერთმანეთს დედაენის ორი ამოდ მოსასმენი სიტყვა — აისი და დაისი. ცის კაბადონი ხელახლა ექცევა მეწამულიდან დაწყებული ფირუზის ფერით დამთავრებულ ფერთა ტყვეობაში. მწუხრი განსაკუთრებით ზაფხულში, შეუმჩნეველად გადადის ბინდში. ბინდბუნდისას აქტიურდებიან ღამის ფრინველები — უფეხურა, ალალი, ბუ, ზარნაშო, ერთადერთი მფრინავი ძუძუმწოვარი — ღამურა. ველმინდვრებსა და ხოდაბუნებში შორს გაისმის მწყერების ომახიანი ქვითკირო. მდინარეთა კბოდეებიდან წყალს ეშურება და სიცხული ნადირი. მთვარის შუქით მოსევადებულ ფშებზე კი ერთმანეთს თამაშს არ აცლიან ვერცხლისფერი თევზები. იფერფლება მებადურთა მიერ დანთებული კოცონის ბოლო მუგუზლები. მწუხრი კი უფრო დიდხანს ინავლება... სანამ წყვედიანი არ შთანთქავს ქვეყნიერებას.

არასოდეს ისე არ მშვიდდება ადამიანის სული, როგორც ბუნების გაღვიძებისა და, მით უმეტეს, მიძინების ჟამს.

აისი და დაისი არანაკლებ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე უჩვეულო, ჭეშმარიტად კოსმოსური კოლორიით... ფერებისაღმი ყველაზე მგრძნობიარე ადამიანსაც კი გაუძნელებდებოდა მათი ჩამოთვლა. ფერადი ფოტოგრაფით გატაცებული კაცი ადრე თუ გვიან ფერებზე დაუოკებელი მონადირეც გახდება.

მზეა ის დიდი მნათობი, რომელსაც ხელთ უპყრია ჯადოსნური პალიტრა. სწორედ ის არის შემოქმედი ბუნებრივ ფერთა სასწაულებრივი თამაშისა.

მზე — სიცოცხლისა და ფერების წყარო! ეს საოცრებაა! მზის სხივთა ათინათში მოდღესასწაულე ფერი სიცოცხლის განუყოფელი თვისებაა.

...ბუნებაში არც ერთი ალიონი ანდა მწუხრი ერთმანეთს არა ჰგავს. აქ მნიშვნელობა აქვს წელიწადის დროებს, სიმაღლის ცვალებადობას ზღვის დონიდან, გეოგრაფიული ზონების მიხედვით დედამიწის ზურგზე წარმოდგენილ ლანდშაფტებს... ბოლოს თვით მზის დისკოზე გადაფარებული ღრუბლების ერთ პატარა ფთილასაც კი.

მზე სიცოცხლის უპირველესი სათავეა.





მის ძალებს მოჰყავს მოძრაობაში წყალი თუ ჰაერი. მზის სითბოს წყალობით მწიფდება ხორბალი და ხილი. მზე ასაჩუქრებს სიცოცხლით ცხოველებსა და ადამიანს. თუმცა ეს მნათობი დედამიწისგან წარმოუდგენლად შორს არის, მისი სხივები და სითბო ჩვენამდე ძალიან სწრაფად — 8 წუთსა და 20 წამში აღწევს.

აგერ უკვე რამდენი ათასწლეულია, რაც ადამიანი აზროვნებს და შრომობს. მის საქმიანობაში, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, განუწყვეტლივია მზე. ამ მნათობს, როგორც სიცოცხლის ნაყოფიერების, აქტიურობის, შინაგანი ენერჯის, ბედნიერების სიმბოლოს კვეთდა ქვაზე, ჭრიდა ხეზე, ჭედავდა ლითონზე, ხატავდა ლოდზე, ქარგავდა ტილოზე, წერდა პერგამენტზე... ადამიანის თვალში მზე განსხეულებულია ბუნებრივ თუ ხეებუნებრივ ძალებში, მიჩნეული აქვს ადგილი მიწიერი საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. ასე იყო ეს ყველა ეპოქაში, ყველა ცის ქვეშ, ადამის მოდგმისა და ამ ციური სხეულის მარადიული კავშირი სულ უფრო მტკიცდება და ფართო გასაქანს აძლევს ახალი სიმბოლოების, ახალ-ახალი ფანტაზიის წარმოქმნას.

მზის კულტის გენეზისს საფუძველი არაერთმა დიდმა ცივილიზაციამ ჩაუყარა. მათ შორის გამორჩეულია ეგვიპტე. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე ათასწლეულში ეგვიპტელებმა მზის სახელობის ქალაქიც კი დააარსეს. ეს იყო ჰელიოპოლისი — ახლანდელი ელ-მატარია ქაიროს მახლობლად. ჰელიოპოლისი ომერთ რაატუმის კულტის მთავარი ცენტრი იყო.

არსებობს აზრი, რომ ქვის უზარმაზარი ნაგებობანი — პირამიდები, ფარაონთა





ასული წლის სექტემბერში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა და მოიწონა წინადადებები ჩაის პლანტაციების აღდგენისა და ჩაის ხარისხის გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ. ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში გათვალისწინებულია, განხორციელდეს არსებული ჩაის პლანტაციების რეკონსტრუქცია და უახლოეს მომავალში გაიზარდოს მათი ფართობები, დარგი აღიჭურვოს ჩაის მოვლამოყვანისა და კრეფისათვის საჭირო მანქანების კომპლექსით, გადიდდეს გადამამუშავებელი საწარმოების სიმძლავრე და მოხდეს მათი ტექნიკური განახლება. ამავდროულად დადგენილებით განისაზღვრა ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისათვის კომპლექსური ღონისძიებები, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების ეკონომიკური სტიმულირების ღონისძიებანი.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის ჩაის პლანტაციების თითქმის 45 პროცენტი ამორტიზებულია და განახლებას მოითხოვს. აგრეთვე აღარც არის საიდუმლო, რომ სა-

ბული ნაზი საგემოვნო პროდუქტია. მეტად სასარგებლო და იშვიათი ნივთიერებების — კოფეინის, ტანინის, კატექინების, ვიტამინებისა და სხვათა შემცველობა, გარდა გემოვნებისა ჩაის ანიჭებს სამკურნალო თვისებებს, ხდის მას ადამიანის საიმედო მეგობრად ბავშვობიდან ღრმა მოხუცებულობამდე.

ამჟამად ჩაის მომხმარებელია ჩვენი პლანეტის მცხოვრებთა ორ მესამედზე მეტი. 1980 წელს დედამიწის ერთ სულ მოსახლეზე ჩაის საშუალო წლიურმა მოხმარებამ 0,21 კილოგრამი შეადგინა, უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში კი ორჯერ გაიზარდა. ჩაის მოხმარების ზრდის ასეთი ტენდენციის შედეგად 1986 წელს ჩაის მსოფლიო წარმოებამ 2 400,2 ათას ტონას მიაღწია. წინასწარი გაანგარიშებით 2000 წლისათვის მსოფლიოში ჩაის წარმოების საერთო მოცულობა 3 მილიონ ტონას მიაღწევს.

ჩაის პლანტაციებს სსრ კავშირში 82 ათასი ჰექტარი უკავია და მათი ძირითადი ნაწილი — 80 პროცენტზე მეტი, თავმოყრილია საქართველოში, რომელიც საბ-

ტით არის დაკმაყოფილებული. ამიტომ სახელმწიფო იძულებულია, ყოველწლიურად იმპორტის სახით შემოსავლის წილს რაოდენობის ჩაის მზა პროდუქტების

ცნობილია, რომ ჩაის ბუჩქის ყლორტწარმოქმნა სტიმულირდება გასხვლით, რითაც მცენარის მიწისზედა და მიწისქვეშა ნაწილებს შორის ირრვევა წონასწორობა. ჩაის მცენარე, ისევე როგორც ყოველი ცოცხალი ორგანიზმი, ცდილობს დარღვეული წონასწორობის აღდგენას, მწვანე ფოთლის სახით საასიმილაციო ზედაპირის წარმოქმნას.

შემოსული ჩაის ღუყების ყოველი შემდგომი კრეფისას წონასწორობა მიწისზედა და მიწისქვეშა ნაწილებს შორის ისევ ირრვევა. ამიტომ მცენარე კვლავ წარმართავს თავის სასიცოცხლო ძალებს დარღვეული წონასწორობის აღსადგენად და ბუჩქზე ისევ ინტენსიფიცირდება ყლორტწარმოქმნის პროცესი — რაც უფრო ხში-

ქართული ჩაის ღირსებისათვის



ქართველოს სსრ მეურნეობების მიერ გამოშვებული ჩაის ფოთოლი 70-80 პროცენტამდე უხეშ ფრაქციას შეიცავს.

თათბირმა დასახა ჩაის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესების კომპლექსური პროგრამა, რომლის წარმატებით გადაჭრაში მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ მეჩაიეებმა, გადამამუშავებლებმა, მანქანათმშენებლებმა, მელიორატორებმა, სამეცნიერო დაწესებულებებმა და სხვა დარგის მუშაკებმა.

ერთი სიტყვით, დღეისათვის მთელი სიმწვავეთ დგას საბჭოთა და კერძოდ, ქართული ჩაის ხარისხის პრობლემა.

* * *

ჩაი — მატერიალური წარმოების სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ ადამიანთა მიზანმიმართული შრომის შედეგად მიღე-

პოთა ჩაის 93 პროცენტზე მეტს იძლევა. ჩაი მოჰყავთ აგრეთვე აზერბაიჯანში და რსფსრ რესპუბლიკის კრასნოდარის მხარეში.

1986 წლის მონაცემებით სსრ კავშირში ჩაის მოსავალმა მიაღწია 598,0 ათას ტონას, ანუ ყოველი ჰექტარიდან მიღებული იქნა საშუალოდ 899,0 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. აღსანიშნავია, რომ მეჩაიეობის სხვა ძირითად ქვეყნებში, სადაც ფოთლის კრეფის სეზონი უფრო ხანგრძლივია (8-10 თვე), ერთი ჰექტარიდანღებულობენ საშუალოდ 60-70 ცენტნერ ჩაის ფოთოლს.

უკანასკნელ წლებში მეჩაიეობაში მიღწეული წარმატებების მიუხედავად, მოსახლეობის მოთხოვნილება სამამულო წარმოების ჩაიზე დაახლოებით 70 პროცენ-

რად მეორდება ეს, მით უფრო ხანგრძლივია ყლორტწარმოქმნა, მცენარე მეტი რაოდენობით იძლევა უმაღლესი ხარისხის პროდუქციას. ამ შემთხვევაში ჩაის ბუჩქზე სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში უნდა ჩატარდეს 14-16-ჯერადი კრეფა. მაქსიმალური და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად ნეკზე საკრეფად ვარგისი ყლორტების ახალი ფორმირებისათვის საჭიროა ნეკების მორიგეობა.

სამამულო წარმოების ჩაით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და ვალუტის დაზოგვის მიზნით უკანასკნელ წლებში ორიენტაცია აღებული იყო ნედლეულის მაქსიმალუ-

რად შესაძლებელი რაოდენობით დამზადდება, რამაც გამოიწვია კრეფის დადგენილი წესების უხეში დარღვევა და ფართო გასაქანი ჰპოვა ფოთლის, ეგრეთ წოდებულმა მკაცრმა, ფორსირებულმა კრეფამ.

ასეთ შემთხვევაში ფოთლის კრეფის დაწყება ჰიანურდება პირველი ვეგეტაციის დამთავრებამდე: დუყებს ეძლევათ შვიდ-რვა ფოთლამდე ზრდის დამთავრების საშუალება, ხოლო შემდგომ ერთდროულად იკრიფება მთლიანი ბიომასა — დაწყებული საკრეფად შემოუსვლელი კვირტიდან და დამთავრებული ნახ, გაუხეშებულ, უხეშ, თევზა, ხოლო ხშირად შარშანდელ ფოთლებამდე კი.

ასეთი წესით კრეფის ჯერადობა სეზონის განმავლობაში 2-3-მდე მცირდება, რის გამოც მცენარეში ძლიერდება გენერაციული პროცესი, ყველა სასიცოცხლო ძალა წარმართება საყვავილე კვირტების წარმოსაქმნელად და თესლის დასამწიფებლად, ირღვევა მცენარის ნორმალური განვითარების რიტმი, მცირდება ბუჩქის სასიმინალო ზედაპირი. ამიტომ ბუჩქის



ზედაპირის ერთ კვადრატულ მეტრზე 7-8 ათასი ნორმალური ფოთლის ნაცვლად რჩება მხოლოდ 3-4 ათასი ფოთლი, ხოლო ყოველწლიურად სიმალეში 5-6 სანტიმეტრით მატების მაგიერ ბუჩქები 3-4 სანტიმეტრით დაბლდება.

ფოთლის კრეფის ასეთი მეთოდი აგროწესების უხეში დარღვევაა, რაც დამლუპველად მოქმედებს ჩაის მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე, იწვევს ბუჩქების გარდაუვალ დაქინებას, პლანტაციების ძლიერ გამეჩხერიანებას, ნაწილობრივ დაღუპვას.

ჩაის ბუჩქის მკაცრი ექსპლოატაციის მანევობა ცხადად ვლინდება პროდუქციის წარმოების პროცესში ფოთლებში კლებულობს როგორც ტანინის (28-დან 23 პროცენტამდე), ასევე ექსტრაქტულ

ნივთიერებათა საერთო შემცველობაც (42-დან 37 პროცენტამდე). მკაცრად ნაკრეფი ჩაის ნედლეულისაგან შავი ბაიხის გამომუშავებისას დიდია ტექნოლოგიური დანაკარგები და საწარმოო ანარჩენები, რაც დაახლოებით 8-ჯერ აღემატება დასაშვებ ზღვარს.

საქართველოში არსებული 67 ათასი ჰექტარი ჩაის ნარგავიდან 56 ათასი ჰექტარი მოდის ადგილობრივ პოპულაციაზე, რომლის პოტენციური შესაძლებლობა, ნიადაგურ-კლიმატური პირობების მიხედვით, ჰექტარზე 6-დან 7 ტონამდე მერყეობს. სელექციურსა და კიშინის ჯიშებს 8 ათასი ჰექტარი უჭირავთ და მათი პოტენციური შესაძლებლობა ჰექტარზე საშუალოდ 8-9 ტონას უდრის. კოლხეთის ჯიშში ამჟამად 2,7 ათას ჰექტარზე გაშენებული და მისი მოსავლიანობა ჰექტარზე დაახლოებით 10-12 ტონას აღწევს.

პლანტაციის დაქინების მიზეზი ისიც არის, რომ უქანასკნელი წლების განმავლობაში არ ტარდებოდა ისეთი აუცილებელი კაპიტალური ღონისძიებები, როგორცაა: ბუჩქების ნახევრად მძიმე და მძიმე გასხვლა, ბიოლოგიურად ხანდაზმული და მკაცრი კრეფის შედეგად ამორტიზებული პლანტაციების განახლება და სხვ.

ჩაის პროდუქტიულობასა და ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენს ბუჩქების ბიოლოგიური ხანდაზმულობა. ამჟამად 40-დან 50 წლამდე 10,2 ათასი ჰექტარი პლანტაციაა, რაც 15,2 პროცენტს უდრის, ხოლო 50 წელზე მეტი ასაკისა 17,038 ჰექტარია — არსებული ნარგავის 9,5 პროცენტი.

თანამედროვე ეტაპზე საჭიროა ჩაის პლანტაციების გადარჩენა არა მარტო პროდუქტიულობის შემცირების, არამედ მთლიანად ხმობისაგან. ჩვენს მიერ შემუშავებულია ღონისძიებათა კომპლექსი, რომლის განხორციელება ნავარაუდევია ხუთი წლის მანძილზე. საჭიროა გავატაროთ ისეთი კაპიტალური ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ როგორც პლანტაციების აღდგენას, ისე საერთო პროდუქციის შემდგომ ზრდას. ასეთი ღონისძიებებია:

1) ჩაის ბუჩქების ნახევრად მძიმე გასხვლა. ამ ოპერაციის შედეგად პირველ წელს მოსავალი 60, ხოლო მეორე წელს კი 20 პროცენტით მცირდება. სულ ხუთი წლის მანძილზე ნახევრად მძიმე გასხვლის ჩატარება გათვალისწინებულია 25 ათას ჰექტარზე, ესე იგი ყოველწლიურად 5 ათას ჰექტარზე. ამ ღონისძიების შედეგად მთლიანად ხუთ წელში მოსალოდნელია მოსავლის 230 ათასი ტონით, ანუ წელიწადში დაახლოებით 46 ათასი ტონით შემცირება.

2) ჩაის ბუჩქების მძიმე გასხვლა. ამ ღონისძიების შედეგად მოსავლის შემცირება პირველ წელს შეადგენს 100, მეორე წელს 60, ხოლო მესამე წელს 40 პროცენტს. სულ ხუთ წელიწადში მძიმე გასხვლის ჩატარება გათვალისწინებულია 12,5 ათას ჰექტარზე ანუ ყოველწლიურად 2,5 ათას ჰექტარზე და მოსავალი შემცირდება ხუთ წელიწადში 215 ათასი, ანუ წელიწადში 43 ათასი ტონით.

ბიოლოგიურად ხანდაზმული, ამორტიზებული ჩაის პლანტაციების ხელახალი გაშენებისას 5 წლის განმავლობაში მოსავალს საერთოდ ვერ მივიღებთ, ხოლო მეექვსე, მეშვიდე, მერვე და მეცხრე წელს მოსავალი უხდა მივიღოთ შესაბამისად 16,

30, 50 და 70, მეათე წელს კი 100 პროცენტით.

იმ ხუთ წელიწადში, როდესაც ჩაის გრამის განხორციელებას პლანტაციების გათვალისწინებულია პლანტაციების თანდათანობითი განახლება 7,5 ათას ჰექტარზე. ამ ღონისძიებების შედეგად მოსავალიც შესაბამისად შემცირდება 225 ათასი, ანუ წელიწადში 44,1 ათასი ტონით.

ამრიგად, ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა შედეგად 1988-1990 წლებში საქართველოში საშუალოდ ყოველწლიურად ჩაის მთლიანი მოსავალი 180-400 ათასი ტონით შემცირდება და ყოველწლიურად 380-400 ათასი ტონა მაღალხარისხის ნედლეული დამზადდება.

თანამედროვე ეტაპზე ჩაის მოსავლიანობის გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზად ახალი, მაღალმოსავლიანი და მაღალხარისხის ჩაის ჯიშების გამოყვანა და მათი წარმოებაში ფართოდ დანერგვა მიგვაჩნია. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს დღევანდელი დღის ეტალონი — ჩაის ჯიშის კოლხიდა.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაქსიმალურად გამოყენების საფუძველზე ჩვენთან დამუშავდა ჩაის ვეგეტატიურად გამრავლების ტექნოლოგია. გაერთიანების სისტემაში მოეწყო ნერგების გამოსაყვანი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც საშუალებას იძლევა, წარმოებას ყოველწლიურად 10-12 მილიონი ძირი ჩაის სტანდარტული სარგავი მასალა მივაწოდოთ.

მოსავარებელია ასეთი საკითხიც. ერთ ჰექტარ ჩაის პლანტაციიდან ფოთლის მოკრეფის უზრუნველსაყოფად საჭიროა 3 მკრეფავი. რესპუბლიკაში არსებულ 55-60 ათას ჰექტარ ფოთოლსაკრეფ პლანტაციებს 165-180 ათასი მკრეფავი მაინც დასჭირდება. დღესდღეობით კი ფაქტობრივი უზრუნველყოფა დაახლოებით 60-65 პროცენტია. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომატევადი პროცესების მექანიზაციის საშუალებათა დამუშავებასა და დანერგვას.

1983 წლიდან ვაწარმოებთ ექვსი სახის ნატურალურ შავ ბაიხის ჩაის, რომლებმაც როგორც პროფესიონალი დეგუსტატორების, ასევე მომხმარებელთა მეტად მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

საყოველთაო მოწონება და მაღალი შეფასებები დაიმსახურეს აგრეთვე ჩვენი შავი ჩაის დანარჩენმა ოთხმა სახეობამ „გაზაფხულის სურნელმა“, „ელიტამ“, „პრიმამ“ და „ნორმამ“.

ამრიგად, ჩვენი გაერთიანების მაგალითზე შეიქმნა ჩაის წარმოების ლოგიკურად შეკრული ციკლი, რომელიც მოიცავს უხვმოსავლიანი და მაღალხარისხის ჩაის ჯიშების გამოყვანას, მათი ვეგეტაციური გამრავლების პროგრესული ტექნოლოგიის დამუშავებას, სარგავი მასალის მასობრივ გამოყვანას, სამრეწველო პლანტაციების გაშენებას, ჩაის ნედლეულის დამზადებას, მის პირველად გადამუშავებას, მზა პროდუქციის დაფასოებასა და უშუალოდ მომხმარებლისათვის მიწოდებას.

ვახტანგ ჯაქელი,

შრომის ფიცილი დროის ორდენოსანი ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების განვითარების დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

აღბოლის ღულა ბჟუჟასის!

უმძიმესი ბრძოლებისაგან სისხლდაც-
ლილი შეხვდა ქართლი მეცხრამეტე საუ-
კუნეს. ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით
ქვემო ქართლში 697 სოფელი არსებობდა.
ყიზილბაშობის, ოსმალბის, ლეკიანობის
გამო ხალხი მასობრივად აიყარა, გადაიხ-
ვეწა, დაიცალა და გავირანდა სოფლები.
მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში აქ 97
სოფელია დარჩა.

ქვემო ქართლის ერთ-ერთ ძირითად
ძარღვზე — ალგეთხეობაზე მეცხრამეტე
საუკუნის მეორე ნახევარში ზაქარია გუ-
ლისაშვილი წერდა: „...თითქმის მთელი
ალგეთხეობა უკანასკნელ ხანებში სულ
ცარიელი და ნაოხარი იყო“.

მარტო დღევანდელი თეთრი წყაროს
რაიონში ორასამდე აყვავებული და ხალხ-
მრავალი სოფლიდან ასორმოდდაათში სა-
მუდამოდ შეწყდა სიცოცხლე. დაქცეული
იყო ძველი და სახელოვანი ქალაქებიც —
სამშვილდე, მანგლისი და სხვები.

XIX საუკუნეში ცარიზმის ხელშეწყო-
ბით აქ ინტენსიური ჩამოსახლება დაიწყო.
ბევრ დასახლებას სახელი ალუდგინეს,
ზოგს კი ახალი და უცხო სახელები დაერ-
ქვა.

საბედნიეროდ, ხალხის ხსოვნაში ისევ
ცოცხლობს ძველი სახელწოდებების უმე-
ტისობა. ნასოფლარების სახელები შემო-
რჩა ხოდაბუნებს, სახნავ-სათესებს, სა-
ძოვრებს, ტყეებს, ნანგრევებს.

სანამ მათ დაეწყებინა ფერფლი გადაჰ-
ფარებია, თუ ეს შესაძლებელია, უნდა აღ-
ვადგინოთ ძველი სახელები.

1809 წელს ალექსანდრე პირველმა
დღევანდელი თეთრი წყაროს დასავლეთით
თორმეტიოდე კილომეტრზე მდებარე ნა-
სოფლარ შოშეთის მიდამოები „ხაღე-
ლად“ გადასცა აქ მეცხოველე სამხედროთა
ოჯახებს. ამ ახალშენს იმპერატორმა უფ-
ლისწულ ალექსის სახელი უწოდა. სო-
ფელს ახლაც ალექსიევკა ჰქვია.

შოშეთი (შაშეთი) კი ჩვენს წინაპრებს
სოფლისათვის შაშვების სიმრავლის გამო
შეურქმევიათ. ეს ფრინველი აქ დღესაც
მრავლად ბუდობს.

ირაგის ჩრდილოეთით, ბედნის მთის კა-
ლთაში შეყუყუთა ლამაზი სოფელი ივა-
ნოვკა. ადგილობრივ მოსახლეობას დღე-

საც ახსოვს მისი ნამდვილი სახელი ხუნ-
ძურეთი. ხუნძი — მწორის ხე ერთგვარი
სამკურნალო, ნაყოფის მომცემი მცენარეა,
რომელიც ახლაც უხვად ხარობს აქაურ
ტყეებში. სოფლის უხუცესები ასე ხსნიან
სახელწოდების შეცვლას: ხუნძურეთი,
თურმე, თავად ივანე ზაალის ძე ბარათა-
შვილს ეკუთვნოდა. მისგან ეს მიწები ჭერ
იჯარით აუღიათ, შემდეგ კი შეუსყიდიათ
გასულ საუკუნეში ჩამოსახლებულ ბერძ-
ნებს. მათ დთქმულ დროზე თავადისათ-
ვის ფული სრულად ვეღარ გადაუხდიათ.
თავადს დაუბარებია სოფლის თავკაცები
და უთქვამს, — დარჩენილ ოცდახუთ მ-
ნეთს ვაპატიებთ. თუ სოფელს ჩემს სა-
ხელს დაარქმევთ.

ასე დაარქმევია ხუნძურეთს ივანოვკა.
სოფლის ახლოსა ძველი ნასოფლარი სა-
რკინეთი. ამ მიდამოებშია შავი ფერის
ქვა, რომელიც ძალზე მძიმეა. სავარაუდოა,
რომ მას რკინის შენაერთები გააჩნია. ეტ-
ყობა, აქ შორეულ წარსულში რკინის და-
მუშავებას ეწეოდნენ. ალბათ უპრიანი იქ-
ნება, რომ ივანოვკას ხუნძურეთი ან სარ-
კინეთი დაეარქვათ.

სოფელ შავსაყდარზე ხალხში ასეთი
ლევანდა არსებობს: ოდესღაც აქ შავი ჭი-
რი გაჩენილა და ბევრი უმსხვერპლია.
მოსახლეობა გადახვეწილა. ყამიანობის გა-
ვლის შემდეგ გადარჩენილი და უკან დაბ-
რუნებული ხალხი სოფლიდან მოცილე-
ბით, ახალ ადგილზე დასახლებულა, სოფ-
ლის ეკლესიისთვის კი შავი საყდარი შე-
ურქმევიათ. ამის შემდეგ სოფელსაც შავ-
საყდარი დაერქვა.

რამდენად რეალურია ასეთი ახსნა, ამის
მტკიცება ძნელია. ვახუშტის რუკაზე სო-
ფელი მინიშნებული არ არის.

1701-11 და 1721 წლების აღწერებში
ქვემო ქართლში — ქციისა და ზურტაკე-
ტის ხეობებში სამი სოფელი შესაყარია
მოხსენიებული. შესაძლოა, შავსაყდარიც
შესაყარიდან არის წარმომდგარი? ფონე-
ტიკურად ეს სრულიად შესაძლებელია.
იგი ხომ მართლაც გზასაყარზე მდებარე-
ობს.

ცენტრალური გზიდან ერთსა და იმავე
ადგილზე ორი გზა იყრება — ერთი
ჩრდილოეთისაკენ ენაგეთში მიდის, მეო-

რე კი სამხრეთისაკენ — შავსაყდარში,
რომელიც გზიდან არ ჩანს, ეკუთვნის
გზასაყარს არ გაივლით და უმცირესი
გეობით. აქ კი სოფელი უცხო სახელებით
ბათ.

საქართველოს ცენტრალურ რესპუბ-
ლიკურ საისტორიო არქივში დაცული 1843
წლის აღწერით სოფელი ვარდისუბნის
სახელწოდებით მოიხსენიება. აქ უცხოვ-
რია ექვს კომლს. მათ შორის ბერო კედე-
ლაშვილს, დიმიტრი პატიაშვილს, კონია,
გიორგი და თევდორე თევაძეებს და იაკობ
შირინაშვილს, ხოლო 1873, 1886 წლების
აღწერის მასალებში ჩნდება შავსაყდარი.

საინტერესოა, რომ ქციისა და დმანისის
ხეობებში 1701-1721 წლების აღწერით
რამდენიმე ვარდისფუძიანი სოფელი არ-
სებობდა: ვარდისუბანი, ვარდისჭალა, ვა-
რდის წყარო, დიდი ვარდისუბანი, პატარა
ვარდისუბანი.

მანგლის-თბილისის გზაზე გასულ საუ-
კუნეში გაჩნდა მეფის რუსეთის ოფიცრე-
ბის სააგარაკო დასახლება, რომელსაც აქ
მგზავრთა ლამისათევი ფუნდუკის რუსუ-
ლი სახელი „პრიუტი“ დაერქვა. უკვე საბ-
ჭოთა ხელისუფლების წლებში მას ორბე-
თი უწოდეს. ვახუშტი ბატონიშვილი წერს:
„ზირბითის ხევზედ, მაღალს კლდეზედ,
ასს ეკლესია ორბეთი, ხოლო სად ერთვის
ალგეთს ხევი ესე, მუნ არს ციხე ფარცხისი
— ფარი ციხე ბირთვისის ციხისა, აწ შე-
მუსვრილი“. როგორც ხედავთ, აქ ძალზე
გონივრული გადაწყვეტილება მიუღიათ.
ადგილის დედის ლამაზი ისტორიული სა-
ხელი დაეწყოებას გადარჩა — სოფელმაც
კარგად შეისახლოვროცა იგი და დღეს
„პრიუტი“ აღარავის ახსოვს.

სამწუხაროდ, ზოგი სოფლისათვის ასე-
თი ნათლობა საზიანო გამოდგა. სოფელ
თონეთსა და დოლოვანს შორის მდებარე
ობს სოფელი დვალთა. საქართველოში
ალბათ ეს ერთადერთი სოფელია, რომელ-
მაც შემოღობიანა ერთ-ერთი ტომის —
დვალების სახელი. გაუგებარია, რატომ და
ვინ აითვალწუნა ეს ლამაზი ისტორიული
სახელი? მეოცე საუკუნის ორმოციანი
წლებიდან სოფელ დვალთას პატარა თო-
ნეთი უწოდეს, მაგრამ ვინაიდან ამ სახელ-
წოდების ძირძველი სოფელი უკვე არსე-
ბობდა, მას დიდი თონეთი დაარქვეს.

საქართველოში უბრალო მინდორსაც
და ხევსაც თავისი სახელი ჰქვია, განა რა
გაგვიჭირდა, რომ ერთი სოფლის სახელი
ორ სოფელს დავარქვით მაშინ, როცა ამ
რაიონში 150-მდე გადაშენებული სოფ-
ლის სახელი კიდევ დარჩა ხალხის ხსო-
ვნაში? ანდა რატომ უნდა ზიდოს ზოგმა
სოფელმა პატარის ეპითეტი, ზოგმა კი დი-
დისა. ვითომ არის რაიმე გონივრული იმა-
ში, რომ საქართველო დიდ-პატარა სოფ-
ლებად დავეყოთ? დვალთა ლამაზი და
მყდერი სახელია.

ალგეთის ხეობაში მანგლისიდან ბაღუა-
შთა რეზიდენციის — კლდეკარის მიმარ-
თულებით კიდევ ორი ისეთი სოფელია,
რომლებიც მეცხრამეტე საუკუნის შუა-
ხანებში გაჩნდა და რუსული სახელები
ეწოდა. ესენია პალიანა და ნაპილნარი.
როცა გასული საუკუნის ოციან წლებში
მანგლისში სამხედრო ნაწილი დაბანაკდა,
აქ სამხერხო მოაწყვეს და ამის გამო
შემდეგში აქ გაჩენილ დასახლებას ნაპილ-
ნარი ეწოდა, გაჩენილ ახოზე გაშენებულ
სოფელს კი პალიანა დაერქვა.

ვახუშტის რუკაზე კლდეკარისა და უგუ-
დეთის მიდამოებში აღნიშნულია სოფლე-
(დახასრული 21-ე გვერდიზე)

ამოჩენილი რუსი მხატვრის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მგზნებარე მებრძოლის ვასილ ვასილის ძე ვერეშჩაგინის ხსოვნის დღეს, 1904

წლის 20 აპრილს, სამხატვრო აკადემიაში ივანე რეპინმა თქვა: „როცა ამ ბუმბერაზს უყურებ, გარშემო ყველაფერი ისე პატარა, უმნიშვნელოდ გეჩვენება“...

ეს შეფასება მკაფიოდ მოწმობს, რა უდიდეს ფიგურად მიაჩნდათ ვასილ ვერეშჩაგინი მის თანამედროვეებს. შესანიშნავმა ფერმწერმა დიდი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. მისი გამოფენები უამრავ დამთვალიერებელს იზიდავდა მოსკოვსა და პეტერბურგში, ვარშავაში, ბუდაპეშტში, ვენაში, ბერლინში, პარიზში, ლონდონში, სტოკჰოლმში, პრაღაში, ბრიუსელში, ნიუ-იორკში, ჩიკაგოსა და ძველი და ახალი სამყაროს სხვა დიდ ცენტრებში. დღეს სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ არც ერთ რუს მხატვარს არასოდეს არ ჰქონია ისეთი დიდი სახელი არც სამშობლოში და არც მის საზღვრებს გარეთ, როგორც ვერეშჩაგინს. არც ერთ რუს მხატვარს პრესა არ უთმობდა ამდენ ყურადღებას.

მაგრამ ამავე დროს ბევრმა არც იცის, რომ ვასილ ვერეშჩაგინი, როგორც მხატვარი, იწყებოდა თბილისში, ქალაქში, სადაც იგი, მისივე თქმით, „ყველაფერს სწავლობდა“...

ჩვენს წინაშეა უიშვიათესი დოკუმენტები, რომლებიც აღებულა დემოკრატიული მიმართულების ცნობილი რუსი მხატვრული და მუსიკალური კრიტიკოსის ვ. სტასოვის არქივიდან. ეს არის ვ. ვერეშჩაგინის ორი წერილი, რომლებიც მან პარიზიდან გამოუგზავნა ვ. სტასოვს 1882 წლის 5 და 20 სექტემბერს.

პირველი წერილის კონვერტზე ვ. სტასოვის ხელით მიწერილია: „ვერეშჩაგინი. ავტობიოგრაფია. კავკასია“.

წერილი იწყება ასე: „...კავკასიაში ჩამოვედი 1863 წლის ზაფხულში. ამ მოგზაურობის გულისათვის დიდხანს ცარიელ რძესა და პუტზე ვიჯექი და მაინც, ტფილისში რომ ჩამოვედი, ჯიბეში ასი მანეთი მქონდა...“

ვის და რამ აღუძრა სურვილი ვ. ვერეშჩაგინის ჩამოსულიყო კავკასიაში?

ეს მოგზაურობა მას შესთავაზა ლევ ფელიქსის ძე ლაგორიომ (1827-1905), ცნობილმა რუსმა ფერმწერმა მარიინსტმა და ბატალისტმა.

ვ. ვერეშჩაგინი გამოემართა ფოსტის ცხენებით ჩრდილოეთ კავკასიაში, იქედან კი საქართველოს სამხედრო გზით ანანურში, მცხეთაში, შემდეგ თბილისში ჩამოვიდა.

გზაში ნაუცბათვე ჩანახატებთან ერთად ვ. ვერეშჩაგინმა, რომელიც სარგებლობდა სადგურებში ხანგრძლივი გაჩერებებით, შეძლო შეესრულებინა მთელი რიგი უფრო რთული ნახატები. სწორედ ისინი დაედო საფუძვლად მოგვიანებით შექმნილ გრავიურებს „ჯივიტობა“, „თამარ მეფის ციხის ნანგრევები დარიალის ხეობაში“, „ანანურის ხედი“, „ქართველი ქალი“, „ბაზრობა თბილისში“...

თბილისიდან მხატვარი ჩავიდა თეთრწყაროში, კავკასიის მეფის ნაცვლის საზაფხულო რეზიდენციაში, რომ მოენახულებინა იქ მყოფი ლ. ლაგორიო.

შეხედრა იყო გულითადი. ჰაბუკი წარუდგინეს მეფის ნაცვლის ამალას.

მხატვრული გაჭირვების გამო ლ. ლა-

ვერეშჩაგინი იწყებდა თბილისში

გორიომ ვერეშჩაგინი ხატვის მასწავლებლად მოაწყო კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის გენერალ კარცოვის (1817-1875) ოჯახში. შემდეგ იგივე ლაგორიო დაეხმარა, მოწყობილიყო ხატვის მასწავლებლად თბილისის მიწისმზომელთა სკოლაში, ერთ კერძო პანსიონში, წმინდა ნინოს და სამხედრო სასწავლებელში. წელიწადში დახლოებით 1500 მანეთს იღებდა და ამით ინახავდა თავს. ჰაბუკს ნაკლები დრო რჩებოდა დამოუკიდებელი მუშაობისათვის. და მაინც, — „როგორი მოუცლელიც უნდა ვყოფილიყავი, — წერს იგი სტასოვისადმი გაგზავნილ წერილში, — „ვახერხებდი ვაკვეთილებს შორის წავსულიყავი რიყეში და მენატრა აქლემები, ძროხები, ცხენები, ცხვრები და იქ გასაყიდად ჩამოყვანილი სხვა პირუტყვი. ვხატავდი ღუქებში, ქალაქგარეთ და ა. შ. რა თქმა უნდა, მხოლოდ ახალგაზრდობა და თავისუფლება იყო იმის მიზეზი, რომ ვაკვეთილების ამ მასამ არ გამსრისა. ძნელი გადმოსაცემია, რაოდენ გამძლე ვიყავი და როგორ ვსარგებლობდი ნახევარი საათი, რომ ჩემი ალბომები შემევსო. ამ დროიდან, მასსოვს, მქონდა სამი სქელი წიგნი, რომლებიც საესე იყო ნახატებითა და ნაწილობრივ აკვარელით“.

თბილისში ვ. ვერეშჩაგინმა იცნო 1865 წლის შემოდგომაზე. ამ დროისთვის მამამ გამოუგზავნა ათასი მანეთი, რომელიც ბიძის გარდაცვალების შემდეგ მიიღო შემკვიდრებით. მხატვარმა გადაწყვიტა პარიზში გამგზავრება. ერთი წლის დამოუკიდებელი მუშაობის შემდეგ მან, უეჭველია, იგრძნო თავისი მომზადების დონე და სურდა განათლების გაგრძელება გამოცდილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით.

მამინ პარიზში ავტორიტეტით სარგებლობდა ფერმწერი და მოქანდაკე ჟან-ლუი ერომი (1824-1904). მისი სახელსწონო იყო პარიზის სამხატვრო აკადემიის შენობაში. ერომთან სასწავლებლად მოხვედრა არც თუ ისე ადვილი იყო. მაგრამ კავკასიაში შესრულებული ნახატების ალბომმა, რომელიც ვერეშჩაგინმა აჩვენა საფრანგეთის ნატივ ხელოვნებათა უწყების მმართველს, მას კარი გაუღო ერომის სახელოსნოში.

ერომთან სწავლების კურსის დამთავრებამდე ვერეშჩაგინმა გადაწყვიტა, კვლავ ემოგზაურა კავკასიაში. ამ დროისათვის მან ისევ მიიღო მამისგან თანხა. ვერეშჩაგინი პარიზიდან, როგორც ჩანს, 1865 წლის

მარტის შუა რიცხვებში გამოემგზავრა. გზა გადიოდა ქენევაზე, ვენაზე, ლუნაეს, გენევეში, ვლით ოდესისკენ მიემართებოდა. მანქანა უნარსი, სოხუმი, ფოთი, აქედან კრესტოვსკისკენ მიემართებოდა. მანქანა იქნა დატოვებული თბილისისა და თბილისში.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ვერეშჩაგინმა დაიწყო თანამშრომლობა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებაში, სადაც წარადგინა ზამთარში პარიზში საკუთარი ხარჯით ლითოგრაფირებული შინაური ცხოველების სურათები. ამ საზოგადოებისავე დავალებით მან შეასრულა ნახატი-მისამართი: საზოგადოება ასი წლისთვის ულოცავდა პეტერბურგის თავისუფალ ეკონომიკურ საზოგადოებას (ინახება ლენინგრადის რუსულ მუზეუმში).

შრომისმოყვარეობითა და შემოქმედებითი წარმატებით ახალგაზრდა მხატვარმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა თბილისის საზოგადოებაზე, მისმა ნამუშევარმა დიდი მოწონება დაიმსახურა. კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ 1865 წლის 10 სექტემბრის სხდომაზე ვერეშჩაგინი თავის ნამდვილ წევრად აირჩია. იგი აგრეთვე იყო კავკასიის სამხატვრო საზოგადოების შექმნის ერთ-ერთი პირველი ინიციატორი.

1865 წელს, პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ ვერეშჩაგინი იწყებს ზრუნვას კავკასიისადმი მიძღვნილი საკუთარი ჟურნალის გამოსაცემად.

— „მე ჩემს თავზე ვიღებ, — წერს იგი თხოვნაში, — გამომცემლისა და პასუხისმგებელი რედაქტორის წოდებას. გამოცემა უნდა იყოს ეთნოგრაფიული ხასიათისა, უნდა ასახავდეს მხარის ბუნებას, მის ძეგლებს, აგრეთვე იმ ტომების წეს-ჩვეულებებს, ცხოვრების წესს და ტიპებს, რომლებიც იქ სახლობენ...“

ვერეშჩაგინმა ჟურნალის გამოცემისათვის ნებართვა მიიღო, მაგრამ უსახსრობამ მხატვარს ხელი შეუშალა თავისი სურვილის განხორციელებაში. სიცოცხლის ბოლო პერიოდი ვერეშჩაგინმა კავკასიაში გაატარა.

მისი ვაჟიშვილი, აგრეთვე ვასილ ვასილის ძე, იგონებს, რომ „მამამ აგარაკის დიდი ხნის ძებნის შემდეგ მოახერხა სოხუმიდან თერთმეტი ვერსტის დაშორებით შესაფერისი ნაკვეთის პოვნა, რომელიც ეკუთვნოდა რომელიღაც სომეხ სამღვდელს პირს.

ეს ნაკვეთი, რომლის სიგანე ზღვის ნაპირზე სამასი მეტრი იყო, ზოლად გასდევდა სანაპირო ვახტაგეილს, შემდეგ კი თანდათან ფართოვდებოდა, საიდანაც უკვე აფხაზი თავადის ალექსანდრე შერვაშიძის სამფლობელო იწყებოდა... შერვაშიძე დათანხმდა, მიეყიდა მისთვის სამი დესიატინა მიწა და სახლი. მამამ ორივე ნაკვეთი შეიძინა...“

ვ. ვერეშჩაგინმა გადაწყვიტა მთელი ოჯახით გადმოსახლებულიყო საცხოვრებლად, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, მან ეს ვერ მოახერხა.

სიკვდილის წინ დაწერილ ანდერძში ვერეშჩაგინი ითხოვდა, შეძლებისდაგვარად შეენარჩუნებინათ მამული კავკასიაში. ეს ოცნება აუხდენელი დარჩა. მაგრამ მისმა სხვა ოცნებამ კი შეისხა ხორცი: ვერეშჩაგინის, ამ დიდი მხატვრის, სახელი ცოცხლობს ქართველი ხალხის გულში.

რამ ღაპილოვი,
საქართველოს სსრ დამსახურებული
ჟურნალისტი.



უტკრები ათასობით და ათი ათასობით ცხოვრობენ პატარა და ვიწრო სკაში. ამის გამო თვითმეული სკა ფუტკრებისა ცალკე ქალაქს შეადგენს. ფუტკრების მმართველი არის დედა-ფუტკარი, რომელიც სხვა ფუტკრებზე ბევრად დიდია. დედა-ფუტკარი არა საქმეს არ აკეთებს. თუ ხანდახან სკიდან გამოფრინდება, ისიც სასიეროდ, ამ დროს უსათუოდ თან ახლავს რამდენიმე ასი მამალი ფუტკარი. როგორც დედა-ფუტკარი, ისე მამალი ფუტკრები არ შრომობენ და თავიანთ სიცოცხლეს ცუდადობაში ატარებენ. მამალს ფუტკრებზე უფრო მომცრო ტანი აქვთ მუშა, უსქესო ფუტკრებსა, რომლებიც დედლობასაც მოკლებულნი არიან და მამლობასაც. მთელი ჯაფა ამ უსქესო ფუტკრებს აწევთ კისერზე. მუშა ფუტკრები დედა-ფუტკარს უკან არ დასდევენ მამალი ფუტკრებივით, მაგრამ ძალიან კი უყვართ. საშინელი ალიაქოთი შეუდგებათ ხოლმე, როდესაც დედა-ფუტკარი უკვდებათ. ვინც პირველად ტყობილობს ამ უბედურებას, ნაღვლიანი ბზუილით აქეთ-იქით მიეშურება და სკის ყველა კუთხეში მიაქვს სამწუხარო ამბავი, ფუტკრები მაშინვე თავს ანებებენ მუშაობას, მორბიან მომაკვდავ დედა-ფუტკართან და დიდ მწუხარებას გრძობენ. თუ იმის სიკვდილის შემდეგ ახალი დედა არ აღმოუჩნდათ, დაღონებული ფუტკრები სკიდან გამოდიან, აქეთ-იქით იქსაქსებიან უმწუყესო ცხვრებივითა და იხოცებიან. სამაგიეროდ, თუ ახალმა დედა-ფუტკარმა იჩინა თავი, მწუხარება სიმხიარულედ გადაექცევათ. ყველანი გარს ეხვევიან თავის ახალ მბრძანებელს, უაღერსებენ, თავის უღვაშებს ტანზე უცაცუნებენ, თითქოს ჰკოცნიანო და თავლსა სთავაზობენ.

ყველა სკაში მუშა ფუტკრები უფრო ბევრნი არიან სხვა ფუტკრებზე. იმათი რიცხვი უწევს თხუთმეტი ათასიდან ოცდახუთ ათასამდე. ტანით არიან პატარანი, მსუბუქნი, მეტად მხნენი და გამრჯელი, მთელი დღე მხიარულად დაბზუიან, ერთი ყვავილიდან მეორეზე ფრინავენ და თავლის ზოდების გასაქეთებლად მასალას აგროვებენ.

აი, მუშა ფუტკრები გამოფრინდენ სკიდან და ბზუილით გასწიენ მინდორში. გავყვით უკან ერთ მათგანს და თვალი ვადევნოთ იმის გარჯილობასა. აგერ ყვავილზე დაჯდა, შიგ ღრმად ჩაყო პაწია დინგი და სწუწის ტბილ წვესსა. თან დაუყოვნებლივ ანძრევს თავის ბანჯგვლიან ფეხებს. რაღა? მისი ბუუსიანი ტანი ყვავილის მტვრით სულ გაივანგლა. ამ გინგლს წინა ფეხებითა ჰხვეტავს მთელი ტანიდან, მიაქვს უკანა ფეხებთან და აგროვებს ორ პაწაწინა ფოსოში, რომელიც უკანა მუხლებს ქვემოთ აქვს. მალე ერთი ყვავილიდან მეორეზე გადაფრინდა, მეორიდან მესამეზე, მესამიდან მეოთხეზე და ბოლოს გასწია ისევ სკისკენ. ამ დროს იმის მუცლის წინა ნაწილში შეწუწვნილი წვენი თავლად იქცა. სკაში რომ შეფრინდა, ფუტკარმა იპოვა ცარიელი ფიჭის ექვსკუთხიანი უჯრა და თავლი მუცლიდან და პირიდან შიგ ჩაარწყია. მინამ ეს ამ საქმეში იყო, მეორე ფუტკარი მოფრინდა, უკანა ფეხებზე ყვავილის მტვერი აულოკა და ჩაყლაპა. ეს მტვერი იმის მუცელში ფიჭად გადაიქცა და ეს ფიჭა მუცლიდან ქენჭად გამოვიდა პატარა ნემსებივით. ფუტკარმა თავისი ფეხებით ეს ფიჭა ერთად მოაგროვა, პირში დაღეჭა და გააკეთა ახა-

ლი ექვსკუთხიანი უჯრა წინათ აყვანილ უჯრებზე. ჩქარა ეს ახალი ფიჭის უჯრა მესამე ფუტკარმა პირიდან ჩაშვებული თავლით აავსო. ასე მუშაობენ ფუტკრები და ამგვარად აკეთებენ თავლის ზოდებსა. უჯრებს, სადაც თავლს აგროვებენ, უკეთებენ ფიჭის სახურავსა, რომ თავლი უფრო სუფთად შეინახონ. მთელი დღე ვაფაციცებულ მუშაობაში არიან და უჯრებს ას-ასობით აკეთებენ მცირე ხანსა. ერთი შეხედვით ფუტკრების მუშაობა უაზრო ფაცი-ფუცად გეჩვენებათ, მაგრამ როცა დააკვირდებით, შეინახავთ საკვირველს რიგსა და წესიერებას. ყველა თავის საქმეს ისე აკეთებს, რომ სხვას სრულიად არ უშლის. ყველა მზად არის, თავის მოძმეს საქმეში უშველოს, თუ იმას სჭირდება ეს შეველა. ზოგნი გამოდიან სკიდან და მინდორში მიდიან; ზოგნი მასალით დატვირთულნი მინდვრიდან მოდიან; ზოგნი იმათ უცდიან, რომ ტვირთი ჩამოართვან; ზოგნი ზოდების კეთებას ადგანან. ფუტკრები იმდენ თავლს აკეთებენ, რომ მცირე ნაწილიც საკმარისია იმათი გამოკვებისათვის მთელ ზამთარში.



ფუტკარი

ფუტკრები მარტო საკუჭნაო უჯრებს როდი აშენებენ. იმათ გაკეთებული აქვთ იმისთანა უჯრებიც, სადაც იბადება და იზრდება მათი ახალი თაობა. მუშა ფუტკრების გასაზრდელად ბევრი მომცრო უჯრა არის დანიშნული, მამალი ფუტკრებისთვის კი დამზადებულია ნაკლები რიცხვი უფრო მოზრდილი უჯრებისა. ახალგაზრდა დედა-ფუტკრებისთვის დანიშნულია მხოლოდ რამდენიმე უჯრა. ეს უკანასკნელი უჯრები სხვა უჯრებსავე ექვსკუთხიანი კი არ არის, მრგვალი მოყვანილობა აქვს და სხვებზე ბევრად მოზრდილია. დედა-ფუტკარი თავისი მხლებლებით ხშირად იქა ტრიალებს, სადაც ახალნაშობი ფუტკრების უჯრებია. დიდკატურად სეირნობს ერთი უჯრიდან მეორე უჯრამდე, იხედება ყველა უჯრაში და რაწამს ცარიელ უჯრას ნახავს, მაშინვე თეთრ პატარა კვერცხს ჩადებს.

რამდენიმე თვის განმავლობაში დედა-ფუტკარი სდებს თორმეტ ათასამდე კვერცხს, საიდანაც რამდენიმე დღის უკან იჩეკებიან მატლები. ამ მატლებს სრულიად არ შეუძლიათ ცოცვა და საჭმლის

ძებნა, ამიტომ უჯრებში წვანან და სკისი მოვლა სჭირდებათ. დედა-ფუტკარი თავის შვილებს არც ზრდის დასაქმებულს ეს შრომა აწევთ მუშა ფუტკრების მუშაობაში ერთგულად უვლიან ხოლო ფუტკრები და საჭმელს უზიდავენ. რვა დღის განმავლობაში მატლები სისრულეში შედიან და საჭმელი აღარ უნდათ. მეცხრე დღეს მუშა ფუტკრები გადააგლესენ ხოლმე მათ ზემოდან ფიჭასა და სტოვებენ უჯრაში. მაშინ მატლი თავის ბინაში შეუდგება პირველს თავის შრომასა: მთელ ტანზე იხვევს წმინდა აბრეშუმივით ძაფსა, აკეთებს პარკსა და ბოლოს შიგ მკვდარივით უძრავი წვება. მაგრამ ცამეტი დღის შემდეგ მატლი თავის კანს არღვევს, პარკსა ჰხვევს, ფიჭის სახურავსა ღრღინს, ჰყოფს გარეთ ჯერ თავსა, მერე წინა ფეხებსა და ბოლოს ძვრება უჯრიდან ახალგაზრდა ფუტკარი, რომელსაც ორი დიდი და პატარა თვალი აბია. ხნიანი ფუტკრები მაშინვე გარს ეხვევიან ახალშობილსა, ეფერებიან და მთელ ტანს ულოკავენ. ახლად შობილი ისე მალე შეეჩვევა ხოლმე ხნიან ფუტკრებსა და ახალ ცხოვრებას, რომ იმათთან პატარა ხანს უკან მინდორში მიდის. დაცარიელებულ უჯრას მუშა ფუტკრები სწმენდენ და იქ დედა-ფუტკარი ახალ კვერცხსა სდებს.

ფუტკრის იარაღი შედგება მილიანი ისრისაგან, რომლის ბოლო ძვეს პატარა შხამით სავსე ბუშტთან. როცა ფუტკარი მტერს ისარს ტანში ურჭობს, ისრის ბოლო ბუშტს აწევდა, ბუშტიდან შხამი გამოდის, ისრის შუა მილში გარბის, ნაკბენში ჩადის და შხამავს. სკის შესავალთან მუდამ მცველად ღვას რამდენიმე ფუტკარი...

ფუტკრები თავიანთ იარაღს ხმარობენ არა მარტო მტრებზე, არამედ შინაურებზედაც. ყოველ წელიწადს, ზაფხულის გასულს, როცა ყვავილები მინდორში აღარ იპოვება და საზრდო აკლდებათ, ფუტკრები ჰზოცავენ მამალ ფუტკრებსა. მთელ ზაფხულს მამლები არას აკეთებდნენ და თუმცა ხანდახან გამოფრინდებოდნენ სკიდან, მაგრამ თავლი და ყვავილის მტვერი კი არასოდეს მოჰქონდათ. ამის მიზეზი ბარმაცობა არ იყო, ამ მამლებს საომარი იარაღის გარდა, სამუშაო იარაღიც აკლიათ... მუშა ფუტკრები ზაფხულში უხვედ შოულობდნენ საზრდოსა, მამლებს ცუდადობას უთმენდნენ და წილად აძლევენ რამდენსამე თავლით სავსე უჯრასა, მაგრამ ახლა, რაკი საჭმელი შემოაკლდათ და ზამთარი მოუახლოვდა, ჯავრი მოუვიდათ მუქთად მჭამელებზე და მისცვიდნენ. რადგანაც მუშა ფუტკრები უფრო მეტია მამლებზე, ამიტომ ერთს ორნი-სამნი ეხვევიან და ისრებით ჰზოცავენ. როცა სულ გაუღეტენ, შეერთებული შრომით მკვდრებს გარეთ ჰყრიან...

როცა ზამთარი მოახლოვდება, მუშა ფუტკრებისათვის დასვენების დრო დგება. თუ ზამთარი ძალიან ცივი არ არის, სკაში თბილი ჰაერი ტრიალებს და ფუტკრები იკვებებიან ზაფხულში შენახული თავლითა. ამ დროს რომ დაუკაუნოთ, შიგნიდან მაშინვე გუგუნუნს გაიგონებთ. მაგრამ თუ ზამთარი ძალიან ცივია, ფუტკრები ვაფიჩხებულნი, ერთმანეთზე შეკუნწულნი და ფეხებგადახლართულნი არიან... რაკი ვაზაფხული დადგება, თუნდ რომ თავლი ჯერ კიდევ ბევრიცა ჰქონდეთ, სკას თავს ანებებენ და მინდორში გადიან სამუშაოდ.



ტკბილი ნექტარი

ფოტო არნოლდ გეგეკორისა



გარჯაში...





ფიჭა



იევნანა

რუსუდან ტოზაშვილი

ქველი ხაზლი ალვანში




ტუმი კალა ბოლქვაშვილი




სატილო

პირველად რომ რუსუდან ტოზაშვილის ნახატები ვნახე, გაცილებული დავრჩი. მისი აბსოლუტური მხატვრული სმენით. ფორმის, ფერის განჯოგადებისა და აბსტრაქციულობის უნარი. გვეროდეს საკუთარი მხისა, მიწისა კონტრასტული ფეროქმედებითი სითამამე სოლო სითამამეს სელოცავში თვითმყოფადი ნიჭი ბადებს ასეთი შემოქმედება თავისუფალი ფორმალური კანონებისა და უქმნილია ცხოვრებასთან, სწამადილესთან პოეტური დამოკიდებულებით.


გამოფენაზე წარმოდგენილი ნახატები ფორმითა და თემადიტი აგრეთებენ მხატვრის ესთეტიკურ მიზანს და ადასტურებენ ავტორის ნიჭიერებას. რუსუდან ტოზაშვილს უკვე მოუწვია საკემირო გამოფენებზე გამარჯვება. უკროსა და სხვა საბატიო პარზების მიღება. ეს უკვე მისი ნიჭის ოლი ცალკური დადასტურება გასაღელ. ელგუშა აბაშუაძლი.



ქველი ხაზლი



საოპერაციოში



ნიკოლოზ იაშვილი



შინ



ნიკოლოზ იაშვილი მეუღლესთან ერთად

აჩქარებით შემოვიღწინე. გამოიარეს ბალი. ვინ იცის, მერამდენე შემოდგომა ეგებებათ აქ, მერამდენე ეფინებათ ხალიჩასავით ფეხქვეშ ყვითელი ფოთლები. მზე კი, ეს გვიანი შემოდგომის მზე, როგორ მძლავრობს, რაღივ აგონებს კაცს გაზაფხულს...

ქალბატონი ნათელა ახალგაზრდულად შეფაკულა. ბატონი ნიკოლოზი ჭაბუკური სიმკვირცხლით ადებს კარს. მეუღლეს კაბინეტამდე აცილებს, თბილ ღიმილს უტოვებს და თავად კიბეზე ზევით მიუყვება. მა ეს „ზევით“ კიდევ რვა სართულია. აქ ინსტიტუტის დირექტორი, საქვეყნოდ გამორჩეული დასტაჟირი ლაური მანაგაძე და ნიკოლოზ იზაშვილი ყველგან უნდა იყვნენ. მათ ყველგან უხმობენ. ისინი ყველგან საჭირონი არიან...

უყურებ მათ და ერთხელ კიდევ ეთანხმები ძველთაძველ ნათქვამს: ჭეშმარიტად მშვენიერი და ბედნიერია იგი, ვინც პოულობს დროს, ვისაც ძალი შესწევს, ჩასწვდეს ადამიანის სულს, თავისი სიცოცხლით სიკეთე მოჰქონდეს მისთვის.

დიდ სიცოცხლეს მარტივ სქემებში ვერ ვინ ჩატევს. ან რომელი სიტყვა, რაგვარად ნაქსოვი ფრაზა დააბრუნებს ხალხის სიკეთეში გალულ ექვსი ათეული წლის თავაუღებელი ძიებით, საოპერაციო მაგიდასთან გატარებული მძიმე წუთებით, სინარულით, გულისტკენით, იმედით, ზრუნვით დატვირთულ დღეებს... ეს უკვე წარსულად ქცეულა. ეს წარსული ცხოვრებაში, ადამიანებს შორის, სიცოცხლის იმედად დადის... ეს წარსული ბატონი ნიკოლოზის ვაჟაკურ ყოვლისშემძლე ხელებსა და თვალებს აღბეჭდვია, მთელ მის არსებაში განივთებულია.

...ალექსანდრე წულუკიძის სახელობის უროლოგიისა და ნეფროლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის, ქალაქის მთავარი უროლოგის, პროფესორ ნიკოლოზ იზაშვილის კაბინეტში თვალს უბრალოება ხედება, უბრალოება და სამუშაო განწყობილება.

სასაუბროდ ვერ ვიცილით. რა ხანია დამთავრდა დილის კონფერენცია, მაგრამ მაინც წამდაუწუმ იღება კარი. შემოაქვთ ავადმყოფთა ისტორიები, რენტგენის სურათები. მერე დიდხანს აკვირდებიან, მსჯელობენ, იღებენ გადაწყვეტილებას. და, აქ, ამ წუთებში, რაც ხდება, იქნებ იმაზეა დამოკიდებული, დაუბრუნდებათ თუ არა ბავშვებს დედა, მშობელს თავისი შვილი.

მერე ბატონი ნიკოლოზი თვითონ რეკავს რომელიღაც სართულზე. ეტყობა, ყურმილს ექთანს იღებს. პროფესორი მას სახელით მიმართავს და ეკითხება.

— რატომ გაქვთ ასეთი ხმა. ავად ხომ არა ხართ, რა მოხდა?

— ...და მხოლოდ მერე აზუსტებს იმას, რაც აინტერესებს.

კვლავ ეკითხებიან რჩევას. კაბინეტში ექიმი ქალი შემოდის. სანამ იგი რამეს იტყვის, ბატონი ნიკოლოზი დგება. მისთვის სკამი მოაქვს და მხოლოდ მერე ეკითხება:

— რაშია საქმე, კვლავ გართულდა მდგომარეობა?

— ორიოდ წუთში ისინი ერთად მიდიან მძიმე ავადმყოფთან.

...ქალბატონი ნათელა დუმს. მის ფიქრს ადვილად იჭერენ თანამშრომლები და ამუშვიდებენ:

— ნუ ლელავთ, ქალბატონო ნათელა, არც ისე ბევრი ავადმყოფი გელოდებათ.

— ახლა წავალ, მე რა შუაში ვარ, — ამბობს ქალბატონი ნათელა.

იღება კარი. ეტყობა, ბატონმა ნიკოლოზმა ყური მოჰკრა მეუღლის სიტყვებს. იღიმება. ხელს ალერსიანად ხვევს, სიტყვას კი თითქოს ვერ პოულობს ადამიანთან, რომელთანაც ოჯახურ სიტბოში გატარებული თითქმის ორმოცდაათი წელი აკავშირებს...

— ბატონო ნიკოლოზ, მეუღლისათვის ყვაილების მირთმევა გიყვართ?

— ყვაილებისა? როგორ ვითხრათ, ვარდების ბაღს ვაშენებ ჩემს ნაკვეთზე, მარტყოფში. და ამ ბაღს მთლიანად ნათელას ვუძღვნი. ასე ვწყვეტ მე ყვაილების პრობლემას.

ორივენი ჯანსაღი, ლამაზი სიცილით იცინიან.

...ბავშვობიდანვე ყველა პატარა მკურნალს ეძახდა. იცოდნენ, საით მიუწევდა გული. ეტყობა, ნიკოლოზ იზაშვილის ქირურგიასა და უროლოგიაში მოღვაწეობაც აუცილებლობით იყო გამოწვეული, შინაგანი მოთხოვნილებით. ჯერ კიდევ სტუდენტმა დაიწყო ამაზე მუშაობა. თავის მასწავლებლებად აკადემიკოს ალექსანდრე წულუკიძესა და პროფესორ გიორგი ხეჩინაშვილს თვლის.

პირველი სერიოზული წრთობა ციმბირში მიიღო, სამხედრო ნაწილში. ლენინგრადში, აკადემიკოს იუსტინე ჯანელიძესთან მუშაობამაც ბევრი რამ შესძინა.

მერე ომის წლები. ლექციების კითხვა სამედიცინო ინსტიტუტში, თან ევაკოპოს-პიტალში მუშაობა. დღეში თხუთმეტი თვრამეტი ოპერაცია.

...თუ ექიმი ხარ, უნდა დაივიწყო ყველაფერი და მთლიანად მიეცე შენს საქმეს. გულით შეიყვარე ავადმყოფი და გქონდეს დიდი მოთმინება. კეთილ ინებე და საკაცზე შენვე დააწვინე და ბოლომდე უპატრონე.

ნაოპერაციევი კაცისათვის არ არსებობს რაიმე წვრილმანი, რომელიც ქირურგის გარეშე შეიძლება გაკეთდეს.

როდის უნდა ისწავლონ ექთნებმა? გამოუცდელმა ექიმებმა?

მათ ყოველდღე უნდა ასწავლო. დამოუკიდებლად ამუშაო კიდევ, მხოლოდ ამ შემთხვევაშიც იქვე უნდა იყო შენ, ის ადამიანი, რომელმაც ავადმყოფს ოპერაცია გაუკეთე. ერთნაირად სერიოზული საქმეა ვენაში წამლის შეყვანაც და წნევის გაზომვაც...

ასეთია პროფესორ ნიკოლოზ იზაშვილის მრწამსი. ასე გაატარა მან თითქმის ექვსი ათეული წელიწადი.

რამდენჯერ გაულია თავისი სისხლი ავადმყოფის გადასარჩენად იქვე, საოპერაციო მაგიდასთან.

ნიკოლოზ იზაშვილისთვის არ არსებობს შაბათი და კვირა. იგი მუდამ საავადმყოფოშია. მისი ქალიშვილები, ნანა და რუსუდანი, პატარები რომ იყვნენ, „საავადმყოფოზე“ უფრო საქულველი სიტყვა მათთვის არ არსებობდა. იცოდნენ, რომ

საავადმყოფო ართმედა მათ მამასთან გასატარებელ სასიამოვნო წუთებს, საათებს, მთელ დღეებს...

დაიზარდნენ, ჩახვდნენ მშობლების სიცოცხლის არსს და თავადაც ეს გზა აირჩიეს.

ახლა სოფიკო და თამრიკო ჩიქოვანებს „ართმევს“ საავადმყოფო ბაბუსა.

...დერეფანში ფეხაკრეფით დადიან. ნიკოლოზ იზაშვილი დღეს უკვე მეორე რთულ ოპერაციას აკეთებს, ძალიან დაძაბული დღე აქვს.

ვიცილ ერთ საათს, ორს, სამს... ოპერაციის შემდეგ პროფესორი უნდა ვნახო.

აი, მისი ხმაც გავიგონე. საცაა გამოჩნდება, ალბათ, დალილი. მძიმედ დაუყვება კიბეს მესამე სართულისაკენ, ცოტას მაინც დაისვენებს თავის კაბინეტში.

ამოდ ვუსცილი. მხოლოდ თვალში მოვკარი. სწრაფად გაიარა. თანამშრომელს ესაუბრებოდა. გაიარა და გაქრა.

ჩორდესაც ლოდინისაგან დალილიმ როდის-როდის ვაგბედე კითხვა, პროფესორ იზაშვილს სად ვნახავ-მეთქი, ღიმილით მიპასუხეს: პროფესორი პალატაშია, კიდევ დიდხანს მოვიხდებოთ მოცდაო.

...რომელი სიტყვა, რაგვარად ნაქსოვი ფრაზა აღწერს პროფესორ ნიკოლოზ იზაშვილის ცხოვრების თუნდაც ერთ დღეს.

ასეთი ადამიანების წინაშე მხოლოდ თავი უნდა დახარო და ამით გამოხატო მათდამი მოკრძალება და დიდი პატივისცემა...

მოგვიანებით კვლავ ვესტუმრე პროფესორ ნიკოლოზ იზაშვილს და მის მეუღლეს — ნათელა ბერძენიშვილს. ჩვენი ჟურნალის პირველი ნომრის გარეკანზე რომ ფოტოა დაბეჭდილი, ის ვანახე.

— პროფესორი ქიმიკოსებმა ლალი რუხაძემ და დავით მაჩხანელმა ახალი ოჯახი შექმნეს. მეუღლეობის მძიმე ჰაზანი თქვენსავით სიამოვნებით და ტკბილად რომ გასწიონ მთელი სიცოცხლე. ამისთვის რას უსურვებდით-მეთქი ახალგაზრდებს.

— დავითის ცხოვრებით ცხოვრებას ვუსურვებ ლალის. ყველაფერს აკეთებდეს იმისათვის, რომ მისი მეუღლე მთლიანად ჩაეფლოს თავის საქმეში. თუ კაცი თავისი საქმიანობით კმაყოფილება და სიამოვნებას გრძნობს, ოჯახიც ბედნიერია. ქალისთვის ქმრით სიამაყე ბევრი ნიშნავს, — ეს ქალბატონი ნათელას სიტყვებია.

— მე კი ჩემი დღე და მოსწრება იმას ვფიქრობდი, ისეთი ვყოფილიყავი, ნათელას რომ მოსწონებოდა. მინდოდა, მუდამ ბედნიერი მყოფოდა. მამაკაცებმა უნდა შეეძლოთ, ქალმა ქალობა არ დაკარგოს, ქალიშვილობის ლამაზი ოცნებები და ამალეებული განცდები ცრემლით არ გამოიტიროს. ქალს უყვარს, როცა მუდამ გრძნობს მეუღლის ალტაცებულ მზერას. ეს არ უნდა დაევიწყოთ.

— და მაინც რაშია, ბატონო ნიკოლოზ, თქვენი ორმოცდაათი წლის ბედნიერი ოჯახური ცხოვრების საიდუმლო?

ბატონი ნიკოლოზი გამოკვეთილად ამბობს:

— სიყვარულში, ჩემო კარგო. ესაა ყველაფერი და თავი და თავი. დიას, სიყვარული... სიყვარული...

მე და ჩემმა ამხანაგმა საგარეუბნოს ვერ მივუსწარიტ და... გამვლელზე დავსხდით. პლაცკარტიან ვაგონში. პლაცკარტები ამ ბოლო დროს წარმოუდგენლად ჩაყამებულია. არ ვიცი, კუპირებულთან შეჩვეულებს გვეჩვენება ასე, თუ საბოლოოდ გაუბედურდა ჩვენი რკინიგზა. ის ვაგონი, რომელშიც ჩვენ ავედით, მართლა აღარაფერს ჰგავდა: დანაგვიანებული, გამურული, ისეთი, დასუფთავების სურვილსაც რომ არ აღგიძრავს. გამცილებელი, დიდ-თვალემა, სასიამოვნო გარეგნობის სტუდენტი გოგონა, ეტყობა, თვითონაც უხერხულად გრძნობდა თავს და ამიტომაც, დაიძრა თუ არა მატარებელი, შეიკეტა კუბეში და მის შემდეგ მთელი ორნახევარი საათის განმავლობაში არავის დაგვიხანავს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, მატარებელიც არ იყო მაინცდამაინც შორს მიმავალი — სამნიშნა ციფრით. და ასეთს ვინ აქცევს ყურადღებას. ვინ მოითხოვს მისგან იმაზე მეტს, რაცაა. მთავარია, წავიყვანოს. მოხერხებულია და ღირს.

ჩვენ თავისუფალ ადგილზე მოვთავსდით, წიგნის კითხვით გართული მოხუცი ქალის პირდაპირ და იქაურობის თვალთვლება დავიწყეთ. მოხუცი უსათვალოდ კითხვობდა, რაც ასეთ ასაკში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ხოლმე. მოხუცს სქელი წიგნი მუხლებზე დაედო და ფართე სავარცხელგარჯობილი, კონტად შემოკეთებული ჭიკაბაძის თავი ზედ დაეხარა. მისი ტუჩები სტრიქონების მიყოლებით მოძრაობდნენ, ხოლო ცოცხალ, ყურადღებიან სახეზე ეხატებოდა ის განცდები, რასაც წიგნი აღძვრავდა. ზევი-თა საწოლზე, მოხუცის თავს ზემოთ, შუახნის მამაკაცი წრიალებდა და თვალებს, ჯიშინ მოგრძობა სახეს რომ უმშვენებდა, ჩვენსკენ აპარებდა. მას სპორტული ტრიკო ეცვა — შავი, თეთრზოლებიანი. ზოლები, სხვათაშორის, გამელოტებულ თავზეც უბზინავდა. მისი შეხედულებით, ჩვენ ძალიან თავქარიანი მგზავრები ვჩანდით — ორ კაცს ერთი ჩანთა გვექონდა და თანაც მეტად მხიარულად ვიქცეოდით. როცა ცოტა ნაყლაპი ხარ, მხიარულება გასაგებია, მაგრამ უყველაფროდ, მით უფრო მატარებელში — არც თუ იოლად წარმოსადგენი იქნება. ამც შემოთას ჩვენი სამი ცარიელი ხელი აღიზანებდა, ანდა რალაც უფრო მნიშვნელოვანი, მაგრამ ერთი ცხადი იყო, მას ჩვენ მაინცდამაინც არ მოუვლიდით თვალში.

ჩემი მეგობარი, რომელიც მუდამ რალაციით იყო დაინტერესებული, წამოდგა და ვაგონი დაათვალიერა. როცა დაბრუნდა, მთლად ცარიელიაო, თქვა და საკმაოდ ხმაშლილ დაიწყო იმის განსჯა, თუ რატომაა ასე ცოტა ხალხი მატარებელში (სექტემბერი იდგა). მის ხმაზე ჩვენს კუბეში შემომძვრნენ გოგო და ბიჭი — ასე ხუთი-შვიდი წლისანი, რომლებიც, როგორც ჩანდა, ვაგონის თვალთვლებისას ჩემმა მეგობარმა რალაციით დაინტერესა. ოლეგმა (ასე ერქვა ჩემს ამხანაგს) ლაპარაკი შეწყვიტა და ჯიბეები მოიქექა. შიგ ბურთულიანი კალამი და სავარცხელი იპოვა, ამოიღო და ბავშვებს გაუწოდა. ისინი ცოტა შეცბნენ, მერე გამოართვეს, თუმცა ვერაფრით გაეგოთ, რა უნდა ექნათ ამ საჩუქრისათვის. გაკვირვებულნი ერთმანეთს შესცქეროდნენ და ადვილიდან არ იძვროდნენ. ზევითა კაცმა ოდნავ ჩაიციხა. ამ, ცოტა არ იყოს გაუგებარმა, მაგრამ გულ-

წრფელმა ქცევამ, ეტყობოდა, იგი დაამშვიდა, ჩქარა გვერდიც იცვალა.

მანდილოსანმა წიგნი აიღო და ისე, თითქო მაინც კითხულობსო, ოლეგს გაფაციცებით თვალები მიაპყრო, ჩანდა, ეშინოდა რალაც მსგავსი ნივთით ოლეგს მისი დაჯილდოებაც არ მოპრიანებოდა. ჩვენ მართლაც ძალიან ვგავდით შერევილებს.

ამ დროს შემოგვესმა ისეთი ზღუქუნით თუ ყვირილი, რომ ყველანი შეგვაშფოთა. ოლეგი წამოხტა:

— რა ამბავია?
— ეს, იქა, ძია ტირის, — თქვა ჯოგონამ და ვაგონის სიღრმისაკენ ვაიშვირა ხელი.

— ძია ტირის? რად ტირის?
— გამობრუებულია და ვერ ისვენებს, — განმარტა ყვინჩილასებრი ხმით ბიჭმა.

ახლა, როცა მათ დაილაპარაკეს, აშკარად გამოჩნდა, რომ ბიჭი გოგოზე უფროსი იყო და ცხოვრების რალაციებიც გაეგებოდა. მოხუცმა ქალმა ბოლოს და ბოლოს მიანება თავი წიგნს, ვახედა ვასავლელს და ხეწუთ დაამოწმა:

— აგვიკლო პირდაპირ, ვიდრე ქალაქში შემოვიდოდით, მილიციით შევაშინეთ. ცოტა მიჩუმდა, ახლა ისევ დაიწყო.

— არ შემოძლია-აა! — შემზარავად გაისმა შორიანხლო ხმა. — არ შემოძლია-აა!

— სულიც გაგძრობია! — გამოეპასუხა ზემოდან ტრიკოიანი კაცი და გაბრაზებული წამოჭდა. ფეხები მანდილოსნის ცხვირწინ ჩამოჰკიდა.

— მორჩა! შემდეგ სადგურს ვეღარ გასცდები. მიწოდდა ხომ! აღამიანურად მიწოდდა ჩამესვა, აღამიანურად მეგზავრა!

— არ შემოძლია-აა! — უფრო შემზარავმა და მგრგვიანავმა ხმამ შეაწყვეტინა მას.

ოლეგმა ვერ მოითმინა და მის სანახავად წავიდა. მეც მივყევი. ორი ტიხრის იქით გაბურძვნილ თავს დროდარო მაგიდის ძვიდეს ურახუნებდა და კრუნჩხვისაგან იგრიბებოდა ტალახში ამოთხვრილი სხეული. გაბინძურებული, დროისაგან გამოყვითლებული ნეილონის ქურთუკი და რეზინის ჩექმები ეცვა. კუბე ცარიელი იყო, არავის სურდა, მისი ტანჯვისათვის ექპირნა. ოლეგი მის პირდაპირ, მაგიდის მეორე მხარეს ჩამოჭდა, მე — გვერდით. ჩვენს წინ მჯდომი კაცი ცოტა ხნით მიყუჩდა, თითქო ყურს უდებდა თავის თავსა და იმას, რაც მის გარშემო ხდებოდა. მერე მთელი ძალით, გაგრძელბულად ისეთი ჩახრეწილი ხმით ამოვიგინა, რომ ისეთი ყელისამომგლეჯი ოხვრა უმიზნებოდ არ იქნებოდა. ასე შეიძლებოდა ამოხეთქილიყო მხოლოდ ზღვარდაუდებელი უბედურება. ოლეგმა სცადა, შეეხვრობა ბედ-შავი. მას დიდხანს არაფერი ესმოდა, არაფერს გრძნობდა. მერე, როგორც იქნა, მაინც წამოსწია თავი. გამოაჩინა სახე და გამოთავყვანებული მხერა მოგვაპყრო.

არავის, არანაირ მტერს არ შეეძლო იგი ისეთ დღეში ჩაევდო, როგორ ყოფამდეც მას საკუთარი თავი მიეყვანა. აღრინდელი აღამიანი, თუმცა მეტად მკრთალად, მაინც ვერ კიდევ შეიძლებოდა დაგვლანდათ მის არსებაში. ლურჯი და, ალბათ, ოდესღაც გამჭვირვალე თვალები, ახლა ჩასისხლიანებული, დაბერილი და გადმოქაჩული, მიღუღულიყვინ, რათა დღის სინათლე არ ეხილათ... დღის სინათლეს ისინი მართლაც ცუდად ხედავდნენ და მით უფრო მძაფრად და შეუბრალებლად ჩაშტერებოდნენ საკუთარ სულში, აიძულებდნენ ამ კაცს, თავზარდამცემად ეყვირა. ქერა, ხშირი თმა, ზინტიანი და გაბურძვნი-

ლი, ბლუჯა-ბლუჯად ჩამოჰკიდებოდა. მრგვალი პირისაზე ჰქონდა, ახლოვდა იმ ოხრეკილი ქვედა ყბითა და ლამაზად შეყვანილი ნიკაპით. ოდნავ ატყნის...
მიკოსებოდა ამ მსუბუქ და მარტივ გარეგნობას გულითადობისა და უბრალოების ნიშნად. ეს სახე ახლა დაბიჟინებული, გაჯავრული, დამძიმებული და გამოძეგილი აჭრილი სისხლით, ჩაფერფლილი მინავლული შავი მცხუნეარებით. პატარა ღრმული, ნიკაპზე რომ ჰქონდა, ისიც განხანგრძლივებული იარის შთაბეჭდილებას სტოვებდა. რამდენი წლისა იქნებოდა? ძნელი სათქმელი იყო: იქნებ ოცდაათს მიღწეული, იქნება ორმოცსაც.

და თუ მოვიგონებთ — მისი მსგავსი მამაკაცები, მისი უშუალო წინაპრები, ასეთივე ქერა თმებითა და ასეთივე უბიწონათელი სახეებით, რაც არაჩვეულებრივი ძალისხმევითა და მზრუნველობით ჯიშინობის გამოსახენად მას გადმოეცა — მიბიჯებდნენ კულიკოვის ველზე; გამობოდნენ ხეხი ნოვგოროდისკენ მინინისა და პოჟარსკის მოწოდებისთანავე; შედიოდნენ სტეფან რაზინის გუნდებში; ლაშქრობდნენ ერმაკთან ერთად ურალის იქით — იერთებდნენ მიწებს, რომლებზედაც ძველი ორი რუსეთიც კი თავისუფლად მოთავსდებოდა; ამარცხებდნენ ჰიტლერს... და აი, რას ჰგავს ახლა-ეგ?!

ჩემი მეგობარი განზარდობდა მის ნჯღრევას: — რა იყო, რა მოვივიდა?

— არ ვიცი.

— მაგას ქათმის ბულიონი მოუხდებოდა ახლა... მუცელს შეუღმსუბუქებს, — დაგვარია ჩვენი კუბეში მოხუცმა ქალმა. ვერც კი შევაძინეთ, ჩვენს გარშემო, როგორ შეგროვილიყო ხალხი.

— მაგას ქათმის ბულიონი კი არა, ასი გრამი უნდა, — ხმაშლილ, მძიმედ, შემოგვთავაზა წითურმა ახმახმა, რომელსაც, ეტყობოდა, ამ საქმეში ჭიბი ჰქონდა მოჭრილი. მის გარშემო იდგნენ ჩვენს კუბეში ნამყოფი გოგო და ბიჭი.

ყველანი ერთხმად აყაყანდნენ.

— ასი გრამი? იმან არ მიიყვანა აქამდე? ლამის კედელზე ავიდეს.

— ასი გრამი, არა?! ასი გრამი კი არა, შეკოჭო უნდა და პირაკრული დაავდო.

— ისედაც გამოსაფხიზლებელს ჰგავს ჩვენი ვაგონი. კაცი არაა პატრონი. ყველანი დაიმალნენ. ბრიგადირი მოვიტხოვეთ... სადაა მერე?

— ჰოდა, იმგზავრებ მორგში, — ჩიბუხუნა ახმახმა. — ვერ ხედავთ, რანაირი სიმთვრალე სცოდნია? ის გაგუდავს მაგას, — ამ სიტყვების შემდეგ აშკარა გახდა, რომ ახმახი მამა იყო იმ ბავშვებისა.

— შავი ფეხებს ვაფშიკავს აქ და, ვინ აგებს ჰასუსს?

ჩვენი კუბიდან ტრიკოიანმა კაცმა მოიბრინა:


— ამიტომაცაა საჭირო, რომ იგი დაუყოვნებლოდ ჩავსვათ. მე ხომ ვირჩევდით... ასე მგზავრობა შეუძლებელია. ხალხია აქ.

— მაგას, ნამდვილად, ბილიეთიც არა აქვს... მაგან ღია კარები დაინახა და ამოძვრა... მაგას კარები შეეშალა.

— ეჰ, მაგას ბევრი რამეც შეეშალა.

ჩემს პირისპირ აღმოჩნდა, ნაბატები, მსხვილკვლებიანი, სუფთა ჰაერზე ნამყოფი მოხუცი დედაკაცი. იგი თავის გრძელ ხელებს აქნევდა:

— ჩერებია, ჩერებია საძაგლები! მაგათ სულ წუნწუნში ამოსვრილი ცოცხით გავვიდი, დავგვალეს, გავგაწამეს ხალხი...



— მე კიდევ სიძე...
 — დავამყარეთ დემოკრატია ლოთები-სათვის. ამ საქმეში ჩვენ სათანადო სიმალ-ლეზე ვდგავართ. ამაში ჩვენ, ვისაც უნდა ას ქულას მივცემთ ფორად, — ეს ისევ ჩვენი განათლებული ტრიკოა.
 იმან კი, ვისთვისაც ასეთი ორომტრია-ლი ატყდა, დადო თავი მაგიდაზე და სუ-სტად, გულწასულივით კვნესა დაიწყო, წკიპზე მიმდგარ სულთმობრძავს ჰკავდა.
 ჩემმა ამხანაგმა ყველას ნათქვამი მოის-მინა, იფიქრა, იფიქრა და წამოდგა.
 — ვინ იცის, რესტორანი ღია იქნება ახლა?
 — წადი, წადი, ძვირფასო. შენ სხვა თქვი, თორემ მაგი მუდამ ღიაა, — ჩაგვგე-სლა ჰაერზე ნამყოფმა დედაქაცმა.
 — შენ მხოლოდ დასტვინე, ყველა ბოქ-ლომი თავისთავად გაიღება: ძროხებისა და

— დიდი ხანია... რაც მიპყევ სიმალეს?
 — არ ვიცი, არ მახსოვს.
 — ლაპარაკობდა დაძაბულად და ხრინწი-ანად. სიტყვებიც თითქო დანახშირებული ამოსდიოდა პირიდან. თავი ლამის მოსწყ-ვეტოდა. დროდადრო შეანჯღრევდა, მალ-ლა ასწევდა. დანახშირებულ, ჩაძარღვულ, წვირიან კისერს აჩენდა.
 — სადაური ხარ, რომელი მხრიდან?
 — მოსკოველი.
 — აი, ბედასლი, აი, ბედასლი! — შე-მოჰკრა ხელები მოხუცმა დედაქაცმა. — შენ ეი, დააბრეხე, მარა, ზომა იცოდლე!
 — ვინ დააყენებს ამისთანას მოსკოვში?
 — მერედა, ვინ აყენებს? — გამოეხმა-ურა მეზობელი კუბიდან ვილაცა. — ხომ არ გგონია თეთრი მარმარილოთი მოპირ-კეთებული მეტროთი ვმგზავრობთ.
 — ბიოგრაფიას დაწვრილებით მთხოვთ?

დარჩა, თავადვე განმარტა დიდი დაჯერე-ბით: — გამოავლო, გამოავლო! ვინ, ვინ იქნებოდა ისეთი ჩერჩეტი ამ მუხტანტანს რომ გასძლებდა?
 — გამოვაგლო, ხო, გამოვაგლო, — ბრა-ზით დაემოწმა იგი... მერე დაამატა: — და თვითონაც გალოთდა.
 თანაც ყველაფერი ეს ისე წარმოთქვა, ამყარა იყო, სრულ სიმართლეს ამბობდა.
 — აი, ხათაბალა! — ამოიხარა დედა-ქაცმა. — ბავშვები, ბავშვები გყავს?
 — მყავს ბიჭი. ისიც გალოთდება.
 — ახლა კი მიჰქარავ! — შეუტია ახმა-ხმა. — არაფერიც არ გალოთდება.
 — გალოთდება.
 — მიჰქარავ! — დაუორილა ისევ. — შენ, ეი, დამალა, რას როშავ?
 — შენ გალოთდი. იქნებ, მეც გავლო-თდე, მაგრამ ეგენი არ გალოთდებიან.

არ უპაუოქლია...

ლორების სასმელი არაფერი აქვთ, ამ მუ-ცელგასახეთქელი კაცებისათვის კი დღე-ღამე მოსჩქედს საყურადღებო. ხო, ნუ ყოყმანობ. დედაბერი, ეტყობოდა, საშინ-ლად ენამწარე იყო. — შენ თავადაც ვერ ითმენ, მგონი, — დაუმატა მან.
 ოლევი ერთი ბოთლი პორტვინით და-ბრუნდა. ხალხი ამ დროისათვის უკვე გა-იფანტა. მხოლოდ ახმახი იჯდა ჩემთან ერ-თად, იმ უბედურის გვერდით. რაც არ უნდა ყოფილიყო, რჩევა მან მოგვცა და თავს პასუხისმგებლად სთვლიდა.
 — იქნებ არც იყოს საჭირო, უამისოდ გამოკეთდეს? — იკითხა ოლევი.
 — ნება თქვენია, — აიჩეხა მხრები ახ-მამხმა. — მე მივცემდი, ხედავ, როგორ სუნთქავს? არ სუნთქავს კარგად. იგი მთვრალია, რა თქმა უნდა, მერე დამატე-ბას თხოულობს. თუმცა, დაე, ცოტა დაის-ვენოს. ერთბაშად ჩასხმა არ შეიძლება. მე ვიცი, მაგას ახლა ნება-ნება, მუხრუჭების დაჭერით უნდა დალევიანება.
 ამჯერად მას დიდი წვლანევა აღარ დას-ჭირვებია. მგონი გვისმენდა კიდევ. თავი წამოსწია და, როცა ღვინით სავსე ჭიქა დაინახა, დიდხანს და მკაცრი გამომეტყვე-ლებით უცქირა. მერე ჩვენ რაღაც უკი-დურესად დაბეჩავებული გატანჯული მზე-რა მოგვაგლო, ჭიქა ხელეში ჩაბლუჯა და ფანჯრისკენ მიტრიალდა. ვაგონი საშინ-ლად ირწეოდა. გარკვევით გვესმოდა, ჭი-ქას როგორ გაჰქონდა რაკა-რუკი მის კბი-ლებზე. იგი სვამდა წრუპვა-წრუპვით დიდხანს. ისე, როგორც მასავით გათავე-ბული ხალხი სვამს ხოლმე საერთოდ. და-ცალა. ჭიქა დადგა, გაჭირვებით მოაშორა ხელები და ამოიხრიალა!
 — კიდევ!
 — ეე, მოიცა, სად ვარბიხარ? — შეა-ჩერა ახმახმა. — შემოგხედოთ ერთი. ვა-ვიგონოთ, რას გვეტყვი?
 იგი გაიტრუნა, თითქოს თავისთავს უს-მენსო, თითქოს რაღაც ვაიგონა, შეიჭმუ-ხნა და გულმკერდის სრესა დაიწყო.
 — ჰა, დაგარტყა? — ჰკითხა ახმახმა.
 — არა.

— იკითხა კაცმა, რომელშიც თითქოს თავ-მოყვარეობის ნაპერწკალმა გაიეღვია და თვალი ოლევის ბოთლიანი ხელისკენ გა-აპარა.
 — დაუსხი, — დართო ნება ახმახმა. — ხედავ, გვიჯავრდება კიდევ. არგო რო-გორც ჩანს. მარა სავსე არა, ნახევარიც ეყოფა.
 ოლევი დაუსხა ნახევარი ჭიქა. ამჯე-რად მან უფრო ყოჩაღად გადაჰკრა. თვა-ლებში სიცოცხლის ნიშანი გაუჩნდა.
 მეტის იმედი რომ არ ჰქონოდა, პორტ-ვინის ნარჩენი ჩვენ გადავინაწილეთ ბავ-შვების მიერ მოტანილ სამ ჭიქაში და და-ვლიეთ. — მოსკოველის სადღეგრძელო წარმოითქვა. მან შემოგვხედა გამოღვიძე-ბული ცნობისმოყვარეობის იმ მიღეული ნამცეცით, რომელიც სადღაც ჩარჩენოდა. მაგრამ ჭერ კიდევ საშინლად დამძიმებუ-ლი უილაჯო და გახევებული იყო.
 — რა გქვია? — გააგრძელა გამოკითხვა ახმახმა.
 — ჰეროლდი.
 — რაო?
 — ჰეროლდი, — თქვა და ხველებს აუტყდა საკუთარი სახელის წარმოთქმი-სას.
 — რა, რუსი არა ხარ?
 — რუსი ვარ.
 — მერედა, ეგ რად დაურქმევიათ?
 — მე რა ვიცი, დედ-მამამ შემარქვა.
 — შენ, ეი, ვაჟკაც, ასეთი სახელის მქო-ნეს, ხელობა სწორად ვერ შეგირჩევია. შენ უნდა აგერჩია... მართლა რუსი ხარ?
 — სიფათზე მაინც არ მეტყობა?
 — ღმერთო ჩემო! — მიძიმედი ამოიხ-რა დედაქაცმა. — რას არ მიჩვენებ, ვის არ გადაწყვიტე? რა იქნება, ერთხელ კე-თილშობილ ადამიანსაც შემახვედრო.
 — დიდი ხანია, ლომო, რაც ურტყამ? — განაგრძო ახმახმა.
 მან არაფერი უთხრა, რაღაც შინაგანი მოძრაობით იყო დაკავებული.
 — ცოლი გყავს? — ჰკითხა მოხუცმა ქალმა და, როცა ეს კითხვაც უპასუხოდ

ამათ უფლება არა აქვთ, — ხელით აჩვენა ბავშვებზე, რომლებიც არც გაკვირვებუ-ლნი ჩანდნენ და არც შეშინებულნი, იდგ-ნენ ისე, თითქო აქ არაფერიყო. — ამათ უნდა გამოასწოროს, რაც ჩვენ გავაფუ-ჭეთ, გაიგე, შენ? და არ გაბედო საკუთარ შვილზე ეგეთების თქმა. გაიგე? ვილაცამ ხომ უნდა გამოგავოს ჩვენს შემდეგ გა-ბინძურებული სახლი.
 ხმაურზე ისევ გამოეფინა ხალხი. ჩვენ-კენ სინანულით აქნევდა თავს წიგნიანი მანდილოსანი. ტრიკოიანიც ჩამოხტა და ტყვიამფრქვევით დაგვაყარა. არც ჩვენ და არც ახმახს არაფერი ესმოდა, მაგრამ გუმანით მიმხვდარიყო, რასაც ამბობდა და შემცბარი და დარცხვენილი უქნევდა ხელს იმის ნიშნად, გვაპატიე, დამშვიდდი, მეტს აღარ ვიზამთო. მაგრამ ტრიკო არც პატი-ობდა და არც ცხრებოდა.
 ეს ჩვენი ჰეროლდი მისჩერებოდა მის ცხვირწინ ნებიერად მოთანთალე ღიბს, აფახულებდა თვალებს და მრავალმნიშ-ნელოვნად იმანჭებოდა.
 ...მხოლოდ შემდეგ სადგურამდე! — მოულოდნელად სრულიად გასაგებად და-ასრულა ტრიკომ.
 — ფუ-ლუ-რო! — გაუბზარავი, რაღაც-ნაირი მომხიბვლელი ხმით მიუგლო მას ჰეროლდმა. საოცარი იყო, ეს სითბო საი-დან გაუჩნდა ხმაში?
 — რა-აა?
 — ფუ-ლუ-რო! შეაყოლე შენს ჩიხში და ნუ დაგვბუყუნებ. გააწყალა რა..
 — ხედავთ, ილანძლება კიდევ. მე დიდ-ხანს ვითმინე! — ტრიკო შემოპროწიალ-და, ფიქრობდა, საით უნდა გაქცეულიყო, რომელ მხარეს იყო მატარებლის უფრო-სობა.
 — დაიცა. შენც ნუ შედექ ყალყზე! — სცადა დამშვიდება ახმახმა.
 — მე და შენ ფუთი მარილი არ გვიქა-მია ერთად, — მიუგო მან. ახმახმა კი ვერ გაიგო და გაიკვირა:
 — შენ რა, მე გიყი მნახე, მარილი გქა-

მო? ჩვენთან მარისს არავინ ჭამს, მარისს საჭმელს უშვებია.

ტრიკოინი გავარდა მატარებლის მოძრაობის მიმართულებით.

— ჰოდა ჩაგაყუდებენ ახლა ათი ან, იქნებ თხუთმეტი დღითაც, — დაჯერებით თქვა ავყია დედაკაცმა.

ბიჭი შეკრთა.

— შენ, მამი ისევ დაიწყე? რა ვითხრეს წამოსვლის წინ? შენთან არსად არ შეიძლება წასვლა.

— ნუ გამობხტი! — შეიჭმუნა ახმახი.

— შენ მანდ იჯექი და ნუ ეჩრები, არავინ გეკითხება.

— ამისათვის არავის იჭერენ! — თქვა ჩემმა მეგობარმა. — ბოლოსდაბოლოს ხომ არაფერი მომხდარა. არავის უჩხუბია, არ უგინებიათ.

— ეს „ფულურო“ რაღა იყო მაინც? — დაინტერესდა ახმახი. ეტყობოდა, ნათქვამი მოეწონა. თავდაც ოსტატი ჩანდა მოსწრებული თქმისა და სხვისიც ახარებდა.

ლოთი ღუმდა, მასში ისევ რაღაც ხდებოდა.

— შენ გეკითხები, „ფულურო“ რად უწოდებ?

— ბუყუნებს, ბუყუნებს! — უცებ ბრაზიანად, თითქო ღრიალი უნდაო, წამოიზმულია მან და იქეთ მიბრუნდა, საითკენაც ტრიკო გაქანდა. — კი ვიცი მე მაგი, მაგ არის ნამდვილად, მაგ! მე სალახანა ვარ, არარაობა, მათხოვარი, მაგრამ მე ათი წელი პატიოსნად ვიმუშავე. მამაჩემი იბრძოდა... ეგა? ეგა მთელი ცხოვრება პატიოსნად ბუყუნებს, ეგაა ნამდვილად!

— ვინ ეგაა? შენ რა გაახურე: ვინაა ის? — ფულურო!

წარმოთქვა მტკიცედ. მერე დაღო მაგიდაზე თავი და ისევ აზღოქუნდა.

მორჩა. მუყუდრობა დამთავრდა. სასმელმა იგი შეაბრუნა. ჩვენ ერთმანეთს გავხედეთ. არ ვიცოდით, რა გვექნა. უკვე მდარაფრით ვუშველიდით. ჩვენმა წინახედელმა ცდამაც, ჩანდა, უშედეგოდ ჩაიარა.

— საით მიდიხარ, სად უნდა ჩახვიდე? — რაღაცნაირი უხერხულობით ჰკითხა შეწუხებულმა ახმახმა.

მან თავი აიქნია და წამოიყვირა:

— სადაც ჩამავლებენ! გაიგე? სადაც ჩამავლებენ! დამანებეთ თავი, დამანებეთ! არ შემიძლია-ააა!

ნერვები მთლად მოშლილი ჰქონდა, გაღამწვარი.

მე და ჩემი ამხანაგი მივბრუნდით კუბეში. ჩვენმა მოხუცმა წიგნი გადადო, თითქო რაღაცის კითხვა სურდა, მაგრამ გადაიფიქრა და ფანჯარაში გაიხედა. გარეთ, უთვალავ მავთულთა ბადის იქეთ, გადაშლილიყო დედა რუსეთი. მატარებელი მიჰქროდა რელსებზე მძლავრი ჩაქუჩების ცემით, რომლის ხმა ჯერ თავისსავე თავში ინთქებოდა, მერე კი შებრუნებული თანამიმდევრობით უკანვე ამოვარდებოდა ხოლმე.

შემდეგ სადგურზე ჩვენ ჩავედით და, როცა იმ ვაგონის გასწვრივ გავიარეთ, დავინახეთ ფანჯარაში. ჩვენკენ მობრუნებული, შუშაზე ცხვირმიტყუელი, ცრემლჩამომდინარი შემაზრუნეი სახე. პირის მოძრაობით შეიძლება ამჟამად გავერჩიათ, რომ მხოლოდ ერთ სიტყვას წარმოთქვამდნენ სულის სიღრმიდან საშინელი ტანჯვით ამომავალი ჰაერის ნაკადით გახურებული მისი ბაგეები:

— არ შემიძლია-ააა!

თარგმან ალექსანდრე ფოცნიშვილმა.

სამოციან წლებში ქართულ ვოკალურ სკოლას კვლავაც შეემატა ახალი სახელები, ახალი ვარსკვლავები. მათ შორის ერთი პირველთაგანია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ზურაბ სოტკილავა. მან იმთავითვე მიიპყრო ჩვენი ყურადღება მკაფიოდ ინდივიდუალური, დასრულებული, უზნალო ვოკალურ-აქტიორული ნიჭით. ელვის სისწრაფით გახშიანდა მისი სახელი და ტრიუმფით მოიარა მსოფლიოს ბევრი ქვეყანა. ქართველი ვოკალისტის შთაგონებულმა სიმღერამ ალაფროვანა სხვადასხვა ერისა და ასაკის მსმენელები. დღეს ზურაბ სოტკილავას მაღალ ხელოვნებას იცნობენ და აფასებენ არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც. დიახ, ზურაბს აქვს რაღაც იღუმალი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი განუყოფელი ხმა, სითბო, ძალა, ემოცია, მუსიკალური სული. იგი იწვის და ისე მღერის. მღერის მთელი არსებით, მთელი სულითა და გულით.

ეს შემოქმედებითი წვა, ცეცხლი, ეს აქტიორული განცდა-გარდასახვა იმდენად ძლიერი, ძალუმი და ბუნებრივია, რომ მსმენელს თავისთავად ითრევს განცდათა სტიქიაში. სოტკილავასეული ინტერპრეტაცია, მის ხელოვნებასთან შეხვედრა,

რდა მომღერალს კლასში, სპეციალისტის გაკვეთილზე, საგანგებოდ დასწრები.

მომავალ ლექციაზე შეხვედრები ტივემულმა ლექტორმა, სოტკილავის მღერით აღფრთოვანებულმა, გვითხრა:

— რა ზუსტი შეფასებაა. მართლაც იწვის და ისე მღერისო!..

ზურაბ სოტკილავა იწვის და სხვადაც სწავს, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

— სიმღერა მიყვარს თავდავიწყებით, — ეს ზურაბის სიტყვებია. — სხვაანირად ვერაფერს მიმიყვანდა კონსერვატორიაში. ჯერ პროფესორ ნიკოლოზ ბოკუჩავასთან ვმეცადინებოდი, როგორც ბარიტონი. ვიმღერე ვალენტინის, ჟერმონის არიები... 1962 წლის დეკემბრიდან კი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის დავით ანდლულოძის კლასში დავიწყე მეცადინეობა, როგორც ტენორმა. ერთი წლის შემდეგ მთელი კლასი მოსკოვის კონსერვატორიაში წაგვიყვანეს პედაგოგთა საკავშირო სემინარზე. სწორედ აქ შედგა ჩემი შემოქმედებითი ნათლობა, აქ დავიბადე, როგორც მომღერალი.

მეზუთე კურსელმა, ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსში გავიმარჯვე. მალე იტალიაში გავემგზავრე ორი წლით, ლა-სკალას თეატრში, სტაჟირებაზე. ვმეცადინებოდი გამოჩენილ პედაგოგ-



ცხოვრების ერთ-ერთ დაუვიწყარ, ძლიერ შთაბეჭდილებად რჩება.

ყოველივე ეს საკუთარ თავზეც გამომიცდია.

დაუვიწყარია ჩემთვის 1963 წელი, როცა ჯერ კიდევ კონსერვატორიის სტუდენტმა, პირველად მოვუსმინე მას სტუდენტთა კონცერტზე, მცირე დარბაზში. სხვათაშორის, ეს მისი პირველი საჯარო გამოსვლა გახლდათ.

იმ დღესვე დაირბა კონსერვატორიაში ხმა სოტკილავას სიმღერაზე, მის დიდ მომავალზე. მეორე დღეს კი, ლექციის დროს, ერთ-ერთმა ჩვენმა ლექტორმა, რომელიც ვერ დაესწრო იმ კონცერტს, მაგრამ ყური მოეკრა სოტკილავას ქება-დიდებათვის, იკითხა: — რომელიმე თქვენგანი ხომ არ დასწრებია გუშინდელ კონცერტსო?

ზოგმა რა თქვა სოტკილავას შესახებ, ზოგმა რა. მე კი ასე ვამოვიტვი ჩემი აზრი: — იწვის და ისე მღერის-მეთქი. ამ ნათქვამს, როგორც შემდგომ თვითონ პატივცემულმა ლექტორმა გვითხრა, თურმე ისე დაუინტერესებია იგი, რომ ახალგაზ-

ებთან ჯენარო ბარასა და ენრიკო პიატასთან. აქ მოვამზადე ექვსი პარტია. იტალიიდან დაბრუნების შემდეგ, დიდი თეატრის მომღერლებთან — თამარ სინიავესკაიასა და მაყვალა ქასრაშვილთან ერთად სოფიის მსოფლიო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეცხრე საერთაშორისო ფესტივალზე გავემგზავრე. აქ მთავარი პრიზი „ოქროს მედალი“ და პირველი პრემია დავიმსახურე...

1973 წლიდან მიწვევით ვარ მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი. მანამდე თბილისის საოპერო თეატრში ვმღეროდი.

ზურაბ სოტკილავა არაერთი, საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია. მათ შორის ჩაიკოვსკის სახელობის მეოთხე საერთაშორისო კონკურსისა (მეცა მეორე პრემია), ესპანეთში ბარსელონას ფრანსისკო ვინიასის სახელობის ვოკალისტთა მერვე საერთაშორისო კონკურსისა (პირველი პრემია და სპეციალური პრიზი). მისი იშვიათი სილამაზის ხმა და საშემსრულებლო ხელოვნება ერთნაირად ალაფრო-

შემაქს მსოფლიო უსკუნს



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თოვანებს ყურის წვერებსა და ფართო მსმენელს. ქართველი მომღერლის ხელოვნებას ყოველთვის ფართოდ ეხმაურება პრესა. ქვემოთ მოვიტანთ რამდენიმე ამონაწერს უცხოური ჟურნალ-გაზეთებიდან:

— ზურაბ სოტკილავას ხმას ახასიათებს სიძლიერე, გამომსახველობა და ექსპრესიულობა, რაც აუცილებელია საოპერო სცენის ყველა დიდი ოსტატისათვის. იგი მღერის მგზნებარედ, მთელი გულით, არსად არ იგრძნობა სიყალბე და ჩვენ არ გავიკვირდებთ, თუ სოტკილავას ვიხილავთ დიდების მწვერვალზე სხვა საუკეთესო მომღერლებთან ერთად, ვისთვისაც იბრძვის ყველა საოპერო თეატრი (ბულგარეთი, „რუსენსკაია ვაზეტა“).

— ზურაბ სოტკილავა არის იმ საუკეთესო ტენორთაგანი, რომელიც კი ბარსელონაში მოგვისმენია ამ ბოლო წლებში. იგი ყველა თვისებით შემკული ტენორია. მას აქვს უზღვევი ენერჯია, ულამაზესი ტემბრისა და დიდი დიაპაზონის ხმა, ყველა რეგისტრში რომ თანაბარი სიძლიერით ქლერს (ესპანეთი, გაზეთი „ლავანგუდარდია“).

— ზურაბ სოტკილავა მღერის ისე ლაღად და სუფთად, როგორც მარია დელ მონაკო და დი სტეფანო მღეროდნენ თავიანთ საუკეთესო წლებში. ეს მსგავსება იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოთა მომღერალს თავისი სტილი არ გააჩნდეს. მის სიმღერაში მეტი ძალა აქვს სიტყვასა და ეფექტს, (ჩეხოსლოვაკია, გაზეთი „პრალა“).

— გავაოცა სოტკილავას არაჩვეულებრივი ხარისხისა და თვისებების ხმამ. მას თავისი ძლიერი, გასხივოსნებული, ბრწყინვალე სიმღერით თავისუფლად შეუძლია შეერკინოს უდიდეს მომღერლებს. მასში ურთიერთს ერწყმინან დრამატული ენერჯია და ლირიკული სიღრმე (გერმანული გაზეთი „საარბრიუკერ ცაიტუნგ“).

სრული ჭეშმარიტება! სოტკილავა არაჩვეულებრივი მუსიკალური ნატურაა, დიდი მომღერალი, დიდი შემოქმედებითი დიაპაზონის ხელოვანი. ვერცხლისწყალივით მოძრავი, დაუდევარი, ელასტიური, ზღვა ენერჯიით სავსე... ტანმორჩილია, მაგრამ ატლეთური, დაკუნთული, სპორტული აღნაგობისა. მის მეტყველ, ცეცხლოვანი გზებით აღსავსე თვალეში სიცოცხლის სიყვარული და ვაჟკაცური ტემპერამენტი გამოსჭვივს. ამ მხერვაში ემ-

ხიცი გიპყრობს და გონებაც, რომანტიკაცა და პოეზიაც, მგზნებარე, ბოზოქარი, უდრეკი სული... გავისხენოთ მისი არზაყანი, ოტელო, კავარადოსი... და რომელიც გნებავთ სცენური სახე, რომ ყოველივე ეს ნათელი გახდება.

სწორედ ამიტომ მის ხელოვნებასთან შეხვედრას ყოველთვის მოუთმენლად ელიან არ მარტო საბჭოთა კავშირში, საზღვარგარეთაც: ესპანეთსა და იტალიაში, ინგლისსა და გერმანიაში, რუმინეთში, უნგრეთში, ჰოლანდიაში, ამერიკაში, კანადაში...

დიდი თეატრის წამყვანი სოლისტი, საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი ზურაბ სოტკილავა არჩეულია აღორძინების პერიოდის ბოლონის აკადემიის უცხოელ საპატიო წევრად. სხვათა შორის, ამ აკადემიის პირველი წევრი იყო გენიალური მოცარტი, მეშვიდე კი ჩვენი თანამემამულეა. ბოლონის მუსიკალური საზოგადოებრიობის ყურადღება იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ბოლონია ცნობილია თავისი ვოკალური სკოლით, რომელიც დაარსდა და ჩამოყალიბდა თავისი პრინციპებით მე-17 საუკუნის მიწურულს დიდი მომღერლისა და პედაგოგის პისტოკის მიერ. შემდეგ ეს ტრადიცია განაგრძო მისმა მოსწავლემ — ბერნაკიმ. ამიტომ ხანდახან ბოლონის სკოლას პისტოკისა და ბერნაკის სკოლასაც უწოდებენ. ამ სკოლის აღზრდილები იყვნენ ისეთი უდიდესი მომღერლები, როგორიცაა ფარინელო, კაფარიელო, სენეზინო და მრავალი სხვა.

— ფართო საგასტროლო გეოგრაფია, წარმატებები მომღერალს არ უსუსტებს პასუხისმგებლობის გრძნობას. პირიქით, უფრო მეტი სიფრთხილით ეკიდება ახალი ნაწარმოების მაყურებლის სამსჯავროზე გამოტანას, — ამბობს ზურაბი. — ყოველი ნაწარმოები, რომელსაც ვასრულებ, ერთნაირად მიყვარს.

დღეს ვერავითარი ლამაზი ხმა, სითბო და მუსიკალობა ვერ შექმნის მომღერალ-მსახიობს, თუ მას არ გააჩნია ინტელექტი, საშემსრულებლო კულტურა. განსაკუთრებული გავლენა ჩემზე, როგორც მსახიობზე, იქონია დიდი თეატრის რეჟისორმა ბორის პოკროვსკიმ. მან ხელახლა ამაღმევიცა ფეხი სცენაზე. დირიჟორთაგან არ

დამავიწყდება იუჯინ ორმანდთან შიხვედრა იტალიაში. სიამოვნებით ვიგონებ დირიჟორ ევგენი სვეტლანოვთან მუშაობას. ქართველ დირიჟორთაგან ჩემი პირველი წარმატებები დაკავშირებულია ჯანსუღ კახიძესთან...

ზურაბი, მართალია, მოსკოვში მოღვაწეობს, მაგრამ ის მუდამ ახლოსაა ეროვნულ ფესვებთან, მშობლიურ საქართველოსთან. მომღერალი ყოველთვის პოულობს დროს თბილისელთათვის და არა მარტო მათთვის. სპექტაკლებს ვარდა (მაყვალა ქასრაშვილთან ერთად) იგი აქტიური მონაწილე და მოთავეა ახალი საინტერესო წამოწყებისა — ქუთაისის მუსიკალური ფესტივალისა.

ზურაბისათვის არც პედაგოგიური საქმიანობაა უცხო. იგი მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის სოლო სიმღერის კათედრის პროფესორია.

— როგორც ყოველ ხელოვანს, სოტკილავას აქტივობის შემოქმედებითი ენერჯია ასაზრდოებს. ეს ენერჯია ჩანს ყველაფერში, რასაც ზურაბ სოტკილავა ასრულებს, — ამბობს მისი კოლეგა და მეგობარი, მისი კონსულტანტი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, პროფესორი ნოდარ ანდლულაძე.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი პროფესორი ზურაბ ანჯაფარიძე კი შემდეგს წერს სოტკილავას შესახებ: — თავდავიწყებით უყვარს თავისი საქმე, მომღერალია სულით, გულით და, მღერის მისი სხეულის ყოველი კუნთი. დაუკვირდით, როგორი ემოციურია სცენაზე და როგორ იხარჯება ბოლომდე.

ჩვენც სავსებით ვუერთდებით გამოჩენილი მომღერლის ამ სიტყვებს. დიდი ხელოვანი ყოველთვის დიდი პიროვნებაც უნდა იყოს, სხვა მხრივ ფასი არ ექნება მის ტალანტს. ვუსურვოთ ბოლომდე შეენარჩუნებინოს ზურაბ სოტკილავას ერთიც და მეორეც. ის ხომ ამაჟამად შემოქმედებითი გავფრთხილების ზენიტშია და კვლავაც არაერთ ბრწყინვალე ფურცელს ჩასწერს ეროვნული და, საერთოდ მთელი საბჭოთა ვოკალური კულტურის ისტორიაში.

ეთერ ლონდარიძე,
მუსიკათმცოდნე.

18707

წაქ. სსრ კ. მარქსის
საბ. საბ. (გვ.)
...



არტურ კონან ლოილი
**ველოსი-
ველისში
ქალი**

მხატვარი თენგიზ სამსონაძე

● 1894-1901 წლები შერლოკ ჰოლმსისათვის მეტად დაძაბული გამოდგა. რვა წლის მანძილზე მისი ჩარევის გარეშე არც ერთი დამამძიმებელი საქმე არ ყოფილა გამოძიებული. კერძო გამოძიებებს ხომ სათვალავი არა ჰქონდა. მათი მეტი ნაწილი განსაკუთრებით დახლართულ და დაუჭერებელ ვითარებაში იყო ჩადენილი. ბევრი მათგანი წარმატებით იქნა გამოძიებული, ზოგიერთ შემთხვევას კი გარდუვალი წარუმატებლობა ხვდა წილად.

რამდენადაც ყველა საქმის დაწვრილებითი ჩანაწერები მაქვს შემონახული, მეძნელდება, რომელი მათგანი გამოვაქვეყნო. ბევრ საქმეში ხომ მეც მიმიძღვოდა გარკვეული წვლილი. ჩვეულებრივ ისეთ საქმეებს ვანიჭებ უპირატესობას, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს არა მარტო უჩვეულო დანაშაულის, არამედ საქმის განხილვის დრამატული მოულოდნელობის თვალსაზრისითაც.

ამიტომ გადავწყვიტე, მომეთხრო ჩარლინგტონელი მარტონელა ველოსიპედისტი ქალის ვაიოლეტ სმიტის საქმის თაობაზე. საინტერესოდ წარმართული გამოძიება მოულოდნელი ტრავადიით დამთავრდა. ამ საქმის გამოძიებამ ჩემს მეგობარს დამსახურებული დიდება მოუტანა. თუმ-

ცა მასში არის რაღაც ისეთი, რის გამოც ეს საქმე უდავოდ დაიკავებს განსაკუთრებულ ადგილს ჩემს მიერ აღწერილ დანაშაულობათა ქრონიკებში. ჩემი ნარკვევებიც ამ ქრონიკებიდანაა ამოღებული.

ჩემს წინ დევს 1895 წლით დათარიღებული ჩანაწერების წიგნი. ვაიოლეტ სმიტი ბეიკერსტრიტზე პირველად შაბათს, 23 აპრილს, ვიხილეთ. მისი ვიზიტი ჰოლმსისათვის ერთობ არასასურველი გამოდგა. საქმე იმაში ვახლავთ, რომ ჰოლმსი იმუამად დაკავებული იყო ერთი საქმოდ ძნელი და გამოუცნობი საქმის გამოძიებით. ეს დაკავშირებულია გამოჩენილი თამბაქოს ფაბრიკანტი-მილიონერის, ჯონ ვანსენტ ხარტენის პიროვნებისთან. უმეტეს შემთხვევაში ჰოლმსს ღრმა და დაძაბული აზროვნებით უყვარდა მუშაობა. მას ალიზიანებდა, როცა საქმიდან დროებით მოწყვეტდნენ ხოლმე.

გულქვა უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომ არ მოესმინა ესოდენ ლამაზი და ტანწერწერა ქალიშვილისათვის. ამაყი გამოძიებების წყალობით იგი დედოფალს წაავადა.

ვაიოლეტ სმიტი ბეიკერსტრიტზე გვიან საღამოს გვესტუმრა. ჰოლმსი ახალგაზრდა ქალს არწმუნებდა, რომ ამყამად ძა-

ლიან დაკავებულია, მაგრამ ქალიშვილს ამის გაგონებაც არ სურდა. მას მტკიცედ გადაეწყვიტა, არ წასულიყო მანამდის, სანამ ჰოლმსი არ მოუხმენდა. საბოლოოდ ჰოლმსი დაჰყვა მის ნებას, დალილომა გაუთლიმა და ლამაზ არსებას დაჯდომა შესთავაზა: სთხოვა, მოეთხრო მის შეშფოთებასთან დაკავშირებული ყველა დეტალი.

— ჩანმრთელობას არ უნდა უჩიოდეს! — დაასკვნა ჰოლმსმა და თავისი გამჭრიახი თვალებით შეათვალიერა ლედი. — ამისთანა თავგამოდებულ ველოსიპედისტს ცუდი ჩანმრთელობა არ ექნება.

ქალმა ფეხებზე დაიხედა. მართლაც ველოსიპედის პედლებზე ხშირი შეხებით ლედის ფეხსაცმელებს ყელი გაცვივოდა.

— დიახ, მე წარამარა მიხდება ველოსიპედით მგზავრობა. ამას კი პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ჩემს მოსვლასთან.

ჰოლმსი მივიდა მასთან და ხელით ხელზე შეეხო (ჩვენი კლინტი ხელთათმანებს არ ატარებდა). კარგად შეათვალიერა. ქალი წაავადა მეცნიერს, რომელმაც ესესაა აღმოაჩინა რომელიმე ცხოველის იშვიათი წარმომადგენელი.

— თქვენ, რა თქმა უნდა, მომიტყვებთ, ასეთია ჩემი პროფესია! — თქვა ჰოლმსმა და ქალს ხელი შეუშვა. — ლამის არ შევ-

კლი? მე მბეჭდავი მეგონეთ, თქვენ კი მუსიკით ყოფილხართ გატაცებული. უოტსონ, ყურადღება მიაქციეთ თითებს. ხედავთ, ბოლოებში თითქოს დაბრტყელებულანო. ეს დამახასიათებელია როგორც მბეჭდავ-მემანქანისა, ასევე პიანინოზე დამკვრელისთვისაც.

ჰოლმსმა მსუბუქი მოძრაობით ლედი სინათლისაკენ მიაბრუნა:

— თქვენ ზეშთაგონებული სახე გაქვთ. მბეჭდავისათვის ასეთი სახე უჩვეულოა. ამიტომ ორი აზრი არ არსებობს: ჩვენი სტუმარი მუსიკოსი უნდა იყოს.

— თქვენ წწორად გამოიცანით, მისტერ ჰოლმს. მე მუსიკის მასწავლებელი ვარ.

— თქვენი სახის ფერის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ქალაქგარეთ ცხოვრობთ.

— არც ამაში შემიცდარხართ, — უპასუხა ქალმა. — მე ფარნემის ახლოს სურემის საგრაფოს საზღვართან ვცხოვრობ.

— შესანიშნავი ადგილებია. ამ მიღამობებთან ჩვენ ბევრი მოგონება გვაკავშირებს. უოტსონ, გახსოვთ არჩიბალდ სტენფორდის ყალბი დოკუმენტები? გახსოვთ, არა? ძალიან კარგი. ახლა კი მისი ვაიოლეტს ვთხოვთ, დაწვრილებით გვიამბოს. თუ რა ამბები შეემთხვა ამ ადგილებში.

ახალგაზრდა ქალმა ერთობ უცნაური შემთხვევა მოგვითხრო:

— აწ განსვენებული მამაჩემი — ჯემს სმიტი, თეატრის ორკესტრის დირიჟორობდა. მამის გარდაცვალების შემდეგ, მე და დედაჩემს ბიძის, რალფ სმიტის გარდა, ახლობელთაგან აღარავინ დავერჩა. ისიც ოცდახუთი წლის წინ წავიდა აფრიკაში და მის შესახებ აღარაფერი გვსმენოდა. მამის გარდაცვალებამ ჩვენ მშრალზე დაგვტოვა. ერთხელ მეზობლებმა გვითხრეს, რომ ჩვენ ვილაც ჯენტლმენები გვეძებდნენ (გახეთ „ტაიმსში“ წაუკითხავთ განცხადება). ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ ავლელდებოდით. იქნებ ვილაცამ შემკვიდრებოდა დაგვიტოვა?!

და დაუყოვნებლივ გავეშურეთ იურისტისაკენ, რომლის გვარიც განცხადებაში გახლდათ მოხსენიებული.

იურისტმა ორი ჯენტლმენი — მისტერ კარრუტერსი და მისტერ ვუდლი წარმოგვიდგინა. ისინი სამხრეთ აფრიკიდან ჩამოსულიყვნენ. მათგან გავიგეთ, რომ საბრალო ბიძაჩემი რამდენიმე თვის წინ სილარობეში გარდაცვლილიყო, იოჰანესბურგში. მომაკვდავს ჯენტლმენებისთვის ეთხოვა, მოვეხახეთ და შეძლებისდაგვარად დავგზმარებოდნენ.

ჩვენ ეს უცნაურად მოგვეჩვენა. ბიძაჩემი სიცოცხლეში დასახალად ვერ გვითხროდა. ჩვენს ოჯახთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა. ვერ გავგეგო, სიკვდილის პირას მყოფი ასე რატომ დაინტერესდა ჩვენით? მისტერ კარრუტერსმა აგვიხსნა, რომ ბიძაჩემს თავისი ძმის სიკვდილის ამბავი მხოლოდ იმ დღეებში გავგო და ძალიან შეწუხებულიყო ჩვენი ბედით.

— ბოლიშ ვიხდი, — თქვა ჰოლმსმა, — როდის შედგა თქვენი საუბარი?

— გასული წლის დეკემბერში, — ესე იგი, ოთხი თვის უკან.

— გთხოვთ, განაგრძოთ.

მისტერ ვუდლის პიროვნებამ ჩემში ერთგვარი ზიზღი გამოიწვია. შეშუპებული სახით, ქერა უღვაშებითა და გადაგულესილი თმით, იგი უხამსი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ სირილი არ მომიწონებდა მასთან ნაცნობობას.

— ვის გულისხმობთ? — ჰკითხა ლიმილით ჰოლმსმა.

ახალგაზრდა ქალი გაწითლდა.

— დიას, მისტერ ჰოლმს, სირილი მორტონი, პროფესიით ინჟინერ-ელექტრიკოსი. ამ წლის ბოლოს ჩვენ ჯვარი უნდა დავიწეროთ. ღმერთმანი, რატომ ვლაპარაკობ მასზე? მე ხომ იმის თქმა მიხდოდა, რომ მისტერ ვუდლიმ ზიზღი მომგვარა. მისტერ კარრუტერსიმ, რომელიც ბევრად უფროსი იყო მისტერ ვუდლიზე, ჩემზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. მას შავი თმა და მშვენიერი ღიმილი ჰქონდა. ამ ხნის მანძილზე ხმა არ ამოუღია. მხოლოდ იმით დაინტერესდა, თუ რა საარსებო სახსრები დაეტერჩა მამის სიკვდილის შემდეგ. როცა გაიგო ჩვენი გაჭირვება, შემომთავაზა, მისი ერთადერთი ათი წლის გოგონასათვის მუსიკა მესწავლებინა. დედას მარტო ვერ დავტოვებდი და ამის გამო უარი ვუთხარი. მაგრამ მან მაშინვე მიპასუხა, რომ ყოველ შაბათ-კვირას მომეცემოდა დედის ნახვის საშუალება. გასამრჯელოც საკმაოდ სოლიდური შემომთავაზა: ასი გინეა წელიწადში. მე დავთანხმდი და საცხოვრებლად ჩალტერს გრენჯში ვადავედი.

ეს ადვილი ფარნემიდან ექვსი მილითაა დაშორებული. მისტერ კარრუტერსი, ქვრივი. მის მეურნეობას მისი დიკსონი, პატისაცემი ხნიერი მწე ქალი განაგებდა. პატარა გოგონა პირდაპირ ანგელოზს ჰგავდა. ყველაფერი თითქოს სასიკეთოდ მეჩვენა.

მისტერ კარრუტერსი ძალიან გულთბილი აღმიბანი იყო. უყვარდა მუსიკის მოსმენა. ყოველ საღამოს სასიამოვნო ვითარებაში ვატარებდით. შაბათობით სახლში მივდიოდით. მაგრამ მისტერ ვუდლის სტუმრობამ ერთგვარი ნალველი შემოიტანა ჩემს ცხოვრებაში. მისი ერთი კვირით სტუმრობა, სამ კვირას უდრიდა. ყველას უხეშად ექცეოდა. ჩემს მიმართ თავიდანვე მტრული დამოკიდებულებით განეწყო. მოსვენებას არ მაძლევდა. ჩემთან საუბარში უწყალოდ სიტყვებსაც არ ერიდებოდა. სიმდიდრით მოქმონდა თავი. მპირდებოდა, ოღონდ ცოლად გავყოლოდი და მთელი ღონისძიების ბრილიანტების მფლობელად გამხდოდა. მე საბოლოოდ გადავწყურე წყალი და პირში მიგახალე, რომ არაფერი მქონდა მასთან საერთო.

ამის გაგონებაზე, ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, მომხვია ხელები და დაიფიცა, რომ სანამ არ ვაკოცებდი, არ გამიშვებდა ხელს. ძალიან ძლიერი გახლდათ. მარტოს გამიჭირდებოდა მისგან თავის გამოხსნა. საბედნიეროდ მისტერ კარრუტერსი შემოვიდა და ძლიერ გამომგლოჯა ხელიდან.

მისტერ ვუდლი ლამის გააყდა. მივარდა მისტერ კარრუტერსს, სახეში გაატყა და ძირს დასცა.

მეორე დღეს მისტერ კარრუტერსმა ბოდიში მომიხადა და აღმითქვა, რომ მომავალში ამის მსგავს რაიმეს არავის აპატიებდა. მართლაც, ამ ინციდენტის შემდეგ, მისტერ ვუდლიმ ფეხი ამოიკვეთა ჩვენი სახლიდან.

ახლა კი მოგიხსრობთ იმაზე, რამაც მაძულა, თქვენთან მოვსულიყავი.

ყოველ შაბათს ველოსიპედით ავდივარ ფარნემის სადგურში. მატარებელი თორმეტ საათსა და თორმეტ წუთზე გადის. გზა ჩალტერს-გრენჯიდან სადგურამდე დაუსახლებელია. განსაკუთრებით ეს იგრძნობა გზის იმ მონაკვეთში, რომელიც

ერთი მხრივ ჩარლინგტონის უდაბურად ადგილებით, ხოლო მეორე მხრივ ჩარლინგტონ-ჰოლის ტყითაა შემოფარებული. ძნელია, წარმოიდგინოთ, ამ ადგილებში ბური ადგილები. და ეს თითქმის ურჩხულებზე გრძელდება. აქ იშვიათად შეხვდებით მოხეტიალე გლეხებს. ათასში ერთხელ თუ გამოჩნდება რომელიღაც საზინდარი. ასეა კრუსტბერ-ჰოლამდე. იქიდან გზა ფართო გზატკეცილს უერთდება.

ორი კვირის წინ ველოსიპედით ამ გზით მივდიოდი. ინსტინქტურად უკან მოვიხედე. დახლოებით ორასი იარდის მოშორებით მეორე ველოსიპედისტი დავინახე. საშუალო ხნის მამაკაცი, მოკლე, შავი წვერი ამშვენებდა. მცირე მანძილი გავიარე და ისევ მოვიხედე უკან.

ველოსიპედისტი აღარ ჩანდა.

ეს ამბავი დამავიწყდა კიდევ.

მისტერ ჰოლმს, წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როცა ორშაბათს უკან დაბრუნებისას იმავე ადგილზე იგივე ველოსიპედისტი შევხვდნენ.

ამნაირი ისტორია შაბათსაც განმეორდა. მომდევნო ორშაბათსაც იმავე მდგომარეობაში აღმოვჩნდი. მამაკაცი ისევ იმ მანძილით იყო ჩემგან დაშორებული. მის მოქმედებაში იგრძნობოდა რაღაც უცნაური და არასასიამოვნო.

ყოველივე ეს მისტერ კარრუტერსს ვუამბე. მან გულთან მიიტანა ეს ამბავი. სასწრაფოდ ცხენი და ეტლი შეუკვეთა. ამრიგად, მე აღარ მომიწევდა ამ უდაბურ ადგილებში მარტო სიარული.

ცხენიან ეტლს ამ კვირისათვის შეგვპირდნენ. რატომღაც დაავიანეს. დღეს დღითაც ისევ ველოსიპედით მომიხდა მგზავრობა.

ჩარლინგტონის უდაბნოში გავლისას უკან მოვიხედე. ღმერთო ჩემო! აგერ არა იგივე ველოსიპედისტი, იმდენივე მანძილით დაშორებული ჩემგან?

მისი სახის გარჩევა ვერ შევძელი. შავი კოსტუმი აცვია. თავზე შავი კეპა ახურავს. იგივე შავი წვერი... რატომღაც არ შემშინებია. ცნობისმოყვარეობამ ძლია: ვინაა, რა უნდა ჩემგან ამ კაცს?

შევანელე სიჩქარე. ისიც ასევე მოიქცა. გაჩერდი, ისიც გაჩერდა. ველოსიპედი გზის მოსახვევში შევაჩანე. მერე უცებ გვაჩერე და ლოდინი დავუწყე. ვიფიქრე, იქნებ აქ მაინც შემოვიდეს-მეთქი.

ამაოდ, არც გამოჩენილა!

ხელახლა დავაქევი ველოსიპედზე და უკან წავედი. აი მოსახვევიც. ის კაცი აღარსადანა. გზას განშტოება არა აქვს. ვერ გავიგე, საით წავიდა. ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ?

ჰოლმსმა სიამოვნებისაგან ხელები ერთიმეორეზე შეიფშვინა და თავისებურად გაიცინა.

— ნამდვილად უცნაური შემთხვევაა. გთხოვთ, ვახსენოთ: რამდენი წუთი შეყოვნდით მოსახვევში?

— უკან გამობრუნებამდე, არა?

— დიას, დიას!

— დაახლოებით სამი-ოთხი წუთი.

— ამ დროის მონაკვეთში იგი ვერ გაუჩინარდებოდა. და რაკი გზას განშტოება არა აქვს, ვერსადაც ვერ შეუხვევდა.

— სასებით მართალია.

— ესე იგი, შეტრიალდა ბილიკის მარცხენა ან მარჯვენა მხარეს?

— უდაბნო რომ არა, მე მას უსათუოდ დავინახავდი.

თარგმან ოზარ ენიტაშვილია.
(დასასრული მორიგ ნომერი)

ილიდან უთავებოლო, აზელი-
ლი, ბუნდოვანი სიზმარი გა-
მომყვია. ცხადად მხოლოდ ხმე-
ბი ჩამრჩენოდა ყურში. თან-
დათან გამოფხიზლებულს, გა-
მასხენდა, რომ ეს ხმები ნამდვილად მქო-
ნდა მოსმენილი გუშინ.

გუშინ კი აი რა იყო:
შესვენებისას მანლობელ პარკში გა-
ველი.

პარკში უკვე გვიანი შემოდგომის სუს-
ხი იდგა. ხეივნები თითქმის დაცარიელე-
ბულიყო. კინოთეატრის წინ, აუზთან, რა-
მდენიმე პენსიონერი შევნიშნე. რამდენ-
ჯერმე ავუარ-ჩავუარე. ერთ-ერთი თით-
ქმის მეცნო კიდევ, მაგრამ სალამ-ქალა-
მისაგან თავი შევიკავე. მგონი ოპერაში
მღეროდა ოდესღაც. რომ გამოვცნაურე-
ბოდი, რალაც მოგონებები მაინც უნდა
მქონოდა. ამ პროფესიის ხალხი ხომ ძი-
რითადად მოგონებებით სულდგმულობს.
მე კი ვერც ერთი მისი ნამღერო პარტია
ვერ გავიხსენე, თუმცა უკვე ეჭვი აღარ
მეპარებოდა, რომ სწორედ ოპერის თეატ-
რის სცენაზე მენახა ადრე.

ცოტა არ იყოს, დავილაღე და თვალით
თავისუფალ სკამს დაუწყვე ძებნა, მაგრამ
სკამები ხელოსნებს ხეივნებში გადაეყი-
რავებინათ, ალბათ შესაკეთებლად. რას
ვიზამდი, იმ ორი ძელსკამიდან, პენსიონე-
რებს რომ დაეკავებინათ, ერთ-ერთს, უფ-
რო თავისუფალს, მივაშურე და ბოდიშის
მოხდით, კიდევ ჩამოვკეჭი.

მალე ერთი ახოვანი კაციც შემოგვემა-
ტა. სულ გათეთრებულ, თავზე ჯილად შე-
მომდგარ თმაზე თუ შეატყობდით ასაკს,
თორემ სხვა მხრივ ძალ-ღონით სავსედ გა-
მოიყურებოდა. მალალი და ძლიერი მკე-
რდი წინ ჰქონდა წამოზიდული. დაუღაჟა,
უნაოკო სახეს უხდებოდა გამოკვეთილი
კეხიანი ცხვირი და გადაგრაგნილი წარბე-
ნის სიღრმიდან ცოცხლად გამომზირალი
თვალეები.

ახალმოსული ნამდვილად მეცნო. ური-
გო ხმის პატრონი არ ყოფილა, რამდენიმე
კარგი პარტიაც გამასხენდა მისი შესრუ-
ლებით... მოგონებებს რომ ჩავუღრმავდი,
თითქმის თანასოფელი აღმოჩნდა. რო-
გორ არა, ნამდვილად ბავშვობაშიც მყავ-
და ნანახი, აბაშის რკინიგზის სადგურზე.
მეზობელ სოფელში, საიდანაც ეს მომღე-
რალი გახლდათ, უპირატესად მისი გვა-
რის ხალხი ცხოვრობს... მაშინ, ახალგაზ-
რდობაში, კიდევ უფრო საამო სანახავი
იყო — ხარ-ირემივით წამოზიდული და
გალაღებული. თბილისის მატარებელზე
ყოველთვის ავქსენტი მელის კრიალა
ეტლით მოგრაილდებოდა ხოლმე, რამდენ-
იმე ახლობლის თანხლებით. იმათაც ეტ-
ყობოდათ, თანასოფელითა და სახლიკა-
ცით თავი რომ მოსწონდათ... ისე ჩანდა,
ძველი კოლეგების პარტიისცემაც ბოლომ-
დე შერჩენოდა: მიიწ-მოიწიეს და შუა-
ში ჩაისვენეს. შალვას (სახელიც რომ გამა-
ხსენდა!) დიდებულმა გარეგნობამ რალაც-
ნაირი საზეიმო იერი და თვითდაჯერებუ-
ლობა გადასდო ყველას.

ისხდნენ და მასლაათობდნენ... სულ
ოპერაზე, დირიჟორებსა და მომღერლე-
ბზე.

ერთმა ტანდაბალმა კაცმა, აქამდე მხო-
ლოდ სხვებს რომ უგდებდა ყურს, პირვე-
ლად ამოიღო ხმა:

— ძალიან კი აქებთ ახლა მთავარ დირი-
ჟორს, მაგრამ არც ასეა საქმე... ვატყობ,
„სოვეტსკაია კულტურას“ უკანასკნელი
ნომერი არ წავიკითხავთ... მაგისი დირი-



კვანი მოუღარდასი

ილია რურუა.

ჟრობისაგან ქვა ქვაზე არ დაუტოვებია
მოსკოველ მუსიკათმცოდნეს.

ნათქვამმა გამოგნებელი შთაბეჭდილე-
ბა მოახდინა, ერთბაშად სრული სიჩუმე
ჩამოწვა. ტანდაბალს ამან აშკარა კმაყო-
ფილება მოჰგვარა, რადგან სახეზე დამცი-
ნავი ღიმილი მოეფინა. შალვამ არწივის
წარბები აზიდა, გვერდიდან შეეჭვებუ-
ლად გახედა და თავშეკავებული საყვედუ-
რით მიმართა:

— არ მჯერა მაგ, ჩემო ბიკენტი... რა-
ღაცას აჭარბებ.

— ა, ბატონო, აგერ ის გაზეთი და აგერ
მე.

— რა ვუყოთ მერე, — უცებ დაურბი-
ლდა ხმა შალვას. პროფესიული კრიტიკა
არავიზე არ უნდა გავგვიკვირდეს. თანაც
ჯერ ახალგაზრდაა, შემოქმედებითად გაი-
ზრდება, გამოცდილებას შეიძენს.

— მაგის ხნის რომ იყო შენია მიქელა-
ძე მთელ მუსიკალურ სამყაროს აზანზა-
რებდა.

— ყველა გენიოსი ხომ არ იქნება, ჩემო
ბიკენტი, — ჩაერია კამათში მის გვერდით
მჯდომი ტანმაღალი კაცი.

— არც ის უნდა დავგავიწყდეს, იმ დროს
რა მომღერლები გყავდა! — დაუფარავი
სიამაყით აუღერდა შალვას ხმა.

— მასალა ჰქონდა, ბატონო, ხმის მასა-
ლა, თორემ მართო დირიჟორის ჯოხის
ქნევით რა გამოვიდოდა! — კვლავ თქვა
ტანმაღალმა.

— ვითომ ახლა ნაკლები მომღერლები
გყავდა? — არ თმობდა ბიკენტი. — ჯერ
მართო პაატა რად ღირს. მაგისთანა სახე-

ლი ჯერ არცერთ ქართველ მომღერალს
არ ღირსებია. ლა-სკალაში უფრო ხშირად
უწევს გამოსვლა, ვიდრე ჩვენთან.

— ლა-სკალაში, შე კაცო, ვანოსაც ქე
უმღერია და სხვასაც.

— ტყუილია, მაგ, კორნელი. არ უმღე-
რია ვანოს იქ, — ხელები ვაასავსავა ბიკე-
ნტიმ. — ქართველებმა თუ არ გავბუქეთ,
ხომ არ შეგვიძლია.

— მართალი თუ გინდა, ჩემო ბიკენტი,
კიდევ გაბუქვა ჯობია სულ სხვის ქირღვას,
— მიუგო ერთბაშად გაწიწმატებულმა კო-
რნელიმ. — ერთი ვიცოდე, შენ ვინ მყავ-
ხარ ასეთი... ბიჭოს არ გააჭირა საქმე?!.


— გითხრა, რატომ ხარ დაბოღმილი
ახალ დირიჟორზე? — კიდევ ერთხელ გა-
დახედა შალვამ ბიკენტის. — რატომ და
იმიტომ, რომ თეატრიდან დაგითხოვა. მა-
რტო შენ ხომ არა ხარ მაგ დღეში. ცოტა
თვითკრიტიკულადაც ქე უნდა შეგხედოთ
ჩვენს თავს.

— სანამდე, ბატონო! — ჩაურთო კო-
რნელიმ. — არ უნდა თეატრს ბალასტი.

— ბალასტი სხვაგან მოიკითხე! — ფეხ-
ზე წამოიჭრა აღელვებული ბიკენტი.

არავინ იცის, გაცხარებული საუბარი
როგორ წარიმართებოდა, ბედად, კიდევ
ერთი ძველი მომღერალი რომ არ გამოჩე-
ნილიყო. იგი ტელევიზიიდან მასსოვდა.
სალამითაც ვხვდებოდით ერთმანეთს, მაგ-
რამ ახლა, რატომღაც თვალი ამარიდა.

„ალბათ იქიდანაც გამოუშვეს“, — გა-
ვიფიქრე გულში და სულაც არა ნიშნის-
მოგებით. უბრალოდ, ძალიან სასიამოვნო
პიროვნება იყო, რბილი ხასიათისა, რო-



გორც ნამდვილ მუსიკოსს შეშვენის.

— დუდე, მოდი, ჩამოჯექი ცოტა ხნით, — შესთავაზა შალვამ ახალმოსულს, მაგრამ მან უარის ნიშნად თავი გადააქნია. მხოლოდ იკითხა:

— ახალი რა გესმით, ბიჭებო?

არავინ გაეპასუხა. ვითომ არაფერიო, მაშინვე დაუმატა:

— ხალხნო, თქვენ ვერიჩკა გახსოვთ?

— ვერიჩკა?!

— ვინ ვერიჩკა?

— არ მაგონდება რაღაც! — გაისმა ყოველი მხრიდან.

— ერთი ხანობა ფალიაშვილის სახლ-მუზეუმში მუშაობდა.

— ჰო, ჰო როგორ არა! — გაიხსენა ბიკენტიმ და ისევ დაჯდა.

— ახალ საცხოვრებელ მასივში დიდებული კულტურის სასახლე აუფიქს, — ინტერესის გამაღვიძებელი ხმით დაიწყო დუდემ. — სწორედ იმ სასახლის დირექტორად გადაუყვანიათ ახლახან. საქმისთვის მაგრად მოუყიდია ხელი.

ყველანი რაღაც ახალი ამბის მოლოდინით მიატყერდნენ დუდეს.

— მერე, მერე?

— სწორედ იმან დამირეკა ამ დღით. ბატონო დუდე, პარასკევს ჩვენი სტუმარი იქნებით, უნდა დაგვამშვენოთ.

— შეხედე შენ!

— ისე, რომ იცოდეთ, მეცა ვარ მიწვეული, — გამოტყდა კორნელი.

— მერედა, რას გვიმალავდი, შე კაი კაციო! — გადახედა წარბებშეკრულმა ბიკენტიმ. — ბალასტად და გადასაყრელად რომ გამოგვაცხადე, იმას არ ჯობდა ეგ გეტქვა?! გვეწყინებოდა თუ?!

— წყენა რა შუაშია!..

ხეივანის თავში კიდევ ორმა შემობიჯა.

— ხედავთ, საშა და სარქისაც მოვიდნენ.

საშაც ტელევიზიიდან მახსოვდა, ამიტომ სარქისას გამოცნობა აღარ გამჭირვებია. მგონი გუნდში მღეროდა, ოპერაში, ცხადია.

საშა ჩემს მოულოდნელ დანახვაზე რატომღაც შეტოკდა და სანახევროდ ზურგი შემომიბრუნა. მისი საქციელით გოცებულს, გულში ეპვიცი კი გამიჩნდა — ამ ხალხს მართლა ხომ არაფერი ვაწყენინებთქი, მაგრამ მაშინვე გამეღიმა: „ალბათ, ესეც გამოუშვებს. არ გაემტყუნება, კაცია, არ უნდა თავისი ამბავი ყველას გააგებინოს“...

— ხალხნო, თუ იცით, რაზე მოვედი? — დაიწყო საშამ. — სახლში დაურეგია ვიღაც ქალს. ცოლმა სახელი ვეღარ გაიხსენა. ჰოდა, უთქვამს — საშას უთხარით, პარასკევს მოწვეულია ჩვენს კულტურის სასახლეში რამდენიმე ძველ სოლისტიან ერთად. შალვასაც აუცილებლად გადასცეს, რადგან ვერაფრით ვერ დავუკავშირდითო.

— მერედა, ასე როგორ შეიძლება, ბატონო, — აშკარად განაწყენებული ხმით ჩაილაპარაკა შალვამ. — მიწვევა მიწვევას უნდა ჰგავდეს. სხვა თუ არაფერი, ხომ უნდა ვიცოდეთ, რა ხასიათის კონცერტია, ვის წინაშე ვმღერით, რას ვმღერით. კონცერტმეისტერი ვინ გვეყოლება. მაგათ თვითმოქმედების ხალხი ხომ არ ვგონივართ ჩვენ... პროფესიონალები ვართ.

სწორედ, რომ მიკვირს ვერიჩკასაგან.

— სწორი ხარ!

— აბა არა?!

— ახლა ერთი კარგი ამბავიც უნდა გახაროთ, ოღონდ ჭერ ნამეტანს ნუ გავახმაურებთ. — დუდემ სკამების შუა გადმოინაცვლა და მღელვარებამოკიდებული, განდობილი ხმით გააცხადა თავისი სათქმელი:

— ვერიჩკამ მითხრა, ოპერიდან პენსიაში გასულთ ჩვენს სასახლეს უთმობენ, ოპერის სახალხო თეატრი უნდა ჩამოვყალიბოთ და მთელმა ამ საქმემ ჩვენს ზურგზე უნდა გადაიაროსო.

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს!

— არ დაიჯეროთ!

— ხალხი ნამდვილ ოპერაში არ დაგიდის და იქ მოგვყავს?!

— მოგვივა, რომ იცოდეთ თქვენ! — და-

რწმუნებული ხმით წარმოთქვა შალვამ. — სწორედ ის ხალხი, ჩვენს მრასამენად რომ დავვიდიოდა.

— ისე, მართალია, ხომ იცით, რომ... — არ უნდა, ბატონო, ხალხს ეგ შენი მოღერნი და ექსპერიმენტი, ძალაა?! მოენატრა კლასიკა, მელოდიური მუსიკა...

შევატყვე, ძველმა მომღერლებმა რომ შესტოპეს. პროფესიული თავმოყვარეობისა და ვატაციების დაუმცხრალ ჟინს აყოლილნი, ილუზიებსა და ფანტაზიას მისცემოდნენ. არადა იყო ადამიანურად გასაგები და გულის ამაჩუყებელი მათს წადილში — ბოლომდე დახარჯულიყვენს საყვარელი საქმის სამსახურში... გულის სიღრმეში, ალბათ, გრძობდნენ კიდევ, ფუჭ ოცნებებს რომ ეძლეოდნენ, მაგრამ მაინც რომანტიკოსებად დარჩენილიყვენენ...

ყოველივე ამის გაფიქრებამ გული საამო ტკივილით შემიკუმშა.

ისე ავდექი და წამოვედი, მგონი, არც შეუნიშნავთ.

იმ დღის ამბავი, როგორც ჩანს, ისე ღრმად ჩამებუჭდა არსებაში, დამით მოსვენებული ძილი დამიფრთხო, რაღაც ფანტასმაგორულ სიზმრადაც კი შექცა.

ჰო, გამახსენდა!

სიზმარში ძველ მომღერლებს მეხანძრის უხეში უნიფორმები ეცვათ, თავზე კრიალა მუხარადები ეხურათ. გრძელ თოკს ჩაფრენილნი, დამშრალი აუზის სიღრმიდან რაღაც დაუჩაგულ რკინის მძიმე ნაწილებს ექაჩებოდნენ.

პარკში მართლაც არის ერთი ძველი აუზი, რომლის შუაგულში დგას ულახათო შადრევანი ფრთებმომსხვრეული ცემენტის მტრედებით... ახლა ხარაჩობეშია. ალბათ ცვლიან.

სწორედ ამ დამშრალ შადრევანთან გავხდი უნებური მოწმე მუსიკოსების საუბრისა...

ასე მგონია, სიზმრის დაბადების კანონზომიერებასაც მივაგენი.

ადგილის დედა გვეძახის

ბი საყავრე, ზმანა, საყორნე, შარაბეთი, გაწვნარა. დღეს ისინი აღარ არსებობენ. მანგლისის ხევის მიდამოებში გვაქვს ნასოფლარები კერძო, აზიცი, ცხენიკალა, არმანეთი, კოზმანაშენი, ახოთი. თეთრი წყაროს რაიონის ტერიტორიაზეა ნასოფლარები ჩრდილისუბანი, კობტა, წრისი, თაკვი, ხეკორდი, ფიჩხისი, მოქრისი, ხორბუკი, ახალშენი, ზა, ერწო, ოძისი, ხორხები, ქუჯაეთი, მთაწმინდა, ფოცხვერიანი, რაფაქეთი, კამარეთი, გვიანა. თუნდაც ერთ-ერთი ამ ნასოფლართაგანის სახელი რომ დაერქვას ამ სოფლებს, გამართლებული იქნება.

გასული საუკუნის ოციანი წლებიდან გარისის ნასოფლარზე მეფის რუსეთმა ეგერთა პოლკი ჩააყენა. გამოიყვანეს ორკილომეტრიანი წყალსადენი, რომელიც სათავეს კირქვიან ქანებში იღებდა; წვიმის დროს წყალი რძისფერი ხდებოდა. წყაროს და შემდეგ აქ გაჩენილ დასახლებასაც თეთრი წყარო უწოდეს.

„ქართლის ცხოვრებაში“ სოფლის სახელწოდებად წერია გარისი, კათალიკოს

იოანე დიასამიძის 1699 წლის 26 მაისის სიგელ-გუჯარში კი — გორისი. სიგელში ჩამოთვლილი ყველა სოფელი დღესაც არსებობს და ყველა მათგანი სწორი ფორმით არის მოხსენიებული. ამიტომ ეპყვარეშეა, რომ გორისიც სოფლის სწორი სახელწოდება უნდა იყოს. დადგენილია ისიც, რომ აქ კულტურულ დასახლებას 2600 წლის ისტორია აქვს. სოფელი ბორცვებზე მდებარეობდა. ცენტრალურ გორაზე (საკონსერვო ქარხანასა და სტადიონს შორის) აღმოჩნდა ჩვენ წელთაღრიცხვამდე VI-IV საუკუნეების სამარხები და ვალავნის ნაშთი. მოხუცთა ვადმოცემით კი ამ ბორცვზე იდგა ქვაჯვარი — მეგალითური საუკუნო ძეგლი და ქრისტიანობის დროს აგებული ტაძარი; როგორც ნიკო ბერძენიშვილი ბრძანებდა, უძველეს წარსულში ხალხი გორებად ცხოვრობდა. ეს გორაც საკულტო და თავდაცვითი მნიშვნელობის ადგილი ყოფილა. სახელწოდებაც სოფლისა ამ გორიდან არის წარმომდგარი — გორისი.

სამწუხაროდ, ქვაჯვარი და ტაძარი ოც-

დაათიან წლებში განადგურდა. სულ ახლახან კი გზის გაყვანის მიზნით ეს გორაც დაუზიანებიათ — საკმაოდ დიდი ნაწილი ჩამოუტყრიათ. ალბათ ახლა მაინც უნდა მოვევოთ გონს და ასეთ ადგილებს მეტი სიფრთხილით მოვექცეთ, ვეცადოთ, ისტორიული გარემო ნაკლებად დავამახინჯოთ.

ვფიქრობთ, დროა ხელოვნური და ქართული ენისათვის მძიმე სახმარი თეთრი წყაროს ნაცვლად ქალაქის ისტორიული სახელწოდება გორისი დაუბრუნოთ, ბორცვზე კი ქვასვეტი აღვმართოთ გორისის ასაკის, აგრეთვე გორისის სახელოვანი ომისა და აქ დაცემული მამულიშვილის ლუარსაბ დიდის ღვაწლისა და დაღვრილი სისხლის გასახსენებლად.

დროა, ჩვენს გუშინდელ დღეს გადავცალოთ ის მტკერი, რაც წარსულში გაუგებრობისა თუ ძალმომრეობის ნიადაგზე დაედო.

გურამ მაისურაძე,
იაკობ ახუაზვილი.

პანორამა

დიდი

ადამიანების

ღიმილი

ოცი ფრანკი მოგება

სენის სანაპიროზე სეირნობისას, ბალზაკმა ბუკინისტის თაროზე ვოლტერის „ორლეანელი ქალწული“ შენიშნა და მისი ყიდვა დააპირა:

- რა ღირს ეს წიგნი?
- ასი ფრანკი, ბატონო!
- ასი ფრანკი?.. ძალზე ძვირია ასეთი უმნიშვნელო წიგნი-სათვის.
- რას ამბობთ. ეს იშვიათი პიესაა, თანაც ერთადერთი ეგზემპლარი, ხანძრისგან გადარჩენილი. ეკლესიამ აკრძალა და მისი განადგურება ბრძანა.
- და, თქვენ, არა გრცხვენიათ, ეკლესიისათვის მიუღებელ წიგნს რომ ჰყიდით ას ფრანკად? მე თქვენ კარგი კათოლიკე მგონიხართ.

- ბუკინისტი დაიბნა:
- რადგან თქვენ ასე ძალიან გსურთ შეიძინოთ, სამოც ფრანკად დაგიტოვებთ.
- ორმოცდაათ ფრანკს მოგცემთ. მეტი არ ღირს.
- ვწუხვარ, მაგრამ არ შემიძლია.
- კარგი, ახლავე ვნახავ თქვენი კანტორის უფროსს. ის ჩემი მეგობარია და ანგარიშს გამიწევს.
- ბალზაკი, ილიაში წიგნამოჩრილი, საპირისპირო მხარეს მდებარე ანტიკვარული ნივთების მაღაზიაში შევიდა.
- გამარჯობათ, ბატონო დამბრონი! ვოლტერის „შედევრი „ორლეანელი ქალწული“ ხომ არ გნებავთ. იშვიათი პიესა. ერთადერთი ეგზემპლარი... ფული მჭირდება სასწრაფოდ, თორემ არ შეველევოდი.
- ანტიკვარმა წიგნი შეათვალა და ბალზაკს უთხრა:
- სამოც ფრანკად შეეღვივით?
- რას ამბობთ, სამოცი ფრანკი ასეთ წიგნში? თქვენ ხუმრობთ, ბატონო დამბრონი!
- კარგი, კარგი, ოთხმოც ფრანკს გაძლევთ.
- ბალზაკმა გამოართვა ოთხმოცი ფრანკი და ბუკინისტთან დაბრუნდა.
- ეს-ეს არის ველაპარაჟე თქვენს... აი იმას... უფროსს! ისიც ამდენს ითხოვს. რა გაეწყობა, ვყიდულობ „ქალწულს“. ინებეთ თქვენი სამოცი ფრანკი.
- და ძალზე კმაყოფილი ბალზაკი იქაურობას გაეცალა.

სიკვდილის შიში

- ცნობილი მხატვარი-გრაფიკოსი დენონი ნაპოლეონს ეგვიპტეში ახლდა — ისტორიული ქეგლები უნდა დაეხატა. მისმა სიმაძაქემ ყველა განაცვიფრა: ბრძოლის ველზე იგი ისე მშვიდად ხატავდა, თითქოს პაროზში ყოფილიყოს თავის სახელოსნოში.
- არმამ ბრძანება მიიღო, დაუყოვნებლივ ხომალდებით უკან გამობრუნებულიყვნენ: ჩასხდომისას დენონი არ ჩანდა. მეგობრებმა ის ნილოსის პირას იპოვეს: ქვიშაში ჩამჯდარიყო და რომელიღაც პირამიდას ხატავდა.
- იჩქარეთ, დენონ, მივდივართ!
- კიდევ ერთი წუთით, ვთხოვთ.
- ღროს ნუ ვკარგავთ. იცოდეთ, სიკვდილს ეთამაშებით...
- მართალი ბრძანებაა. სწორედ სიკვდილის შიშით ვჩქარობ, როგორმე მალე დავასრულო ეს ნახატი, თორემ თუ მომკლეს, ხომ სამუდამოდ დაუშთავრებელი დამრჩება?!

ფრანგულიდან თარგმანა იონა ბაღაშიძემ.

მინიატურები

წინდასახეული

პაპა აღრენილი იყო. ქალამნებს თასმები ამოუკრა და შოთი ილიაში ამოიხარა.

— უნდა წავიდე, მატარებელს თავი დავუდო, — ჩაიბურტყუნა.

ბებიამ ჩაიციხა: — შე დალოცვილო, ეგ პური სადღა მივაქვს?..

— იქნებ მატარებელმა დაიგვიანოს, მშიერი ხომ არ მოგვკვდები? — მიუგო ბერიკაცმა და გზას გაუდგა.

ქუნწი

სიცოცხლეში ლუკმა არავისთან გაეტეხა, ჭიქაც არავისთან აეწია. სიკვდილის წინ კი პური და ღვინის თასი ამოაკვეთინა საფლავის ქვაზე.

ხალხმა წაშლა რომ მოინდომა, მამაზეციერმა ბრძანა:

— შეუწიეთ, რამეთუ ქვეყანას უანდერძა ის, რაიც თავისთვის ალიკვეთა.

განიც სერიანიანი

თვალმხრე

გაუფრთხილდნენ თქვენს უცებ არ დაბრმავდეს, რამეთუ ღვთით მომადლებული ქვეყნის, საყვარელ ადამიანთა ხილვით რომ ვეღარ დატკებები, ამ ცასა და მიწას მოწყვეტილ მზერას შენში ჩაიბრუნებ.

მერე რას ნახავ იქ?!

გუგამარტება

უბედურია ის, ვინც არავის უყვარს. უბედურია ისიც, ვინც ბევრს უყვარს. ბევრად უბედურია კია ის, ვისაც არავინ უყვარს.

გულო ჩემო, ვით იტევ ესოდენ ღიდ გრძობას წიალსა შენსა შიგან?!

ამგორი

აირჩიე, ვინც გინდა. შეიყვარე, ვინც გულით გენებოს. მაგრამ სხვას რომ ეამბორები, გახსოვდეს, მაგრამ ამბორში სხვისი ამბორიცაა.

სომეხრიდან თარგმანა ბაშიყონ თაქორიანმა.

გაბატა გიფოკი

საიდუმლო

ლონდონის მაღალი საზოგადოების მოდების კანონმდებელმა, ყველაზე ავანგარდული ატელიეს მფლობელმა შოკეტა ბერდენმა თავის ულტრამოდერნულ სალონში მიგვიღო.

— მომავალი წლისათვის, — განგვიცხადა მან, — ახალი სტილი შემომაქვს — ხის ელასტიკა. ოთხშაბათს ჩემი ახალი კაბების, კოსტიუმებისა და პალტოების კოლექციით ნიუ-იორკში მივფრინავ. ყურადღება მიაქციეთ ჩემს ჩაცმულობას.

მას ეცვა ელასტიური ფანერის კარგად მომდგარი ხალათი — კაბა და არყის ხის ქერქის წინდები, რომლებიც ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ტკაცუნობდნენ. ფეხზე ემოსა ნატურალური ფიჭვის ელვანტური კალაპოტები. ხელში ასევე ფიჭვის ჩანთა ეკავა. თანაც ძლიერ უხდებოდა ხის ბურბუშელის ფრიალა პარიკი.

— ეს მე პირველმა მოვიგონე, — თქვა მან. — ახლა ყველა ქალი ჩაიცვამს ხიჭვითა და ნუჭრით სავსე შესანიშნავი ბუნებრივი ხის ტანსაცმის.

შოკეტამ სიგარეტს მოუკიდა, ალი დაუყოვნებლივ მოედო მისი პარიკის ბურბუშელის კულულებს. მან დაუდევრად გააუვნებელყო გაჩენილი ხანძრის ბუდე და განაგრძო:

— ვფიქრობ, გასაფხულისათვის მოუამხადო კოლექცია სახელწოდებით „ხმა და შუქი“. ესე იგი, ტანსაცმელი, რომელშიც ჩამონტაჟდება ელექტრონათურები და ხმის ჩასაწერი ლენტები. ვინც ამ კაბას ჩაიცვამს, ერთიანად იციმიციმებსა და იკიაფებს. ხმისა და შუქის გამორთვა შეუძლებელი იქნება. ჩემი ელექტრომონტორები და ხმის ინჟინრები ახლა ამაზე მუშაობენ.

შოკეტა გატაცებით განაგრძობდა თავისი შემოქმედებითი ჩანაფიქრის გაზიარებას:

— ამას გარდა, მინდა გავაოცო სამყარო რაღაც სრულიად ახლითა და გადასარევით.

გაპრიალებული ფანერის ფრჩხილებით შემკობილი თითები ნერვიულად აკაკუნა მაგიდაზე და აღეულებით დაიხურჩულა:

— ვიმედოვნებ, ჩემს საიდუმლოებსა შეინახავთ და გამოგიტყდებით. ვოცნებობ, შევექმნა ისეთი რამე, რაც ჯერ არავის ახრადაც არ მოსვლია: ნამდვილი რბილი ქსოვილის ტანსაცმელი, ტყავის ფეხსაცმელი და ჩანთაც ისეთივე ტყავისა... მაგრამ, იცით, რაშია საქმე! შეშინია რომ ეს შეტისმეტად ორიგინალური და გაბედული ნაბიჯი იქნება... ისე ვლელავ...

შოკეტამ მღვლვარებისაგან ცრემლებიც კი გადმოყარა. მერე თვლები და ნამდვილი ნაძვის წიწვიანი ხელოვნური წამწამები პერლორის კონტა ცხვირსახოცით შეიმშრალა.

თარგმანა შოთა ამირანაშვილმა.

მეგობრები

სუმრობენ

შვიდი

იასი მიმართავს მამას:

— მამიკო, ლომის გეშინია?

— არა!

— ვეფხვისა?

— არც ვეფხვისა!

— ლომისა და ვეფხვისა ერთად?

— არა, ვეთაყვა, არა!

— უშუალოდ მამის გეშინია?

— არა!

იასი კარგა ხანს ჩაფიქრდა და მე-

რე ჰკითხა მამას:

— შენ მხოლოდ დედის გეშინია, არა?

ჩემი მეგობარი

— როგორ მოგწონთ თქვენი ახალი მეგობარი?

— ოჰ, აუტანელია!

— რატომ, ძალიან მოქაჩანია?

— პირიქით. ყველაფერს ისე ჩუმად „აწყობს“, რომ ვერაფერი გავუგე.

მანის შეჭამენ...

მელა საქათმეში შეიპარა და ორი ქათამი შეჭამა. დიასახლისმა გადაწყვიტა, ეს შემთხვევა აღმზრდელთა მიზნით გამოეყენებინა.

— ხედავ, — უთხრა მან თავის პატარა გოგონას: — ქათამები ცუდად იქცეოდნენ და იმიტომ შეჭამა მელამ!

— კი მაგრამ, კარგად რომ მოქცეულიყვნენ, მაშინ სომ ჩვენ შეჭამდით? — მოუგო გოგონამ.

მკასრი სანჯალი

სასამართლოზე ირჩევა ცოლ-ქმრის განქორწინების საქმე.

მოსამართლემ მიმართა ქმარს:

— თქვენი ცოლი თანახმაა, შევირიდეთ. თქვენც თანახმა ხართ?

— არა, — უპასუხა ქმარმა. ასეთი სასჯელი ჩემთვის ძალზე მკაცრია.

ყონალ, დედიკო!

— ხედავ, იას, დღეს ერთჯერაც არ დამიყვირია შენთვის!

— ყონალ, დედიკო, ყოველთვის ასე კარგად მოიქეცი!

პოლონურიდან თარგმანა ელვარა სარატინოვილა.



თინათინ ხვალაძე
ეროვნული
ბიბლიოთეკა
მარილიანი კაცი

ოკარის ბილეთი

— დედიკო, ოპერის ბილეთი რომ შემაძენინა მასწავლებელმა, რატომ არ წამიყვანე?

— არ მეცალა და იმიტომ!

— აბა, რატომ გადავიხადეთ ბილეთში ფული?

— ზრდილობისათვის...

— ესე იგი, ბილეთს ვინც იყიდის და თეატრში არ წავა, ზრდილობიანია?

მერა რა მოხდა?

აბიტურიენტი აღშფოთებულად მიექრა ლექტორს:

— მეტუთედ რომ მოვემზადე თქვენთან, ისევე ჩავიჭერი. ახლა რაღა მეშველება?!

— დამშვიდდი, გენაცვალე, მერე რა მოხდა? შეექცესე მოგამზადებ!

ჩვენი თავმჯდომარე მარილიანი კაცია.

— შენ საიდან იცი?

— სულ იბახის, „მარილები მაქვსო“.

მე მოგახმარები

ტატა: — მაგვიანდება, ჩასაცმელი ვარ და ჩაი დასალევი არ მინდა დამჩეს.

ტატო: — მე მოგახმარები. შენ ჩაიცვი, მე კი სასწრაფოდ დავლევ ჩაის.

საინტერესო

მასპირინგები

კატა: — ბატონო ლომო, მიშველეთ, თავგები შევმას მიპირებენ.

ლომი: — ოჰო, ვნახოთ... საინტერესო ექსპერიმენტი!

სად, როდის, როგორ...

● **შვეიცარიაში** იანვრის პირველ განთიადზე, მთელ ქვეყანაში სილამაზით გამორჩეულ ქალიშვილს თავზე ბრტყვილა გვირგვინს დაადგამენ. გვირგვინზე სანთლები ანთია.

აი ეს სათნო, პირმშვენიერი ქალიშვილი — სილამაზის დედოფალი, მეთაურობს საახალწლო საზეიმო კოლონას.

● **შოტლანდიელი** ოჯახის კარს ფართოდ გამოადებს ხოლმე და სტუმარს ფეხზე მდგომი მხიარულად ესალმება, თანაც საპატიო ადგილს შესთავაზებს. ერთ ჰიქა სურნელოვან ღვინოსაც მიართმევს.

დიდი და პატარა მთელი დღე ოჯახშია. როგორც კი ღამის თორმეტის ნახევარი გახდება, საზეიმოდ მორთული ქუჩები და მოედნები ხალხით იჭედება. ზუსტად თორმეტ საათზე მოდღესასწაულენი თავიანთი საყვარელი პოეტის რობერტ ბერნის სიტყვებზე დაწერილ ჰიმნს მღერობან. ამ დიდებული ჰიმნით იწყება სეირნობა, ცეკვა-თამაში. იგი გათენებამდე გრძელდება.

● **მონღოლები** მეცხოველეთა დღესასწაულს ახალი წლის პირველ დღეს იხდიან. ახალგაზრდები ერთმანეთს ეჯიბრებიან ხელმარჯვეობასა, გამბედაობასა და ძალ-ღონის გამოჩენაში. თოვლის პაპა მომთაბარე კაცის ტანსაცმელშია გამოწყობილი. ხელში უჭირავს დიდი შოლტი, კვეს-აბედი და სათუთუნე — ნიშანი ძველი მომთაბარეული ცხოვრებისა.

● **უნგრელი** საახალწლოდ საგანგებო სინათლებით იწონებს ხოლმე თავს. გა-

ჩაჩხახებულ ქუჩებში გამოდის ახალგაზრდობა. თავს იყრიან ნაცნობ ეზო-მიდამოებში, განათებული სახლების ფანჯრებთან.

პირველად ოჯახის უფროსს დალოცავენ, მის ოჯახს სავსე ბეღელსა და ხვავრიელობას უსურვებენ. მასპინძელი მოსულთ სუფრასთან იწვევს. ამ დღეს ხორცის ჭამა არ შეიძლება და ფრინველს არა ჰკლავენ.

ფრინველის ხორცს განსაკუთრებით ერიდებიან ქალიშვილები.

● **კუბელები** ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე საათით ადრე ჭურჭელს წყლით ავსებენ. თორმეტ-საათზე კი ფანჯრებიდან ღვრიან.

ეს ნიშანია იმისა, რომ ძველი წელი გავიდა. დაე, ახალი წელი ისეთივე სუფთა იყოს, როგორც ეს წყალიაო.

ამასთან, სანთლებითა და ნათურებით გაჩაჩხახებულ ღამეში საათის ყოველ ჩამორეკვავზე, სტუმარმაცა და მასპინძელმაც ყურძნის თითო მარცვალი უნდა გადაყლაპოს.

● **ვიეტნამში** ახალწლის ღამეს კოცონებს ააბრიალებენ ხოლმე. კოცონებია ბაღებში, პარკებში, ქუჩებში, კოცონებთან ოჯახები იკრიბებიან. ამზადებენ ბრინჯის გემრიელ კერძს და გათენებამდე შეექცევიან. დღისით კი ყველა ოჯახში შედის და ცოლ-შვილში ატარებს პირველ დღეს.

● **მექსიკელები** განსაკუთრებული გულმოდგინებით იმოსებიან ახალი წლის

პირველ დღეს. რძლებს ყვავილებითა და სხვადასხვა სამკაულებით რთავენ. მართავენ კარნავალს. მთელ დღეს ზარებს რეკავენ, საჭიდაოდ გამოჰყავთ ხარები.


● **ინდოეთში** კი პირველი იანვარი აღიარებულია ყველაზე უფრო სასიხარულო დღედ. დილით უთენია დგებიან, ტანს დაიბანენ. საუკეთესო ტანსაცმელს ჩაიცვამენ. სუფრას შემოუსხდებიან: მღერიან მხიარულსა და გამორჩეულ სიმღერებს. ყოველგვარი გაჯავრება და წყენა აკრძალულია. კაცი, რომელიც ამ დღეს „წონასწორობიდან“ გამოვა, კანონით დაისჯება.

ასე რომ, ამ დღეს ყველა საოცრად აღერსიანი და თავაზიანია. ინდოელს სჯერა, ეს გუნება-განწყობილება მთელი წლის მანძილზე გაჰყვება. ამიტომ ყველგან ცეკვა, თამაში, მხიარულება-ზეიმია.

● **რუმინელები** საახალწლო სუფრას, უპირველეს ყოვლისა, ტკბილეულითა და ნამცხვრით აწყობენ. ოღონდ ნამცხვრის შუაგულში ხურდა ფულს დებენ. ფაიფურის ბეჭდებსა და ცეცხლივით წითელ წიწკასაც არ იშურებენ.

ნამცხვრებს თანატოლ ნაჭრებად დაჭრიან ხოლმე და ოჯახის წევრებს დაუნაწილებენ. ვისაც ბეჭდიანი ნამცხვარი შეხვდება, მისი ბედნიერება მთელ წელიწადს გასტანს. წითელი წიწკა კი ცრემლების ნიშანია და ყველასთვის არასასიამოვნო სიურპრიზი განსაჯავს.

ბარსელონის საზოგადოებრივი



შპეშულად: 1. დროებითი საცხოვრებელი სახელდახელო ნაგებობა; 2. ებრაელთა და ქრისტიანთა საღვთო წიგნების კრებული; 4. ქალაქი ყაზახეთის სსრ-ში; 5. სასულიერო სასწავლებლის, სემინარიის საერთო საცხოვრებელი მე-18, მე-19 საუკუნეებში; 6. მწვანე კონცხის რესპუბლიკის დედაქალაქი; 7. საფეხურებად გადმოშენებული ხელოვნური წყალვარდნილი; 9. კავშირი, გაერთიანება; 10. ფულის სისტემა, რომლის დროსაც ფულის ბრუნვას საფუძვლად უდევს ერთი ლითონი; 12. მოძრაობის აჩქარების ან შენელების გასაზომი ხელსაწყო; 13. ისეთი შეკრება, ხსლომა, რომელშიც რაიმე ორგანოს ყველა წევრი იღებს მონაწილეობას (საერთო, სრული); 14. ელექტრონების ციკლური ამჩქარებელი; 16. დიდი ტანის ძუძუმწოვარი მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახისა; 17. ციება, ციებ-ცხელება; 23. ზოოლოგიის დარგი; 24. სსრკ სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემდეგთა შემადგენლობის სამხედრო წოდება; 26. უფლისწულის ტიტული ესპანეთსა და პორტუგალიაში; 28. ნაყოფიერებისა და დედობის მფარველი ქალღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში; 29. ძველებური ფრანგული ვერცხლის ფული; 30. სისხლის მიმოქცევის მოდუნება ან შეჩერება; 31. სეფსისის ფორმა, რომლისთვისაც დამახასიათებელია მრავალი ჩირქოვანი კერის წარმოქმნა.

თარგმანად: 3. ჩირქის დაგროვება რაიმე ორგანოში ან ქსოვილში; 7. ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ; 8. ორატორული ხელოვნება; 10. ზოგი სახეობის ცხოველებისა და მცენარეების თავდაცვითი შეგუება — ფორმით ან ფერით დამსგავსება გარემო საგნებთან, სხვა ცხოველებთან და მცენარეებთან; 11. შეფულის გადახრა რაიმე შიშზე მასის მიზიდულობის ძალის შედეგად; 15. კუჭკვეშა ჩირკვლის პორმონი; 17. ადამიანის ფიგურა, რომელსაც იყენებენ შუა ტანისამოსის გასასინჯავად მალაზიაში ან ატელიეში; 18. სხვადასხვა კულტურული თუ სპორტული ღონისძიების მაუწყებელი რეკლამის ფორმა; 19. ენათმეცნიერების დარგი; 20. წონის ერთეული ძველ რომში; 21. მყარ სხეულებში მექანიკური ძაბვებით გამოწვეული დეფორმაციების საზომი ხელსაწყო; 22. ირანის ფულის ერთეული; 24. უზარმაზარი ქვებისაგან აღმართული ნაგებობა (აქლამა, სამლოცველო); 25. ცხვირ-ხანის ლიმფური ქსოვილის პათოლოგიური ზრდა; 27. უმადლესი პილოტაჟის ერთ-ერთი ფიგურა; 29. აპარატი, რომელიც განსაზღვრავს სხეულის ადგილმდებარეობას მისგან არეკლილი ბგერითი ტალღების ან რადიოტალღების საშუალებით; 32. მონადირის ჩანთა ნანადირევისათვის; 33. რაიმე დაავადების დამახასიათებელ სიმპტომთა ერთობლიობა; 34. ფეხბურთის (ან ჰოკეის) გუნდის შუამარბი.

შეადგინა აკოტანდელ ბაბალაშვილი.

უკანასკნელ წლებში ტრადიციულ იქცა საბჭოთა მოდის დემონსტრაცია სავაჭრო-სამრეწველო გამოფენებსა და ბაზრობებზე. ერთ-ერთ ასეთ გამოფენა-ბაზრობაზე ბარსელონაში მონაწილეობის მისაღებად წელს ჩვენი შემოქმედებითი კოლექტივიც მიიწვიეს.

მართალია, ქართულმა მოდამ თავი ადრეც გამოსცა და ლაიფციგში, პლოვდიკში, იზმირში, ზაგრებში, პარიზში, დასავლეთ ბერლინში, ვენაში, ბუდაპეშტში, მაგრამ ბარსელონის ბაზრობა მაინც სხვაა. მასში გამოხატულება ჰპოვა ყველა იმ სიახლემ, რომელიც დღეს არსებობს საერთაშორისო მოდების სამყაროში.

ამავე დროს მეტი გაბედულებით გამოვიყენეთ ქართული და ესპანური ეროვნული ტანსაცმლის დამახასიათებელი ელემენტებიც. და, როგორც ეს შემდეგ დადასტურდა, სწორადაც მოვიქვეციით. პირველი გამოცდა სპეციალურმა კომისიამ ჩაიბარა და მაღალი შეფასება მოგვცა. შემდეგ ჩვენი ჯგუფი მადრიდს გაფრინდა.

ბარსელონაში პირველი საერთაშორისო ბაზრობა 1932 წელს გაიმართლა. აქედან მოყოლებული ყოველწლიურად აქ ბაზრობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოდიან საქმიანი წრეების წარმომადგენლები. მყარდება საქმიანი კონტაქტები, იდება სარფიანი გარიგება-ხელშეკრულებები.

ამჯერად ბაზრობაში ოცდათექვსმეტი სახელმწიფო მონაწილეობდა (საბჭოთა კავშირმა მეთექვსმეტეჯერ მიიღო მონაწილეობა). საქართველო კი ბაზრობაზე დამოუკიდებელი ექსპოზიციით პირველად მიიწვიეს.

გემოვნებით გაფორმებულმა სტენდებმა, რომლებიც ასახავდნენ ჩვენი რესპუბლიკის მიღწევებს მეცნიერების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და განათლების დარგში, უამრავი დამთვალიერებელი მიიზიდა. განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო მოდების დემონსტრაციის დროს. იგი დღეში ორჯერ იმართებოდა და მაყურებლების აღტაცებული ოვაციები ახლდა თან.

ერთი სიტყვით, მოდების დემონსტრაციას ჩასვლისთანავე დიდი ყურადღება დაუთმეს. თავისი სიტყვა თქვა პრესამ და ტელევიზიამაც, რომელმაც ორი გადაცემა მოამზადა, ხოლო გაზეთებმა ბევრი საქებარი წერილი და სურათი დაბეჭდეს.

ბაზრობის შედეგებმა ნამდვილად გაგვახარა.

ბ. ბერაძე,

მოდისა და ჩაცმის კულტურის რესპუბლიკური ცენტრის დირექტორი.

ბარბაქანის პირველ ბჰერდში: გვერავლოს ქორწილები. ფოტო ბონდო დვალისვილისა; ბარბაქანის მეოთხე ბჰერდში: რიტუალების სასახლე. ფოტო მიხეილ მათველაშვილისა.

გადაცვა წარმოებას 17.11.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23. XII. 87. უე 14144. ქალაქის ზომა 70x1081/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 8, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50 000. შეკვეთა 2687. ფასი 35 კაპ.


380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კა ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების 93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.





ერთგულების გზაზე

